

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია უკლება

ტურისტულ-რეკრეაციული
რესურსები

შეფასება
ტრანსფორმაცია

თბილისი
2009

სახელმძღვანელოში, რომელიც განკუთვნილია ტურიზმის სპეციალიზაციის მაგისტრანტებისთვის, განსილულია ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და დაგეგმვის, გარემოზე ტურიზმის ზემოქმედების პრობლემები, გარემოს დაცვის ღონისძიებები, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია, მათი შესწავლა-შეფასების ხერხები, ტურისტული ბუნებათსარგებლობის საკითხები, ტურისტულ-რეკრეაციული სისტემების ფუნქციონალური ზონირება და რაიონული დაგეგმვის თავისებურებები.

სამეცნიერო რედაქტორები:

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამული მიმართულების სრული პროფესორი, ტურიზმის ექსპერტი ნაიკო კვარაცხელია

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის და ნიადაგური რესურსებისა და გარემოს დაცვის მიმართულების სრული პროფესორი ზურაბ სეფერთელაძე

რეცენზენტები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს პიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი რამაზ ქითანავა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს კლიმატის განყოფილების უფროსი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ლიანა ქართველიშვილი

*ექვნიეა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის,
სახელმწიფო პრემიისა და ვახუშტი ბაგრატიონის პრემიის
ორგ ზის ლაურეატის, მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწის, პროფესორ დავით უკლებას ნათელ ხსოვნას*

ავტორისაგან

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და დაგეგმვის, გარემოზე ტურიზმის ზემოქმედების პრობლემები და გარემოს დაცვის ღონისძიებები. მოცემულია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია, მათი შესწავლისა და შეფასების ხერხები. არსებითი ადგილი ეთმობა ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების დეტერმინანტებს, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასებას ბუნების ცალკეული კომპონენტის მიხედვით, ტურისტული ბუნებათსარგებლობის საკითხებს, ტურისტულ-რეკრეაციული სისტემების ფუნქციონალურ ზონირებასა და რაიონული დაგეგმვის თავისებურებებს.

სახელმძღვანელოს მიზანია, ზემოჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, გაერკვნენ რესურსების ტრანსფორმაცია-მოდიფიკაციის პროცესებსა და გარემოზე ტურიზმის ზემოქმედების პირობებში ტერიტორიის მდგრადობის თავისებურებებში გარკვევა.

სახელმძღვანელოს შექმნა განაპირობა ტურიზმის მომავალ საეციალისტებში სოციალური პასუხისმგებლობის ზრდის, აგრეთვე ბიზნესისა და მეცნიერების დაახლოების აუცილებლობამ, რაც დღეისთვის გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს.

ტურიზმის სპეციალიზაციის მაგისტრანტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო, ვიმედოვნებ, დაინტერესებს ტურიზმის სფეროში მომუშავე მეცნიერ-პედაგოგებს, ბიზნესის წარმომადგენლებსა და სახელმწიფო მოხელეებს.

წიგნზე მუშაობის პროცესში მოცემული რჩევებისა და საქმიანი წინადადებებისათვის, შემდგომ კი სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტირებისთვის მადლობას ეუხზი ივ. ჯავახიშვილის თსუ პროფესორს, ბატონ ზურაბ სეფერთელაძეს და თეუსუ პროფესორს, ტურიზმის ექსპერტს, ბატონ ნიკო კვარაცხელიას.

დაბოლოს, საამოუნებთ გავითვალისწინებ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ ყველა მისაღებ შენიშვნასა და რეკომენდაციას.

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტურიზმის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი,
პროფესორი მაია უკლება

შინაარსი

ავტორისაგან	4
სარჩევი	5
შესავალი	7
თავი 1. ტურიზმის მდგრადი განვითარების დაგეგმვა	9
მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის	10
ბირითადი მეთოდები	10
ტურიზმი და გარემო	13
გარემოს დაცვის ღონისძიებანი	15
თავი 2. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	18
ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ცნება	18
ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია	22
ტურისტულ-რეკრეაციული I რიგის ელემენტები:	22
თავი 3. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება	28
ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესწავლისა და შეფასების მეთოდები	28
რა არის ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი?	37
ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება	39
წყალსატევები, პლაჟები	43
ტერიტორიები ლაშქრობებისთვის	46
ტერიტორიები სათხილამურო გასეირნებისთვის	48
თავი 4. ტურისტული ბუნებათსარგებლობა	52
თავი 5. ტურისტულ-რეკრეაციული სისტემების ფუნქციონალური ზონირება	57
ფუნქციონალური ზონირება	57
ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება	59
თავი 6. ტურისტულ-რეკრეაციული რაიონების დაგეგმვის თავისებურებანი	62
ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი	62
მთიანი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი	66
ტბისპირა და მდინაპირისპირა	69
ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი	69

01აპი 7. რესურსების ტრანსფორმაცია-მოდიფიკაცია	72
01აპი 8. ტერიტორიის დატვირთვა ტურიზმისაგან და მისი მდგრადობა	77
ქეისი „აფხაზეთი“*	83
ქეისი „აჭარა“	88
ქეისი „კოლხეთი“	90
ქეისი „სვანეთი“	92
ქეისი „რაჭა-ლეჩხუმი“	107
ქეისი „თუშეთი“	121
ქეისი „ზევსურეთი“	124
ქეისი „ფშავ-მთიულეთი“	127
ქეისი „ხევი“	132
ქეისი „ჯავა“	138
ქეისი „წალკა-ღმანისი“	139
ქეისი „ინოწმინდა-ახალქალაქი“	143
საკითხები განხილვისთვის	154
გამოყენებული ლიტერატურა	155

შესავალი

აღიარებულია, რომ ტურიზმი უნდა ვითარდებოდეს მდგრად, კონტროლირებად და კომპლექსურ საფუძველზე, გონივრული დაგეგმვის პრინციპების გამოყენებით. ამგვარი მიდგომით, ტურიზმს შესაბამისი რეგიონისათვის მნიშვნელოვანი მოგების მოტანა შეუძლია, რაიმე სერიოზული ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების წარმოშობის გარეშე. ამასთან, ტურისტული რესურსები შენარჩუნებული და დაცული იქნება მომავალში მუდმივი გამოყენებისათვის.

მსოფლიოში ტურიზმის წარუმატებელი დაგეგმვისა და მართვის მრავალი ფაქტია ცნობილი. ამ უკონტროლო ობიექტებმა შესაძლოა მოიტანეს მოკლევადიანი ეკონომიკური ეფექტი, თუმცა ხანგრძლივადიან ჭრილში გამოიწვიეს ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები და ტურისტული ცენტრის/ობიექტის ხარისხის დაცემა. ამ პროცესებს შედეგად მოჰყვა ტურისტული ბაზრიდან მათი „გაქრობა“, უკეთ დაგეგმილი ცენტრების/ობიექტების სასარგებლოდ.

ქვეყნისა და მისი რეგიონების ტურიზმის განვითარების საფუძველია ეროვნული და რეგიონული დაგეგმვა. დაგეგმვის კონცეფცია, დაგეგმვისა და მარკეტინგის მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული სტანდარტები ითვალისწინებს:

- ◆ კომპლექსურ ხედვებსა და მიდგომებს;
- ◆ ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული ფაქტორების თანაფარდობას;
- ◆ მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.


სწორედ ამგვარი პრინციპული მიდგომა შეიმუშავა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (მტ(1)). მტ(1)-ს მოდელით ტურიზმის განვითარების დაგეგმვა უნდა განხორციელდეს, როგორც კომპლექსური სისტემისა. ამგვარი დაგეგმვის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ტურისტული ინდუსტრია უნდა განვითარდეს, როგორც მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორთა ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

მოთხოვნის ფაქტორები

- საერთაშორისო ტურისტული ბაზრები
- შიდა ტურისტული ბაზრები
- ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტურისტული ღირსშესანიშნაობების, ობიექტებისა და მომსახურების გამოყენება

მიწოდების ფაქტორები (ტურისტული პროდუქცია)

- ტურისტული ღირსშესანიშნაობები და საკმიანობის სახეები
 - განთავსების საშუალებები
 - სხვა ტურისტული ობიექტები და მომსახურება
 - ტრანსპორტი
 - ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები
 - ინსტიტუციური ელემენტები
- ◆ ტურიზმის, როგორც ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორთა სისტემის, განვითარება ფოკუსირებული უნდა იყოს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის კომპლექსურ განვითარებაზე როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების ფაქტორების, აგრეთვე ფიზიკური და ინსტიტუციური ელემენტების გათვალისწინებით.
- ◆ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარების მოქნილი მოდელის შემუშავება. ამგვარი გეგმები სწრაფად რეაგირებენ ცვლად გარემოებებზე (მაგალითად, ახალი სატრანსპორტო ტექნოლოგიები; ცვლილებები ტურისტულ ბაზარზე; ცვლილებები რესურსულ უზრუნველყოფაში და სხვა).



თავი 1.

ტურიზმის მდგრადი განვითარების დაგეგმვა

მდგრადი განვითარების მიღწევა ტურიზმის დაგეგმვის ფუნდამენტური კონცეფციაა, რაც მოქმედ საერთაშორისო პრაქტიკაში აქტიურად არის გამოყენებული.

ეს კონცეფცია ითვალისწინებს ბუნებრივი, კულტურული და სხვა რესურსების შენახვას, მომავალში მათი მუდმივი გამოყენებისთვის ისე, რომ მათ საზოგადოებას სარგებელი მოუტანონ დღესაც. ეს კონცეფცია საერთაშორისო არენაზე 1980-იანი წლებიდან ძალიან პოპულარული გახდა.

ტურიზმის დაგეგმვა, მდგრადი განვითარების კონცეფციის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ტურიზმის განვითარების მოცულობის უდიდესი წილი ბუნებრივი გარემოს, ისტორიული მემკვიდრეობისა და კულტურული მონეტების ღირსშესანიშნაობებთან არის დაკავშირებული.

თუ ეს რესურსები დეგრადირდება ან მოისპობა, ბუნებრივია, ტურისტული რეგიონები ვეღარ მიიზიდავს ტურისტებს.

ტურისტები ძირითადად მანაც მიილტვიან ცენტრებში, სადაც მაღალხარისხოვანი ეკოლოგიური ღონის მოლოდინი აქვთ. მათ მოსწონთ მიმზიდველი, სუფთა, დაუბინძურებელი და გადაუტვირთავი ადგილები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შესაბამისი ტურისტული რეგიონის მოსახლეობა არ დაზარალდეს ბუნებრივი გარემოს გაუარესებისა და სოციალური პრობლემების გამწვავების გამო.

ტურიზმის ერთ-ერთი არსებითი სარგებელი, მისი კონცეფტუალური განვითარების შემთხვევაში, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შეუძლია ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვის სუბსიდირება.

ამდენად:

- ▶ ტურიზმი წარმოადგენს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას.
- ▶ ტურიზმი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელოვან საშუალებას.

მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ძირითადი მეთოდები

ა. ეკოლოგიური დაგეგმვის კონცეფცია.

ეს კონცეფცია ითვალისწინებს გარემოს ყველა ელემენტზე გულდასმით დაკვირვებას, ანალიზსა და აღწერას ტურისტული ობიექტის ყველაზე მიზანშეწონილი მოდელის/ტიპის შესარჩევად.

ამგვარი მიდგომით, მაგალითად, დაძირვად ვაკეებსა და მთის ციცაბო კალთებზე ინტენსიური ტურიზმი (ტურისტული ობიექტების შექმნა, განაშენიანება) არ იქნება მიზანშეწონილი, მეტიც, აიკრძალება.

ბ. ადგილობრივი საზოგადოების კონცეფცია.

ამ მიდგომით გათვალისწინებულია ადგილობრივი საზოგადოების ჩართვა ტურიზმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში, აგრეთვე, ტურიზმის იმ სახეების შემუშავება, რომლებიც სწორედ ადგილობრივ მოსახლეობას მოუტანს მოგებას.

ამ შემთხვევაში იყენებენ მეთოდებს, როდესაც მოგების უდიდესი ნაწილი სწორედ ადგილობრივი მოსახლეობისკენ და არა გარეშე მონაწილეებისკენ არის მიმართული.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოგების მაქსიმალურ ზრდას, როგორც წესი, მიყვავართ ადგილობრივი რესურსების დაცვის საკითხებში მოსახლეობის აქტიური ჩართვისკენ. ეს კონცეფცია ძირითადად გამოიყენება დაგეგმვის ლოკალურ დონეზე. თუმცა, სასურველია, ასეთი მიდგომა ეროვნულ და რეგიონულ დონეებზეც პრინციპულ მიდგომად იქცეს.

ცხადია, ადგილობრივი საზოგადოებისკენ მიმართული მოგება მთელი სახელმწიფოსთვისაც მომგებიანია, ვინაიდან:

- იზრდება შემოსავლები;
- იზრდება უცხოური ვალუტის შემოსვლა;
- ჩნდება ახალი სამუშაო ადგილები;
- სახელმწიფო პოლიტიკა ტურიზმში სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერით;

- ხელს უწყობს ადგილობრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების დაცვას;
- ხელს უწყობს ქვეყნის ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული გარემოს დაცვას.

გ. ხარისხიანი ტურიზმის კონცეფცია.

ორი ძირითადი მიზნით ხორციელდება:

- I. მარკეტინგის თვალსაზრისით ტურიზმის წარმატების უზრუნველ-საყოფად;
- II. მომგებიანია ადგილობრივი მოსახლეობისა და გეოგრაფიული გარემოსთვის.

ხარისხიანი ტურიზმი ყოველთვის ძვირადღირებულ ტურიზმს არ ნიშნავს. უპირველესად იგულისხმება ტურისტული ღირსშესანიშნაობების, ობიექტებისა და მომსახურების ისეთი სახეები და ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს *ფასისა და ხარისხის შესაბამისობას*; ხარისხიანი ტურიზმი იცავს ტურისტულ რესურსებს; ხარისხიანი ტურიზმი იზიდავს ისეთი ტიპის ტურისტებს, რომლებიც პატივისცემით ეკიდებიან ადგილობრივ გარემოსა და მოსახლეობას.

ხარისხიანი ტურიზმი თვითგანახლებადია
ეკოლოგიურ და სოციალურ ჭრილში.

საკვანძო სიტყვები:
ტურიზმის დაგეგმვა
მოთხოვნის ფაქტორები
მიწოდების ფაქტორები
ტურიზმი – სისტემა
მოქნილი დაგეგმვა
მდგრადი განვითარება
ეკოლოგიური დაგეგმვის კონცეფცია
ადგილობრივი საზოგადოების კონცეფცია
ხარისხიანი ტურიზმი

„მითები“ ტურიზმზე

- I მითი: „ტურიზმი არის პანაცეა რეგიონის ეკონომიკური განვითარების საქმეში. თუ გვინდა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ ტურიზმის ინტენსიური განვითარება საქართველოს ყველა რეგიონში.“
- II მითი: „ტურიზმი არის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთდაკავშირებული სისტემა. ამდენად, ტურიზმის განვითარების ნებისმიერი გეგმა უნდა ხორციელდებოდეს, როგორც კომპლექსური სისტემისა“.
- III მითი: „ტურიზმი იძლევა სწრაფ მოგებას, ამიტომ ნებისმიერი გეგმა უნდა შემუშავდეს დეტალურად, მკაცრად განსაზღვრული უცვლელი მიზნებითა და აქტივობებით.“
- ✓ დაადასტურეთ ან უარყავით ზემოთ მოყვანილი მითები.
- ? 1. რა კავშირია ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციასა და გარემოს დაცვას შორის?

ტურიზმი და ვარემო

ტურიზმში, როგორც მსოფლიოს უდიდეს ინდუსტრიაში, ვარემოს ცენტრალური ადგილი უჭირავს. „XXI საუკუნის ფენომენი“ სულ უფრო მეტად აიძულებს ტურიზმის ბიზნესის წარმომადგენლებს, აღიარონ ვარემოს პრიორიტეტულობა.

ტურიზმი არა მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერის, არამედ ვარემოს დაცვის გარანტიად უნდა იქცეს.

ვარემოს დაცვას თანამედროვე მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა და მომავალში უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა. ეს კი ნიშნავს, რომ:

პროექტები,

რომლებიც მისაღები იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით,
მაგრამ არასასურველი ვარემოსდაცვითი კუთხით,
განუხორციელებელი დარჩება.

ვარემო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტურიზმის პროდუქტის საფუძველია. მაშასადამე, მოგება ტურიზმისაგან დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უფროთხილდებიან დანიშნულების ადგილის მიმზიდველობას, იმას, რისი ნახვაც ხალხს სურს.

სწორად მართული ტურიზმის ძლიერი მხარეებია:

- ვარემოს გაფართოება;
- ვარემოს შენარჩუნება;
- კულტურისა და ისტორიის შენარჩუნება;
- ბუნებრივი ატრაქციების დაცვა;
- ვარემოს მდგრადი გამოყენებისათვის ლიმიტის შექმნა.

მიუხედავად ამისა, არსებობს საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მიაღვეს ვარემოს ქაოტური, გაუაზრებელი, არაკონტროლირებადი ტურიზმით, კერძოდ:

- წყლის დაბინძურება, რისი მიზეზიც არის არასწორად დამონტაჟებული საკანალიზაციო სისტემები და სასტუმროებიდან და სხვა

ობიექტებიდან მყარი ნარჩენების გატანის მეთოდები. საკანალიზაციო კოლექტორების ჩამონატანებით ბინძურდება მდინარეები, ტბები, სანაპირო წყლები, ხოლო დაზიანებული მიწებიდან გამონაჟონით – მიწისქვეშა წყლები.

- *ჰაერის დაბინძურება*, რაც ტურისტულ რაიონებში შიგაწვის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების (ავტომობილები, მიკროავტობუსები, ავტობუსები, მოტოციკლები და სხვა) გადაჭარბებული გამოყენების შედეგია. ჰაერის დაბინძურებას გარკვეულწილად იწვევს საავიაციო ტრანსპორტიც, რაც შორეული გადაადგილებისთვის ტურისტების მიერ აქტიურად გამოიყენება.
- *ვარემოს „ხმაურით დაბინძურება“* გამოწვეულია ტურისტთა მასებისა და ტურისტული სატრანსპორტო საშუალებების დიდი კონცენტრაციით.
- *ლანდშაფტის ესთეტიკის გაუარესება* გამოწვეულია მთელი რიგი ფაქტორებით: ცუდად დაგეგმარებული სასტუმროები და სხვა ტურისტული ობიექტები; ამ ობიექტებისათვის წარუმატებლად შერჩეული ადგილი; ადგილობრივ ლანდშაფტთან ტურისტული ინდუსტრიის ობიექტების უგემოვნო და ულაზათო შეხამება; მეტისმეტად დიდი, მკვეთრი, თვალშისაცემი სარეკლამო აბრები; კარგი ხედის დაფარვა ტურისტული ობიექტებით.
- *ნარჩენების გატანის პრობლემა* ბუნებრივი ობიექტებიდან ან მათი არასწორად გატანა.
- *ბუნებრივი ზონების ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა*, რაც ტურისტების მხრიდან მათი მეტისმეტი ან არასწორი გამოყენების შედეგია. განსაკუთრებით მგრძნობიარეა ეკოლოგიური თვალსაზრისით ზღვის სანაპიროები, მთიანი და უდაბნოს ეკოსისტემები, რომლებიც ტურისტული ზონების მნიშვნელოვან ნაირსახეობას წარმოადგენს.
- *არქეოლოგიური და ისტორიული ძეგლების დაზიანება* მათი მეტისმეტი და არასწორი გამოყენებით, ასევე ტურისტული ნაგებობების მათ სიახლოვეს განთავსებით, რაც ყოველად დაუშვებელია.
- *ეკოლოგიური რისკები და პრობლემები*, რომლებიც დაკავშირებულია მიწათსარგებლობასთან და თავს იჩენს ტურისტული ობიექტების პროექტირების, განლაგებისა და უხეირო დაგეგმარებისას.

✓ *განაგრძეთ ძლიერი და სუსტი მხარეების ჩამონათვალი*

მაშ ასე, ტურიზმმა უნდა შეინარჩუნოს და დაიცავს გარემო და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები, რათა ხალხმა განაგრძოს მოგზაურობა.

როგორ ავიცილოთ თავიდან ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები?

ისეთი კონცეფციები, როგორიცაა ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეკოტურიზმი და ტურიზმის რიგი ალტერნატიული სახეები აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი სწორი გზაა. ყოველივე ეს კი ტურიზმს აქცევს *სოციალურად პასუხისმგებლიან* დარგად, რაც თანამედროვეობის უმთავრესი მოთხოვნაა. ამასთან,

ტურიზმის სფეროში დაკავებულმა ადამიანებმა უპირველეს ყოვლისა უნდა იცოდნენ ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შეფასების მეცნიერული საფუძვლები.

გარემოს დაცვის ღონისძიებანი

გარემოს დაცვის აუცილებლობა ტურიზმის სფეროში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მასში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმის მდგრადი განვითარების დაგეგმვისა და ეკოლოგიური დაგეგმვის კონცეფციები.

ამ კონცეფციების გარდა გასათვალისწინებელია ტურისტული რაიონის გამტარუნარიანობის პოტენციალი. ტურიზმის განვითარებისათვის უნდა შეირჩეს ეკოლოგიურად მისაღები ფორმები. ეკოლოგიური ოპტიმიზაციის ერთ-ერთი ახალი ხერხია *ტერიტორიის ორგანიზაციის* ერთიანი პოლიტიკის შემუშავება. ეს ახალი ევროპული ხერხი სულ უფრო წინა პლანზე აყენებს გარემოს დაცვის პრობლემებს ტერიტორიული პოლიტიკის გატარებისას.

ტურიზმის მიზანმიმართული და თანდათანობითი განვითარება საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ეკოლოგიურ პროცესებზე ტურიზმის ზემოქმედებას და რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში განვითარების კონცეფციაში შევიტანოთ სათანადო ცვლილებები.

! აუცილებელია, გვახსოვდეს

ტურიზმის სეზონურობიდან გამომდინარე, ტურისტულ ობიექტებზე განსაკუთრებული დატვირთვა სწორედ „ცხელი სეზონში“ ხდება. ამ დროს ადგილი აქვს ინფრასტრუქტურის გადატვირთვას, ღირსშესანიშნაობების, ტურისტული ობიექტების და მომსახურების გადაჭარბებულ გამოყენებას.

აქედან გამომდინარე, ტურიზმში სეზონურობის შემცირება მნიშვნელოვნად განაპირობებს ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებას და განიხილება როგორც ერთ-ერთი გარემოსდაცვითი ღონისძიება.

ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპების გარდა გამოიყენება ტურიზმის ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირების/შეკავების სპეციალური ზომები:

- სწორად დაგეგმილი კომუნალური სისტემების (წყალგაყვანილობა, ელექტროგაყვანილობა, საკანალიზაციო ქსელი, მყარი ნარჩენების გატანა) მონტაჟი. გამოიყენება ე.წ. ეკონომიის ზომები – გამდინარე წყლების გაწმენდა და გადამუშავება, გათბობის ალტერნატიული წყაროების გამოყენება (მაგ., მზის ენერჯია). ასეთი ზომების მიღება არა მხოლოდ ტურისტული ობიექტისათვის, არამედ მთელი ტურისტული ზონის/რაიონის საზოგადოებისათვის ძალიან მომგებიანია.
- ისეთი სატრანსპორტო სისტემების შექმნა, რომელიც აქცენტირებული იქნება ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული (აგრეთვე, საზოგადოებრივი) ტრანსპორტის განვითარებაზე. მაგალითად, კურორტებზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტროძრავიანი ავტობუსები, ველოტაქსები და სხვა. ამასთან, ტურისტული სატრანსპორტო საშუალებებისთვის აუცილებელია კეთილმოწყობილი ან მოწესრიგებული ტექნიკური მომსახურება.
- ტურისტულ რაიონებში დაიგეგმოს და კეთილმოეწყოს ღია სივრცეები, პარკები.
- ტურისტულ რაიონებში გამოყენებული უნდა იქნეს მიწათსარგებლობისა და ტურისტული ობიექტების დაგეგმვის ეკოლოგიურად მისაღები პრინციპები; დაცული უნდა იქნეს ზონირების, განაშენიანებისა და არქიტექტურული დაგეგმარების ნორმები; აუცილებელია სარეკლამო დაფებისა და აბრების განთავსების რეგულირება.

- ზედმიწევნით ზუსტად უნდა იმართებოდეს ტურისტული ღირსშესანიშნაობების მონახულების მსურველთა ნაკადები. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი ეკოლოგიური თვალსაზრისით ძალზე მგრძობიარეა, მიმართავენ მნახველთა რაოდენობის შეზღუდვის პრინციპს წლის განმავლობაში. ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ასეთი ობიექტის მონახულება დროებით იკრძალება კიდევ. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს უმნიშვნელოვანესი მონუმენტების ასლების მოდელირება-მონტაჟის ტექნიკა. ამ გზით ტურისტებს ეძლევათ ძველის ნახვის შესაძლებლობა ისე, რომ თავად ობიექტი მათთვის დაზარულია.
- კემპინგებისა და ლაშქრობების ზონაში ტურისტებს ეკრძალებათ ხეების მოჭრა, იშვიათი სახეობის მცენარეთა და ცხოველთა კოლექციონირება, აგრეთვე, გარეულ ცხოველთა ქცევის ბუნებრივი მოდელის დარღვევა. ნადირობა და თევზჭერა მხოლოდ ზედმიწევნით კონტროლირებად პირობებში შეიძლება იყოს ნებადართული.
- საზღვაო ზონებში მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს სხვადასხვა საქმიანობაზე; გემების კორპუსების გაწმენდისა და ბალასტის გადაყრის ოპერაციებზე; ეკოლოგიურად მგრძობიარე ზონებში ძრავიანი ნავეების გამოყენებაზე; ზღვის იარაღით ნადირობაზე; ქვირითობის პერიოდში წყლის ბინადართა ბუნებრივი ქცევის მოდელის დარღვევაზე; პლაჟის ამგები მასალის (ქვიშა, ღორღი, ხრეში) სამშენებლო მიზნებით გამოყენებაზე; ნავსადგომების განთავსება უნდა დაიგეგმოს იმ პრინციპით, რომ არ გამოიწვიოს სანაპირო ზოლის ეროზია ან სხვა პრობლემები.
- ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვა არის არა მარტო ტურისტთა, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ვალდებულებაც.
- ტურისტული რაიონის თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვა რეგულაციების გამოყენებაც. რაც შეეხება მნახველთა საქმიანობის რეგულირებას, აუცილებელია მათი ინფორმირება რეგულაციების ზომების გამოყენების აუცილებლობაზე და მიზეზების თაობაზე. თუ ტურისტები სწორად გაიგებენ ამ ზომების დაცვის მიზნებს, ისინი მათ დაიცავენ.

თაზო 2.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ცნება

ტურიზმისა და რეკრეაციის ორგანიზება უპირველეს ყოვლისა საჭიროებს რესურსებს. შესაბამისად, ტურიზმისა და დასვენების ორგანიზების პოტენციული დამოკიდებულია ტერიტორიის უზრუნველყოფაზე ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებით.

მიუხედავად იმისა, რომ რესურსების გამოვლენას, შეფასებას და შეთავაზებას საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა მკვლევართა მხრიდან, „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების“ არსი და ცნების მასშტაბები სუსტადაა შესწავლილი. ხშირ შემთხვევაში არ არსებობს „რესურსის“ მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრება, მით უფრო, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა.

როგორც გეოგრაფიულ კვლევებში, ისე ტურისტულ რეკრეაციული რესურსების კონკრეტიზაციის ტენდენციები სხვადასხვა ავტორთა მიერ განსხვავებულად მოიაზრება და შემდეგნაირია:

- „ბუნებრივი, სამეურნეო და ისტორიული მონაცემები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ ტურიზმის ორგანიზების სპეციფიკურ სამომხმარებლო ღირებულების თვალსაზრისით“.

ეს განსაზღვრება არ აკონკრეტებს ბუნების, მეურნეობისა და ისტორიის რა თავისებურებანი უნდა მივაკუთვნოთ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსს.

- „შთაბეჭდავი პეიზაჟები, ლამაზი და დეკორატიული ორგანიზმები, ანუ კულტურულ-ესთეტიკური რესურსები.“
- „გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, მცენარეული საფარი, ნიადაგი – კლიმატის წამყვანი როლით“
- „ლანდშაფტის მრავალფეროვნება, მათი ესთეტიკური თავისებურებანი, ტერიტორიის ხილვადობა.“
- „სამყაროს მრავალფეროვნება, რომელიც განისაზღვრება გეოგრაფიული სპეციფიკით, ეგზოტიკით, უნიკალობით, კონტრასტულობითა და ლანდშაფტის რიტმით.“

მოყვანილი მაგალითები მხოლოდ ყველაზე გავრცელებული მიდგომების ნიმუშებია, თუმცა ნათლად ჩანს, რომ „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების“ ცნებაში ბევრი ბუნდოვანებაა. უპირველესად კი ის, თუ როგორ „გარდაიქმნებიან“ ბუნებრივი, ისტორიული და სოციალურ-კულტურული მოვლენები ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებად.

ნათელია, რომ ამგვარი ტერმინების თავისებურებების მთავარი განმსაზღვრელი არის ურთიერთობები:

სუბიექტი ⇔ ობიექტი

შესაბამისად, ცნება „ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი“ შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციისა და ტურისტულ-რეკრეაციული სისტემის ჩარჩოში. სხვა შემთხვევაში ცალკეული დამსვენებლის/ტურისტის ან დამსვენებელთა/ტურისტთა ჯგუფის ინტერესთა პოზიციიდან მისი განხილვა აზრს მოკლებულია.

საზოგადოების ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნების დაკმაყოფილებას უაღრესად კომპლექსური დარგი – ტურიზმის ინდუსტრია ემსახურება. ამდენად, როდესაც ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებზე ვსაუბრობთ, უპირველესად უნდა ვიგულისხმოთ რესურსები მთელი ტურისტული ინდუსტრიისათვის.

ამასთან, ტურისტული ინდუსტრიის უაღრესად მრავალფეროვან დარგებსა და სახეებს, ამ მრავალფეროვნების შედეგად დანაწევრებულ ტურისტულ ბაზარს, დარგის კომპლექსურობის მიუხედავად, მისთვის დამახასიათებელი ტურისტული რესურსი გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის ცნებაც და მისი მოცულობაც განსხვავებულია ტურისტული სისტემის, ზონის, კურორტის, ტურისტული ობიექტისათვის და ა.შ.

*მაშ, ასე, რა არის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი?
ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი არის ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული გეოსისტემები და მათი ელემენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურისტულ ინდუსტრიაში.*

როგორც განმარტებიდან ირკვევა, ყველას, ვინც ჩაბმულია ტურიზმის ორგანიზებაში, საქმე აქვს ხარისხობრივად სრულიად განსხვავებულ რესურსთა ჯგუფებთან – ბუნებრივსა და სოციალურ-კულტურულთან.

თანამედროვე მიდგომებით ტრრ-ების ზემოაღნიშნული განსაზღვრება ხშირად მოიაზრება როგორც ტურისტული პოტენციალი, რასაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ. მაგალითად, მეცნიერები – ი. კანმარკი, ა. სტაიაკი, ბ. ვლოდარჩიკი თვლიან, რომ *„გეოგრაფიული გარემოსა და ადამიანის ქცევის ყველა ელემენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურიზმის ორგანიზაციისათვის ან ტურისტული საქმიანობისთვის, იწოდება ტურისტულ პოტენციალად. ტურისტული პოტენციალი მოიცავს ყველა სტრუქტურულ და ფუნქციონალურ რესურსს, რომელიც განსაზღვრავს გარგვეულ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებას“* (Туристический продукт, М. 2008, перевод с польского).

აღნიშნული განმარტება ადასტურებს ჩვენ მიერ მოცემულ დამოკიდებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული ელემენტები უნდა განიხილებოდეს ცალკეული კონკრეტული მომენტისა და ადგილისთვის, როგორც ტურიზმის განვითარების ყველაზე ეფექტური და მისაღები წინაპირობა. ანუ საუბარია ტურისტული მიზნებისა და ტურისტული აქტივობების რეალიზაციისთვის ხელსაყრელ რესურსებზე და არა რესურსებზე ზოგადად.

ნებისმიერი ტერიტორიის რესურსების ანალიზისას აუცილებლად შეხედვით ღირსშესანიშნაობების ჩამონათვალს (რასაც სავსებით სწორად აკუთვნებენ რესურსებს), ტურისტული ინფრასტრუქტურის დახასიათებას, სატრანსპორტო მისაწვდომობას და სხვა.


აქ მთავარია დავაზუსტოთ, რომ ტერმინი რესურსი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ღირსშესანიშნაობა. კერძოდ, განმარტებით ირკვევა, რომ ტურისტული რესურსი შეიძლება იყოს ნებისმიერი ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული ელემენტი, რომელსაც გამოვიყენებთ ტურიზმისათვის. რეალური ღირსშესანიშნაობა კი უკვე გამოყენებულია (ან მეტნაკლებად გამოყენებული) ამ თვალსაზრისით და ტურისტთა ინტერესიც მათ მიმართ მკვეთრად გამოკვეთილია.

ამდენად, ტერმინი რესურსი აერთიანებს როგორც პოტენციურ, ისე არსებულ ღირსშესანიშნაობებს და, შესაბამისად, თავის არსით უფრო კომპლექსურია.

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ტრრ-ი შეიძლება იყოს ყველა ბუნებრივი სოციალურ-კულტურული ელემენტი, ანუ, თუ დავუკვირდებით, ამ ელემენტთა ნუსხა შეიძლება უსასრულო იყოს, ამდენად, საჭიროა მათი კლასიფიკაცია.

არსებობს კლასიფიკაციის არაერთი მცდელობა, რომელთა ნაწილი რესურსებს განიხილავს მათი სახეების, ფუნქციების, ტურების ტიპების, რეგიონებისა და მაკრორეგიონების, ეკონომიკური ეფექტიანობის, ხარისხის და მთელი რიგი სხვა კრიტერიუმების საფუძველზე. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს არსებული კლასიფიკაციების ღრმა ანალიზი, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ყველა მათგანი ატარებს პირობითობის ნიშნებს და ემსახურება კონკრეტულ ამოცანებს.

ჩვენი ამოცანაა კლასიფიკაციის გენერალიზებული სქემის წარმოდგენა, რომელიც დააკონკრეტებს შეხედულებებს ტრ-რესურსების სტრუქტურის შესახებ.



სქემა № 1

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაცია

ტურისტულ-რეკრეაციული I რიგის ელემენტები:

I. ტურისტული ატრაქციები/ღირსშესანიშნაობები

ტურისტულ ატრაქციებად/ღირსშესანიშნაობებად მიიჩნევენ ყველაფერს, რაც ტურისტში კონკრეტული ადგილის მონახულების სურვილს განსაზღვრავს. ტურისტის მიერ ამა თუ იმ დანიშნულების ადგილის შერჩევაში სწორედ ეს ატრაქციები/ღირსშესანიშნაობები თამაშობს გადამწყვეტ როლს.

არსებობს ღირსშესანიშნაობათა სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაფუძნებული კლასიფიკაციების არაერთი მცდელობა. თუმცა ქვემოთ მოცემული შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე კლასიკურ კლასიფიკაციად, რასაც გთავაზობთ გარკვეული მოდიფიკაციით.

ღირსშესანიშნაობების კლასიფიკაციის კრიტერიუმებია: 1. წარმოშობის ხასიათი (გენეზისი); 2. ფუნქციური დანიშნულება; 3. მოტივაცია.

1. გენეზისის მიხედვით ღირსშესანიშნაობებს აჯგუფებენ შემდეგნაირად:

- ბუნებრივი – გეოგრაფიული გარემოს ყველა მიმზიდველი ელემენტი – მთები, ზღვა, ტბები, ტყეები, კლიმატური პირობები, გამოქვაბულები, ანუ ყველა ელემენტი, რომელიც ბუნებრივი პროცესების და მათი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიქმნა.
- ანთროპოგენური – ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, სასახლეები, მუზეუმები, პარკები, გალერეები და ა.შ., ანუ ყველა ის ელემენტი რომელიც ადამიანის ხელითაა შექმნილი.

2. ფუნქციური დანიშნულების კრიტერიუმების გათვალისწინებით გამოყოფენ ატრაქციების/ღირსშესანიშნაობების შემდეგ ტიპებს:

- რეკრეაციული – ზღვა, პლაჟი, ტბა, მთა, ტყე, კლიმატი და სხვა.
- შემეცნებითი – აქ ერთიანდება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური რესურსები, ანუ ყველაფერი, რაც ადამიანის შემეცნებით ინტერესს იწვევს: გამოქვაბული, არქიტექტურული ძეგლები, ბუნებრივი ძეგლები, ეროვნული და ლანდშაფტური პარკები, კლდეები, სასახლეები, რელიგიური სიწმინდეები, ტექნიკის ნოუ-ჰაუ და სხვა.
- სპეციალიზებული – ამ ტიპის რესურსები ძალზე მრავალფეროვანია და დამოკიდებულია ტურისტის სახეობაზე. მაგალითად, ტყეები –

სამონადირეო ტურების მოყვარულთათვის; ტბები, წყალსაცავები – თევზჭერის მოყვარულთათვის; სწრაფი და ენერგიული მდინარეები – ჯომარდობის მოყვარულთათვის; კარსტული მღვიმეები – სპელეო-ტურიზმის მოყვარულთათვის და ა.შ.

3. მოტივაცია

- ადგილი – ლანდშაფტური, კლიმატური, ისტორიული, კულტურული და სხვა, ანუ ყველა ადგილი, როდესაც გამგზავრების მოტივი სწორედ კონკრეტული ადგილია.
- ღონისძიება – ბაზრობები, ფესტივალები, გამოფენები, სპორტული ღონისძიებები, ანუ ყველა მოვლენა, რომელიც გამგზავრების მოტივს წარმოადგენს.

როგორც წესი, ადგილების გენეტიკური, ფუნქციური და მოტივაციური ღირსშესანიშნაობები ან ღონისძიებები განაპირობებს ტურისტის არჩევანს. ეს ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც მხედველობაში მიიღება ტურისტული პროდუქტის შექმნის დროს.

II. ტურისტული ინფრასტრუქტურა

ვინაიდან ტურისტის მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება ტურიზმის ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. საკამათო არ არის, რომ ინფრასტრუქტურა ღირსშესანიშნაობების მონახულების ხელშემწყობი, ზოგჯერ მეტიც, მთავარი მასტიმულირებელი ელემენტია.

ტურისტულ ინფრასტრუქტურას მეორენაირად ტურისტულ *მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასაც* ვუწოდებთ.

ინფრასტრუქტურის მთავარი კომპონენტებია:

- ტურისტთა განთავსების ბაზა – წარმოდგენილია სასტუმროებითა და სასტუმროს ტიპის სხვა ობიექტებით; სანატორიუმებით, ტურისტული ბაზებით, კემპინგებით, ბანაკებით, საძილე ვაგონებითაც კი.
- ტურისტთა კვების ბაზა – აერთიანებს კვების ყველა ობიექტს, ამასთან, როგორც დამოუკიდებლად, ისე განთავსების ადგილებზე (ბარები, რესტორნები, კლუბები, კაფეები, საჩაიეები, პიცერიები, ლუდის ბარები, HoReCa-ს ტიპის ობიექტები, გრანდ-კაფეები, სწრაფი კვების ობიექტები და სხვა).

- თანმხლები ინფრასტრუქტურა – დაწესებულებები, რომელთა მთავარი მიზანია ტურისტთა მომსახურება – აუზები, სპორტული ინვენტარის გაქირავების პუნქტები, იასტ-კლუბები, სათხილამურო საბაგიროები, სათვალთვალო მოედნები, საბიკნიკე ადგილები და სხვა მრავალი.
- პარატურისტული ბაზები – ეს ბაზები ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებზეა გათვლილი, თუმცა ტურისტული სეზონის დროს ამ ბაზებით ტურისტებიც სარგებლობენ. ესენია – მაღაზიები, კინოდაარბაზები, თეატრები, სამკურნალო დაწესებულებები, ფოსტა, ბანკები, ბიბლიოთეკები, საბავშვო სათამაშო მოედნები და სხვა.

ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტი შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

- მუდმივმოქმედი ობიექტები, რომლებიც ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში, ტურისტული სეზონის მიუხედავად.
- სეზონური ობიექტები, რომლებიც ფუნქციონირებს მხოლოდ სეზონის დროს.

III. სატრანსპორტო მისაწვდომობა

ტურისტული რესურსების კლასიფიკაციაში ნაკლებად შეხვდებით სატრანსპორტო მისაწვდომობას, როგორც ტურისტული რესურსის I რიგის ელემენტს. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ სატრანსპორტო მისაწვდომობა ერთ-ერთი უმთავრესი რესურსია, რომელიც განსაზღვრავს ატრაქციების/ღირსშესანიშნაობების ტურისტული მიზნებით რეალიზაციის შესაძლებლობებს.

სატრანსპორტო მისაწვდომობა კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- გარე მისაწვდომობა – აქ იგულისხმება ის სატრანსპორტო კომუნიკაციები, რომლებიც არსებობს ტურისტის საცხოვრებელ ადგილსა და დანიშნულების ადგილს შორის („ჭიშკარი“, ავტობანები, სარკინიგზო ხაზი, საავიაციო ხაზი, ბორანი და სხვა). რა თქმა უნდა, ამ ელემენტს თან უნდა ახლდეს აეროპორტები, სარკინიგზო სადგურები, ავტოსადგურები, ტერმინალები და სხვა.
- შიდა მისაწვდომობა – ემსახურება ტურისტთა გადაადგილებას დანიშნულების ადგილის ფარგლებში. ვგულისხმობთ ლოკალურ სარკინიგზო და საავტომობილო კომუნიკაციებს, საველოსიპედო გზებს, ტურისტული მარშრუტებისა და ექსკურსიებისთვის საჭირო ყველა კომუნიკაციას, როგორც საფეხმავლო, ისე საწყალოსნოს, საავტომობილოს და სხვა.

როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ვგულისხმობთ, რომ შიდა კომუნიკაციების თანმხლები ინფრასტრუქტურა (მაგალითად, სადგომები, სარკინიგზო და საავტომობილო გაჩერებები, პარკინგი, ბენზინგასამართი სადგურები და სხვა) განვითარებული უნდა იყოს.

გარდა I რიგის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებისა, რომლებიც, ვფიქრობთ, ნათლად გამოხატავს ამ რესურსების სტრუქტურას, ანგარიშგასაწევია ისეთი ელემენტების არსებობა, როგორიცაა:

- ტურისტული ადმინისტრირების სისტემა – ტურისტული სააგენტოები, ბიუროები, აგრეთვე, საინფორმაციო ცენტრები, რომლებიც მდებარეობს დანიშნულების ადგილებში.
- კომუნალური ინფრასტრუქტურა – წყალგაყვანილობა, საკანალიზაციო ქსელი, გაზმომარაგება, სატელეფონო და ელექტრონული ქსელები და სხვა.

მართალია, ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისათვის, თუმცა, ჩვენი აზრით, ვერ განიხილება, როგორც ტრრ-ის უშუალო სტრუქტურული ელემენტები და, შესაბამისად, არ აისახა №1 სქემაში.

IV. ტურისტულ-რეკრეაციული II რიგის ელემენტები

ჩვენი კლასიფიკაციის ე.წ. II რიგის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ელემენტებს ძირითადად დამხმარე დატვირთვა აქვს, თუმცა სავსებით თავისუფლად შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი. ესენია:

1. პოლიტიკური პირობები – ამ დეფინიციაში, როგორც რესურსში, ვგულისხმობთ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ხელს უწყობს/შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. როგორც წესი, ამ ქმედებებს განეკუთვნება: ლიბერალური სავიზო რეჟიმის შემოღება, საგარეო და შიდა კონფლიქტების თავიდან აცილება, ინვესტირების ხელსაყრელი პოლიტიკის შემუშავება, ქვეყნის იმიჯის, ისტორიის, კულტურის ფართო პრომოუშენის ხელშეწყობა.

2. ეკონომიკური პირობები – ძალზე მნიშვნელოვანი რესურსია ტურიზმის განვითარებისათვის. ეს არის რეალური რესურსი ტურიზმის ინვესტორთათვის. ამდენად, ნებისმიერი შეღავათიანი ეკონომიკური პირობები არა მარტო დამხმარე რესურსია, არამედ თავად შეიძლება იქცეს ძველი ტურისტული

რესურსების განვითარების და ახლის წინწაწევის საფუძვლად, ანუ ზოგადად ტურიზმის განვითარების რესურსად/პოტენციალად.

ამ პირობებში იგულისხმება:

- *საინვესტიციო კრედიტებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა* — მაგალითად, დაბალი საპროცენტო განაკვეთი ან საგადასახადო შეღავათები საინვესტიციო კრედიტებისთვის დამატებითი სტიმულია ინვესტორთათვის. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პირობებს იძლევა.
- *სპეციალიზებული ფონდების მოზიდვის პირობების შექმნა* — მაგალითად, მიზნობრივი ფონდების შექმნა, საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა, შემოწირულობების მოზიდვა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.
- *ფასები* — მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ტურიზმის გზით მაქსიმალური მოგების მისაღებად ფასი და ტურისტული პროდუქტის ხარისხი შეუსაბამობაშია ერთმანეთთან. საჭიროა ოპტიმალური საფასო პოლიტიკის შემუშავება, რათა მისაღები ფასების ფონზე შენარჩუნდეს ტურისტული პროდუქტის ხარისხი.

3. კულტურული პირობები — აქ ვგულისხმობთ კონკრეტული დანიშნულების ადგილისათვის დამახასიათებელ დასვენების კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობა ჭეშმარიტი რესურსია. ამასთან, ამ ფონზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ჩართულობა და ამ გზით მისი მხარდაჭერის მოპოვება ტურიზმის განვითარებისათვის (კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, ფართო ინფორმირებულობა).

ცხადაა, ამ ელემენტებს ვაკუთვნებთ ე.წ. არამატერიალურ კულტურულ ღირსშესანიშნაობებსაც — ადამიანებს, ტრადიციებს, რელიგიას, სახალხო დღესასწაულებს, ეროვნულ უმცირესობათა ეთნო-კულტურულ თავისებურებებს.

4. ეკოლოგიური პირობები — მოსახლეობის ეკოლოგიური განათლება, ბუნების დაცვის ფუნქციონალური სისტემის არსებობა მნიშვნელოვანი რესურსია ტურისტს, ადგილობრივ მოსახლესა და გარემოს შორის მრავალფეროვანი კავშირის დამყარებისათვის.

5. სოციალურ-დემოგრაფიული პირობები, როგორც რესურსი – ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის თავისებურებებით განისაზღვრება. მნიშვნელოვანია, თუ რამდენია თავისუფალი საშუალო ძალის რესურსი, განათლების დონე მომსახურების საკითხებში, დემოგრაფიული სტრუქტურა; რამდენად გაუცხოებული ან ღიაა მოსახლეობა ტურიზმის განვითარებისათვის.

6. ფსიქოლოგიური პირობები – განისაზღვრება რეგიონის აღქმით ტურისტების და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. არსებობს ე.წ. *აღქმა გარედან* – ანუ ტურისტებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული წარმოდგენები; ან *აღქმა შიგნიდან* – არსებული ღირსშესანიშნაობების სათანადო შეუფასებლობა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. ორივე მიმართულებით სწორად დაბალანსებული პოლიტიკა ფსიქოლოგიურ პირობებს უდავო რესურსად აქცევს.

7. ტექნოლოგიური პირობები – ფართო შესაძლებლობებს ქმნის რეგიონის ღირსშესანიშნაობების ტურისტული რეალიზაციისა და მთელი ტურისტული სისტემის უკეთ ფუნქციონირებისთვის. მაგალითად, შეზღუდული უნარების ადამიანთათვის ობიექტების მომზადება, თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიების გამოყენება, დაჯავშნის კომპიუტერული სისტემებისა და ელექტრონული გადახდების სისტემების შემოღება და სხვა.

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობა ადასტურებს ტრრ-ების/პოტენციალის უადრესად ფართო, ამასთან, კომპლექსურ ხასიათს. როგორც წესი, რესურსების უმთავრესი ელემენტებია ჩვენ მიერ I რიგის სტრუქტურულ ელემენტებად მოცემული ატრაქციები/ღირსშესანიშნაობები, ინფრასტრუქტურა და მისაწვდომობა.

ამა თუ იმ ტერიტორიის (რეგიონი, ობიექტი, რაიონი, ცენტრი) ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების/პოტენციალის ცოდნა და, რაც მთავარია, მისი შეფასება კონკრეტული ტერიტორიის ტურისტული პროდუქტის განსაზღვრის საფუძველია.


თაპი 3.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება


ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შესწავლისა და შეფასების მეთოდები

განვიხილოთ ტრრ-ის შესწავლისა და შეფასების მეთოდები, რომელიც მოცემულია №2 სქემაზე.

სქემა №2. ტურისტული რესურსების/პოტენციალის შესწავლა-შეფასება



სქემა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ.



სქემიდან ჩანს, რომ ტრრ-ის შესწავლა-შეფასება 3 ეტაპადა გააზრებული: *ეტაპი 1. - კვლევა, ინფორმაციის მოგროვება.*

- **წინასწარი კვლევა.** ამ შემთხვევაში საანალიზო ტერიტორიის შესახებ გროვდება ძირითადი/საბაზისო ინფორმაცია. ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს:
 - აღწერილობითი ხასიათი;
 - ინვენტარიზაციის ფორმა;
 - ანკეტური კვლევის/გამოკითხვის ფორმა.

- **წინასწარი კვლევის შედეგების პირველადი ანალიზი** ამ შემთხვევაში ფასდება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მნიშვნელობა და დანიშნულება. შეფასებისას გამოიყენება კვლევის შერჩეული ხერხები და მეთოდები: ინვენტარიზაციის სქემა, დეტერმინანტების სქემა, ქულების ბონიტირება, ტაქსონომიის მეთოდი და სხვა. ამ ნაწილის ინტეგრალურ ნაწილად ითვლება ტრრ-ის/პოტენციალის რუკის შედგენა.

ეტაპი 2. - კარტიფიკაცია. ეს ეტაპი წინა ეტაპის ინტეგრალური ნაწილია და წარმოადგენს სივრცითი ინფორმაციის შემცველ ყველაზე ეფექტურ თვალსაზრისს როგორც ტურისტთა, ისე ინვესტორთათვის. რუკები ძირითადად კომპლექსურია და მოიცავს ტურიზმისათვის საინტერესო რესურსებს (გაიხსენეთ, რას ვგულისხმობთ რესურსებში).

ეტაპი 3. - ანალიზი. ამ ეტაპს პირობითად შეიძლება ეწოდოს *„ტურისტული პოტენციალიდან ტურისტულ პროდუქტამდე“*.

ეს ფაქტობრივად *ანალიზისა და დასკვნების ეტაპია*, როდესაც ვლინდება საკვლევი ტერიტორიის ყველაზე მეტად მიმზიდველი თავისებურებანი და ფრაგმენტები ტურისტული აქტივობების კონკრეტული ფორმების გამოსავლენად.

ამგვარი კვლევის შედეგად, რომელიც შეიძლება განხორციელდეს SWOT ანალიზის მეშვეობით, განისაზღვრება და ზუსტდება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ის ელემენტები, რომლებიც შეიძლება და, სავალდებულოა, გამოყენებულ იქნას ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად.

განვიხილოთ აღნიშნული ეტაპები უფრო ვრცლად.

A•B - ტრრ-ების შესწავლა. არსებობს ტერიტორიის რესურსების ინფორმაციული ბაზის შექმნის არაერთი ხერხი. მათ შორის გვხვდება განსაკუთრებით შრომატევადი ხერხები, რომლებსაც სერიოზული ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება. არსებობს აგრეთვე ისეთი ხერხებიც, რომლებიც წარმატებით გამოიყენება დამოუკიდებელი კვლევებისას, საკვლევი ტერიტორიის კარგად ცოდნის შემთხვევაში.

განვიხილოთ ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდები, რომლებიც გვეხმარება ტერიტორიის პოტენციალის გამოსაკვლევადა:

აღწერა – არის ტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი რესურსების არამატერიალური მხარისა და შესაძლებლობების დახასიათება. ეს ხერხი ხშირად ერთადერთი ხელმისაწვდომი ხერხია, როდესაც ჩნდება პრობლემები მიღებული და მისაწვდომი ინფორმაციის დეტალიზაციის დროს.

ინფორმაციის გამოთხოვა – არის ინფორმაციის გამოთხოვა იმ ორგანიზაციებისგან, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდებიან საკვლევი რეგიონის ტურიზმს. ეს ორგანიზაციები შეიძლება იყოს ტურისტული ბიუროები, სააგენტოები, საინფორმაციო ცენტრები, სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა.

ინვენტარიზაცია – არის ტურისტული რესურსების მატერიალური ნაწილის ხარისხობრივი და რაოდენობრივი აღწერა. ამ ტიპის მეთოდის საფუძველია საველე სამუშაოები, რომლის დროსაც გროვდება ზემოაღნიშნული ინფორმაცია ღირსშესანიშნაობათა რაოდენობასა და ხარისხზე; ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სატრანსპორტო მისაწვდომობის ელემენტებზე, მათ ხარისხზე. შედეგად გროვდება მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის შევსება ხდება აღწერით.

გამოკითხვა/ანკეტური კვლევა – შეიძლება ჩატარდეს რეგიონებში, სადაც ყალიბდება ტურისტული მოთხოვნები. ამ ტიპის კვლევებში ძირითადად სწავლობენ პოტენციური ტურისტების მიერ დასახელებულ უპირატესობებს ან მათ ცოდნას საკვლევი ტერიტორიის შესახებ. კიდევ უფრო მეტ შედეგს იძლევა ამგვარი კვლევები რეციპიენტ რეგიონებში (ტურისტული მიწოდების რეგიონებში) და ტრანზიტულ რეგიონებში, სადაც მოიხმარება შექმნილი ტურისტული პროდუქტი.

ტურისტული რესურსების კომპონენტების თაობაზე ყველა ტიპის ინფორმაციის მოგროვების შემდეგ იწყება ამ ინფორმაციის ე.წ. *მოწესრიგების* ეტაპი.

შექმნილი საინფორმაციო ბაზა უნდა უზრუნველყოფდეს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (ან მისი ცალკეული ელემენტის) *ობიექტურად შეფასების* შესაძლებლობებს. ამგვარად დამუშავებული ინფორმაციის წყალობით ჩვენ ვრწმუნდებით იმაში, თუ რას ვფლობთ რეალურად.

ჩატარებული კვლევების შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს ტურისტული რესურსების მატერიალური ნაწილის სივრცობრივი განაწილების სურათი, ანუ უნდა შეიქმნას რუკა. ამას კი თან უნდა მოჰყვეს არამატერიალური რესურსების აღწერაც.

! დავიმახსოვროთ

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების შერჩეული მეთოდი ღირებულია მხოლოდ კარგი ანალიზისა და კვლევის შედეგების წარმოჩინების დროს.

CDEG – შეფასება. ტრრ-ების შეფასების შედეგების ანალიზი
 ტურისტული რესურსების შესწავლის შემდეგ მნიშვნელოვანია ამ მასალის ანალიზი. განვიხილოთ კვლევის შედეგების ანალიზის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები №2 სქემის მიხედვით.

ინვენტარიზაციის ცხრილში შეგვაქვს ჩვენთვის საინტერესო ელემენტები, რომლებსაც ტურისტული რესურსის შემადგენელ ელემენტებად მივიჩნევთ.

ინვენტარიზაციის ცხრილი ძალზე მარტივია და შეიცავს ინფორმაციას ამ ელემენტების არსებობის ან არარსებობის შესახებ (აღნიშვნა + ან -).

ჩანაწერის ფორმა რთულდება, როდესაც ჩვენ რთულ რეალიებს ვაწყდებით და ვცდილობთ საკვლევი ობიექტის უფრო ზუსტ დახასიათებას. ასეთ შემთხვევაში ვირჩევთ სიმბოლურ აღნიშვნებს, ციფრობრივ შეფასებებს (მაგალითად, თუნდაც რესურსების შეფასების შკალა ან სხვა).

დეტერმინანტების ცხრილის შედგენის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უნდა ვეცადოთ განვსაზღვროთ ფაქტორები, რომლებიც პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენს ტრრ-ების ელემენტებზე (ელემენტების სტრუქტურა მოცემულია სქემა №1-ში).

მაგალითისათვის, ეს ასე გამოიყურება:

ცხრილი №1

ტრრ-ების/პოტენციალის განვითარების დეტერმინანტები

პოზიტიური ფაქტორები	ნეგატიური ფაქტორები
1	2
ტერიტორიის ტურისტული ღირსშესანიშნაობები	
<ul style="list-style-type: none"> • მრავალფეროვანი რელიეფი • შენარჩუნებული ეთნოკულტურა • ღია და მიმზიდველი პეიზაჟი • სამკურნალო წყლები • კარგი შესაძლებლობა ეკოტურიზმისათვის და ა.შ. 	<ul style="list-style-type: none"> • არასათანადო რეკლამა • მოსახლეობის მწირი ინფორმირებულობა და ა.შ.

1	2
ტურისტული ინფრასტრუქტურა	
<ul style="list-style-type: none"> • სასტუმროების განვითარებული ბაზა (სტანდარტების მითითებით) • კურორტის არსებობა • კვების ობიექტების არსებობა (სტანდარტების მითითებით) • მშენებარე კვების ობიექტები 	<ul style="list-style-type: none"> • სასტუმროებში მომსახურების დაბალი სტანდარტები • დაჯავშნის თანამედროვე სისტემების არარსებობა • განთავსების არასაკმარისი ადგილები • სასტუმროებს თან არ ახლავს დამზარე ობიექტები • არ არსებობს სანიტარული ობიექტები
სატრანსპორტო მისაწვდომობა	
<ul style="list-style-type: none"> • მოხერხებული გზაჯვარედინული მდებარეობა • „ჭიშკართან“ სიახლოვე • საერთაშორისო აეროპორტიდან 50 კმ-ით დაშორება • საავტომობილო მაგისტრალების არსებობა • სარკინიგზო მაგისტრალის არსებობა 	<ul style="list-style-type: none"> • რეგიონული აეროპორტების არარსებობა • რეგიონულ ცენტრებთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციების სიმცირე • ავიაბილეთების მაღალი ფასები • ავტოსადგომების არარსებობა ქარავენინგის მოყვარულთათვის • ველოსიპედის გზების არარსებობა
პოლიტიკური პირობები	
<ul style="list-style-type: none"> • საეიზო ურთიერთობების გამარტივება/გაუქმება მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყანასთან • ტურისტული კანონმდებლობის შექმნა/დახვეწა • პოლიტიკური სტაბილურობა • ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჟურსის სტაბილურობა 	<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო, რეგიონული და ლოკალური გადაწყვეტილებების კოორდინაციის არარსებობა

1	2
<i>ეკონომიკური პირობები</i>	
<ul style="list-style-type: none"> • კონკურენტული ფასები მაღალგანვითარებულ ტურისტულ რეგიონებთან შედარებით • კერძო სექტორის განვითარების კარგი დინამიკა • უცხოური ვალუტის გაცვლის შეზღუდვის არარსებობა • ადგილობრივი ფულის კურსის მდგრადობა 	<ul style="list-style-type: none"> • ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი • საგადასახადო შეღავათების არარსებობა • გადასახადების თანამედროვე (უნაღლო) ფორმების ნელი განვითარება
<i>კულტურული პირობები</i>	
<ul style="list-style-type: none"> • მდიდარი თვითმყოფადი ეროვნული კულტურა • ტრადიციული სტუმართმოყვარეობა • ეთნოკულტურული ტრადიციების აღორძინების მცდელობები 	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის გაუცხოება ტურიზმის როლსა და მნიშვნელობაზე ეკონომიკის (მ.შ. რეგიონული ეკონომიკის) აღორძინების საქმეში • დასვენების მოდელის სტერეოტიპულობა (ზაფხული – ზღვა, აგარაკი; ზამთარი – მთა) • რეგიონული კულტურის მცირე რეკლამირება
<i>ეკოლოგიური პირობები</i>	
<ul style="list-style-type: none"> • ველური, ხელუხლებელი ბუნების არსებობა • ბუნების დაცვის ტრადიცია (პარკები, ნაკრძალები) • აგრო- და ეკოტურიზმის დინამიკური განვითარება 	<ul style="list-style-type: none"> • ჩამონადენი წყლების გამწმენდი სისტემის მოუწყვსრიგებლობა • ზედაპირული წყლების დაბინძურება • ატმოსფეროს ხმაურით დაბინძურება • მასობრივი ტურიზმის ნეგატიური შეგავლენა ბუნებაზე • მოსახლეობის ეკოლოგიური თვითშეგნების დაბალი დონე

1	2
<i>სოციალურ-დემოგრაფიული პირობები</i>	
<ul style="list-style-type: none"> • ეროვნულ ნიადაგზე კონფლიქტების არარსებობა • ეროვნული უმცირესობანი – ეთნოტურ-რიზმის საფუძველი • თავისუფალი სამუშაო ძალის რესურსები • მოტივაციური ტურიზმის დინამიკური განვითარება 	<ul style="list-style-type: none"> • ენობრივი ბარიერი • სერვისში დაკავებულთა მცირე ხვედრითი წილი
<i>ფსიქოლოგიური პირობები</i>	
<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის ბუნებრივი ქცევა • მოსახლეობის მზაობა/ლიაობა ცვლილებებისადმი • სხვა კულტურათა გაცნობის ინტერესი 	<ul style="list-style-type: none"> • გავრცელებული სტერეოტიპები ამა თუ იმ ერზე/რეგიონზე (მაგ., მოჩუბარი, ქურდი, უხეში, მოძალადე, ლოთი და ა.შ.) • ზოგიერთი ეროვნების მიმართ მიკერძობული დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობაში
<i>ტექნოლოგიური პირობები</i>	
<ul style="list-style-type: none"> • ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ფორმების დანერგვა • ახალი სამუშაო ტექნოლოგიების დანერგვა (მასალა, კონსტრუქცია) • ეროვნული სტანდარტების ადაპტაცია საერთაშორისო ნორმებთან 	<ul style="list-style-type: none"> • სუსტად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა • შეზღუდული უნარების ადამიანთათვის ინფრასტრუქტურის არარსებობა • გლობალური რეზერვირების სისტემის სუსტი განვითარება • სუსტი ფიჭური/ელექტრონული კომუნიკაციები

ზემოთ მოცემული დეტერმინანტების ელემენტების პოზიტიური და ნეგატიური მხარეების ნუსხა შეიძლება კონკრეტული ადგილისათვის განსხვავებული და ბევრად უფრო ვრცელი ან მოკლე იყოს. თუმცა, ჩვენი აზრით, როგორც ჩარჩო დოკუმენტი, საეხებით ნათლად ასახავს კვლევის შედეგების ანალიზის მოდელს.


ცხრილის შედგენისას განსაკუთრებით დავეყრდნით ნაშრომს – Стратегия развития национального туристического продукта Польши (Варшава.

Управление физической культуры и туризма, 1997), ვინაიდან ის მივიჩნით სხვა ნაშრომებთან შედარებით სრულყოფილ და, ამასთანავე, გასაგებ მოდელად ტრრ-ების შეფასების დროს.

ქულების ბონიტირება – არის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევიქმნათ ობიექტური, კომპლექსური წარმოდგენა საკვლევი ტერიტორიის ტურისტულ პოტენციალზე (ან მის ცალკეულ ელემენტზე). მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ ტრრ-ელემენტებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მიენიჭოს ე.წ. ბონუსები (ქულები). ქულები შეიძლება მიენიჭოს როგორც ელემენტების არსებობას ან ხარისხს (ე.ი. დადებითი), ისე მათ არარსებობას ან ცუდ ხარისხს (უარყოფითი ან საჯარიმო ქულები).


როგორც წესი, ბონიტირების შედეგები წარმოჩენილია კარტოგრაფიული, ე.ი. კარტოგრაფიული ხერხით:

- წერტილოვანი ობიექტების კვლევისას (მაგ., დასახლებული პუნქტები) – სიგნატურულ მეთოდს ვიყენებთ. სიგნატურა ასახავს მნიშვნელობის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების/ობიექტების ხარისხს. (პირობითად)



- – ნაკლებად მიმზიდველი (1-10 ქულამდე)
- – საშუალოდ მიმზიდველი (11-20 ქულამდე)
- – ძალზე მიმზიდველი (20 ქულაზე მეტი)

- სივრცითი ობიექტების კვლევისას კარტოგრამაზე მოცემული ფერის ინტენსივობა ან ფერების/შტრიხების შკალა გამოხატავს რესურსების მნიშვნელობას



- – არამიმზიდველი (0 ქულამდე)
- ▨ – ნაკლებად მიმზიდველი (1-10 ქულამდე)
- ▩ – საშუალოდ მიმზიდველი (11-20 ქულამდე)
- ▧ – ძალზე მიმზიდველი

ტურისტული რესურსების/პოტენციალის რუკა გამოხატავს ყველა ან ცალკეული ტურისტული ღირსშესანიშნაობის სივრცით სურათს. ამ მეთოდის ღირსება მის თვალსაჩინოებაშია. ანალოგიური რუკები შეიძლება შეიქმნას არამატერიალური ტურისტული ელემენტების კვლევისასაც.

SWOT ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხერხია, რომელიც თქვენთვის კარგად არის ცნობილი. ეს ხერხი ძალზე ეფექტურია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების/პოტენციალის შეფასების შედეგების ანალიზისთვის, რასაც საბოლოოდ მივყავართ ტურისტული პოტენციალის ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბებისკენ.

თქვენთვის ცნობილია ისიც, რომ SWOT ანალიზის ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად:

- პროფესიულად და დეტალურადაა ის მომზადებული
- ზუსტადაა შეფასებული ობიექტის ძლიერი და სუსტი მხარეები
- სწორად ვხედავთ საფრთხეებს და ვაფასებთ შესაძლებლობებს

კონკრეტული ადგილის SWOT ანალიზი წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის განსაზღვრის საფუძველს, აგრეთვე, ტურიზმის დაგეგმვის ოპერატიული და სტრატეგიული მიზნების ფორმულირების კარგ შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები:

ტრრ – ტურისტული პოტენციალი

ტრრ-ების ელემენტები

ღირსშესანიშნაობების კლასიფიკაციის კრიტერიუმები

ტურისტული ინფრასტრუქტურა – რესურსი

სატრანსპორტო მისაწვდომობა – რესურსი

ფუნქციონალური ტრრ-ები

ინვენტარიზაცია

დეტერმინანტების ცხრილი

ქულების ბონიტირება

ტრრ-ების რუკა

SWOT

რა არის ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი?

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ანალიზი/შეფასება.

ვფიქრობთ, ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ტურისტული პოტენციალი სწორედ მისი ხელუხლებელი, ველური და მრავალფეროვანი, საოცრად მიმზიდველი ბუნებაა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ბუნებრივი რესურსების ტურისტულ-რეკრეაციული ღირებულების შეფასება/დადგენა. ამასთან, ტრრ-ების ანალიზს არსებითი აზრი აქვს იმ შემთხვევაში, თუ რამდენად გააზრებულად და სწორად ვაქცევთ ამ პოტენციალს ტურისტულ პროდუქტად. მეორე მხრივ, როგორც ამ სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილსა და პირველ თავში ჩანს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტურისტული რესურსის არა მხოლოდ ტურისტულ პროდუქტად ჩამოყალიბება, არამედ მისი განუზრეელი დაცვა.

აი, რა უნდა ვიცოდეთ ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით:

ღლეისათვის ჩამოყალიბებულია თეზა, რომ ბუნებრივ რესურსებს ზოგადად განეკუთვნება „...ბუნების სხეულები და ძალები, რომლებიც ეკონომიკის განვითარებისა და შესწავლილობის მოცემულ დონეზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, მატერიალურ საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის ფორმით“.

ტურიზმის ორგანიზაციის პროცესში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბუნებრივი ფაქტორები ხან ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის პირობის, ხან კი რესურსის როლში გვევლინება. ამ გზავნილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათა გავიაზროთ ბუნებრივი სხეულების რესურსებად „გარდაქმნის“ მექანიზმი.



ბუნების ძალები და სხეულები ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებად გვევლინებიან მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ამგვარად განიხილებიან ტურიზმის ორგანიზატორთა და არა ტურისტის პოზიციიდან.

ტურისტული საქმიანობა მისი ციკლების განხორციელებისათვის მოითხოვს ბუნებრივი გარემოს კომფორტულ პირობებს. მათი არსებობის ფაქტი რაიმე ტერიტორიის ფარგლებში საკმარისია მხოლოდ *როგორც პირობა*,

გარკვეული დროის მანძილზე ერთეული დამსვენებლის ინტერესთა დასაკმაყოფილებლად. თუ კი დგება დამსვენებელთა დიდი ნაკადისათვის ტურიზმის ორგანიზაციის ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა, ასეთ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს განსაზღვრული ტერიტორია ტურისტთა დიდი ნაკადისთვის კომფორტული ბუნებრივი პირობებით, მისი ხანგრძლივადიანი, მდგრადი გამოყენებისათვის (*რესურსი*).

საკვანძო სიტყვები:

ბუნებრივი პირობა
ბუნებრივი რესურსი
კულტურულ-ესთეტიკური ლანდშაფტი
გეოგრაფიული სპეციფიკა
ეგზოტიკა
უნიკალობა
ლანდშაფტის რიგში
ბუნებრივი პირობა → ბუნებრივი რესურსი

ინტერნეტ გვერდები:

Yahoo! Directory for Recreation & Travel

[http:// www.yahoo.com/recreation/travel](http://www.yahoo.com/recreation/travel)

Tourism Education Web Site

<http://www.tourismeducation.org>

ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება

ბუნებრივი რესურსებზე ორიენტაცია ტურიზმის გამოკვეთილი თავისებურებაა. გარემომცველი ბუნების რესურსების ხელსაყრელობის შეფასება ტურიზმისა და დასვენებისათვის ტურიზმის სფეროთი დაკავებული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. ზოგადად რესურსების შეფასება ძალზე რთულია იმის გათვალისწინებით, რომ განიხილება ორი პოზიციიდან – ტურიზმის ორგანიზატორებისა და თავად ტურისტებისაგან.

ტერიტორიის პოტენციალის შეფასების ობიექტური კრიტერიუმების ძიება კვლავაც გრძელდება, თუმცა ჩვენი აზრით მრავალრიცხოვან პოზიციას შორის განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგ კრიტერიუმებზე ორიენტირება:

- ბუნებრივი გარემოს ფიზიოლოგიური კომფორტულობა ტურიზმის ორგანიზების მიზნით;
- ბუნებრივი ობიექტების – ძეგლებისა და ლანდშაფტის ელემენტების ატრაქტულობა.

შეფასების პროცედურა უპირველესად მოიცავს:

- შეფასების ობიექტების გამოყოფას;
- შეფასების კრიტერიუმების შერჩევას;
- შეფასების სკალის პარამეტრების დამუშავებას.

ამდენად, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება უნდა მოიცავდეს მონაცემებს:

- ბუნებრივი პირობების ხარისხის შესახებ;
- ტერიტორიის შესახებ, რომელზეც ეს ხარისხი ვრცელდება;
- დროის პერიოდზე, რომლის განმავლობაში ეს ხარისხი გამოვლინდება.

ბუნებრივი ტრანსპორტის კლასიფიცირებისას გამოყოფენ რესურსებს, რომლებიც *საკურორტო-სამკურნალო* თავისებურებების შემცველია. ესენია:


- მინერალური წყლები;
- სამკურნალო ტალახი;
- ტბებისა და ზღვების სამკურნალო რესურსები;
- სამკურნალო კლიმატური რესურსები და ლანდშაფტის პირობები.

და საკუთრივ *ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს*:

- კლიმატური პირობები;
- აკვატორია;
- პლაჟები;

- ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტი;
- ბუნების უნიკალური მოვლენები.

ბუნებრივი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება ბუნებრივი გარემო პირობების და თავისებურებების შესაბამისობის ანალიზს ტურიზმისა და რეკრეაციის ძირითადი ფორმების ტექნოლოგიურ მოთხოვნებთან:



რესურსების შეფასება ხდება დიფერენცირებულად, ხელსაყრელობის ხარისხის ნიშნით, ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებისთვის კონკრეტულ არეალში.

ტურიზმის სახეებისა და ტურისტული საქმიანობის გათვალისწინებით ხდება შემდეგი ფაქტორების შეფასება:

- ამინდის პირობები – ზამთრისა და ზაფხულის ამინდის კომპლექსის კომფორტულობის დონე, კომფორტული პერიოდის ხანგრძლივობა. *მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინტენსიური რეკრეაციული საქმიანობისა და სანატორიული მკურნალობისთვის.*
- ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობები – რელიეფის, მცენარეული საფარის, ნიადაგის, აკვატორიის, პლაჟების კომფორტულობა. *მნიშვნელოვანია მასობრივი რეკრეაციისთვის.*
- ლანდშაფტის ესთეტიკა – მცენარეული საფარი, პეიზაჟი, რელიეფის დანაწევრება/მრავალფეროვნება, ლანდშაფტის უნიკალურობა, ღია და დახურული სივრცეების თანაფარდობა. *მნიშვნელოვანია რეკრეაციის ყველა სახეობისა და სანატორიული მკურნალობისთვის.*
- ბუნების ძეგლები – *მნიშვნელოვანია ტურიზმის ყველა სახეობისთვის.*
- სანიტარულ-ჰიგიენური პირობები – ჰაერის, წყლის, მცენარეული საფარის, ნიადაგის დაბინძურების ხარისხი, წყარო.

► შეფასების საფუძველზე განისაზღვრება რეკრეაციული პოტენციალისა და მოსახლეობის მოთხოვნების თანაფარდობა კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში.

ტურისტული რესურსების შეფასებისას უნდა დაზუსტდეს:

- მიზიდველი ტურისტული ობიექტების გავრცელების საზღვრები
- ტურისტული ტრასების ადგილები და მათი მნიშვნელობის ხარისხი

ჩვენ მიერ შეფასებისათვის შერჩეულ იქნა ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურიზმისა და რეკრეაციის ყველაზე მასობრივი ფორმებისათვის. კერძოდ:

- კლიმატური რესურსები (ამინდის კომპლექსის ელემენტები)
- წყალსატევები და პლაჟები
- ტერიტორიები ლაშქრობებისთვის
- ტერიტორიები თხილამურებით გასეირნებისათვის

კლიმატური რესურსები - ამინდის კომპლექსის ელემენტები

ამინდის კომპლექსის ელემენტების ხელსაყრელობის ხარისხის მახასიათებლები

ამინდის კომპლექსის ელემენტები და რეკრეაციული საქმიანობის სეზონი	კომფორტულობის ხარისხი		
	ხელსაყრელი	შედარებით ხელსაყრელი	არახელსაყრელი

ზაფხული:

ჰაერის ტემპერატურა, °C

ქარის სიჩქარე, მ/წმ

შუეარდებითი ტენიანობა, %

19-26	15-18 - 27-30	<15 - >30
1-3	4-6	>6
40-60	30-40 - 60-80	<30 - >80

ზამთარი:

ჰაერის ტემპერატურა, °C

ქარის სიჩქარე, მ/წმ


თოვლის საფარის სიმაღლე, სმ

-5 - 10	0, -4 - -11-15	<0 - >15
<2	2-3	>3
30-40	15-30 - 40-60	<15 - >60


* შენიშვნა: ივლისისმება პერიოდები მდგრადი საშუალოდღიური ტემპერატურებით: ზაფხული - 15°C და მეტი; ზამთარი - 0°C და ნაკლები.

კომფორტული აშინდის ხანგრძლივობის მანეჯენტები

ხანგრძლივობა:
დღეები



* ხელსაყრელ და შეღარებით ხელსაყრელ ხანგრძლივობად მიიჩნევა 110 დღეზე მეტი.



* ხელსაყრელ და შეღარებით ხელსაყრელ ხანგრძლივობად მიიჩნევა 95 დღეზე მეტი.

წყალსატევები, პლაჟები

შესაფასებელ ფაქტორებად შერჩეულია შემდეგი მახასიათებლები:

- სანაპიროს თავისებურებანი
- წყალმარჩხი ზონების ფართობები (წყალმარჩხ ზონებად მიიჩნევა წყალსატევის სიღრმე 0,5 მ-დან – 1,5-2 მ-მდე მოზრდილთათვის; 0,5 მ-დან – 1-1,2 მ-მდე ბავშვებისათვის)
- შელფის ლითოლოგია
- პლაჟები
- დინების სიჩქარე, მ/წმ
- წყლის ტემპერატურა, C^o
- ეკოლოგიური პირობები

ბუნებრივია, მახასიათებლების ნუსხა შეიძლება გაიზარდოს, რაც დამოკიდებულია ბანაობის, ცურვისა და ზღვის აბაზანების მოყვარულთა ცვლად მოთხოვნებზე, ისევე, როგორც რესურსების ტრანსფორმაციისკენ მიდრეკილებაზე; შესაბამისად, ადეკვატურად შეიძლება შეფასდეს კრიტერიუმებიც.

წყალსატევების სანაპიროს და პლაჟების კომფორტულობის შეფასებისას საერთაშორისო პრაქტიკა, ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევებსა და მარკეტინგულ ანალიზზე დაყრდნობით, *ხელსაყრელად* მიიჩნევს ისეთ ნაპირებს, რომლებსაც ახასიათებს მშრალი, ტერასული დისპოზიციის უბნები და მათზე არ უნდა გეხვდებოდეს ციცაბოკალთებიანი ამალღებები, ანუ სანაპიროებს, რომლებიც თავისი ბუნებრივი მდგომარეობის ფარგლებში ვარგისი იქნება ასათვისებლად.

შედარებით ხელსაყრელად აღიარებულია მშრალი, ციცაბოკალთიანი, ზოგჯერ ფლატე ნაპირები, რომელთა ათვისებისათვის საჭიროა არც ისე რთული ღონისძიებების გატარება, მაგალითად, წყალსატევამდე ჩასასვლელი კიბეების, ბილიკების ორგანიზება.

ერთმნიშვნელოვნად *არახელსაყრელია* დაჭაობებული სანაპიროები, რომელთა ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისთვის გამოყენება რთული და ამავე დროს ძვირადღირებული მელიორაციული ან ჰიდროტექნიკური სამუშაოების ჩატარების გარეშე შეუძლებელი იქნება. ასევე *არახელსაყრელია* ვიწრო ნაპირები, რომლებიც ძალზე მაღალი კლიფებისა და ფლატეების გამო გამოყენებისათვის არამიზანშეწონილია და ამასთან ტურისტისთვის საფრთხეს შეიცავს.

წყალმარჩხი ზონების სიდიდე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს წყალსატევების კომფორტულობას, რადგან სწორედ ამ ზონებშია მიზანშეწონილი ცურვა და ბანაობა.

ზონების სიდიდისადმი მოთხოვნები განსხვავებულია წყალსატევის ტიპის შესაბამისად.

მდინარეებისა და ტბებისათვის *ხელსაყრელად* ითვლება 20-50 მ ზონა, ხოლო ზღვებისათვის 20-100 მ.

შედარებით ხელსაყრელია ბანაობისა და ცურვისთვის გამოსაყენებლად წყალმარჩხი ზონები: მდინარეებისა და ტბებისთვის 20 მ-მდე და 50 მ-ზე მეტი; ზღვებისთვის – 100 მ-ზე მეტი.

ტურიზმისა და დასვენების ამ სახეობის მოყვარულთათვის სრულიად *არახელსაყრელია* ისეთი სანაპირო, რომელსაც შელფური ნაწილი საერთოდ არ აქვს, ე.ი. არ არსებობს წყალმარჩხი ზონა და ნაპირი უშუალოდ გადადის ღრმა წყალში.

ნაპირის კომფორტულობის აღიარებისათვის, თითოეულ დამსვენებელს პირადად აქვს გამოცდილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს *შელფის ლითოლოგობას*.

ხელსაყრელია ქვიშის ან წვრილხრეშიანი შელფები.

შედარებით ხელსაყრელის კატეგორიას აკუთვნებენ მსხვილხრეშიან, კაჭარიან, დაღამულქვიშიან სანაპიროებს.

არახელსაყრელია თიხის, ლამის, მსხვილქვებიანი შელფები.

პლაჟების კომფორტულობის ხარისხის შეფასებისას ძალზე *ხელსაყრელად* ითვლება ქვიშისა და წვრილხრეშიანი სანაპიროები.

შედარებით ხელსაყრელად მიიჩნევა ქვიშნარი, კორდიან თიხნარი, მსხვილხრეშიანი პლაჟები.

არახელსაყრელია თიხით, ტორფითა და მსხვილი ქვით აგებული პლაჟები.

წყლის დინების სიჩქარე აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომელმაც შესაძლოა ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის კომფორტულობა უსარგებლოდ აქციოს.

მეტწიერ მკვლევარები მიიჩნევენ, რომ *ხელსაყრელია* დინება, თუ მისი სიჩქარე 0,3 მ/წმ-ს არ აღემატება.

შედარებით ხელსაყრელად ითვლება დინება 0,3–0,5 მ/წმ სიჩქარით. *არახელსაყრელი* მაჩვენებელია, თუ დინების სიჩქარე 0,5 მ/წმ-ზე მეტია.

* შენიშვნა: აქ ჩვენ ვგულისხმობთ წყალსატევებზე (ზღვები, ტბები, მდინარეები) დასვენებისა და გართობის მასობრივ სახეებს და არა ექსტრემალურ ტურიზმს.

წყლის ტემპერატურა ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ყველა ზემოაღნიშნულ მახასიათებელთან ერთად არსებით როლს თამაშობს ამ ტიპის რესურსების შეფასებისას.

იოლი წარმოსადგენია დამსვენებლის დაკმაყოფილებლის ხარისხი, თუ მას მშრალ, ტერასირებულ, ქვიშიან, საკმაო წყალმარჩხობის ზონას, წყლის ზომიერ დინებას შევთავაზებთ, წყლის ტემპერატურა კი სრულიად მიუღებელი იქნება ტურიზმისა და რეკრეაციის ამ სახეობის მოყვარულთათვის.

დადასტურებულია, რომ *კომფორტულია* წყალსატევი, თუ მასში ტემპერატურა 18-24°-ის ფარგლებშია.

შედარებით ხელსაყრელად ითვლება 16-17° და 25-26° ტემპერატურა.

ხოლო თუ წყლის ტემპერატურა 16°-ზე ნაკლები და 26°-ზე მეტია, *არახელსაყრელია* დამსვენებლისთვის.

ხარისხიანი ეკოლოგიური პირობებისადმი თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნები სულ უფრო მზარდი და ზოგჯერ კატეგორიულია.

კომფორტულ და ხარისხიან სანაპიროდ ითვლება ისეთი სანაპიროები, რომლებსაც არ აქვს დაბინძურების წყაროები. ასეთი ნაპირები აუცილებლად პასუხობს ყველა სანიტარულ მოთხოვნას პლაჟების მოწყობისა და ექსპლუატაციის შესახებ.

თუ სანაპიროს აქვს დაბინძურების წყარო, მაგრამ ამ წყაროს აღმოფხვრა იოლად შეიძლება, ასეთი სანაპიროები *შედარებით ხელსაყრელადაა* აღიარებული.

არა თუ არახელსაყრელი, არამედ *სრულიად მიუღებელი და უგარვისა* სანაპირო, რომლის დაბინძურების ნორმა აღემატება დაბინძურების ზღვრულ კოეფიციენტს, ხოლო დაბინძურების წყაროს აღმოფხვრა შეუძლებელია.

ტერიტორიები ლაშქრობებისთვის

ლაშქრობებისთვის გამოყენებული რესურსების კომფორტულობის ხარისხის განსაზღვრისათვის შერჩეულია შემდეგი ფაქტორების კომპლექსი:

- მცენარეული საფარი
- რელიეფის ღია და დახურული სივრცეების თანაფარდობა:
 - დანაწევრების სიხშირე, კმ
 - დანაწევრების სიღრმე, მ
 - დახრილობა, °
 - დატბორვა, %
 - დაჭაობება, %

ლაშქრობებისათვის ძირითად რესურსს, ცხადია, ტერიტორია წარმოადგენს. ამდენად, რესურსული მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ამ სახის ტურიზმს გაცილებით დიდი არჩევანი აქვს. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლაშქრობებისთვის სწორად შერჩეულ და დაგეგმილ ადგილებს/ტერიტორიებს, ანუ მათ კომფორტულობას.

ხელსაყრელია და მიზიდველია ითვლება ტერიტორიები შერეული, წინწკიანი და ფართოფოთლოვანი ნათელი ტყეებით დაფარული ტერიტორიები, აგრეთვე, ტყე-მინდვრების შეხამება, ანუ მშრალი და სუფთა საცხოვრებელი ადგილები, I-II ბონიტეტი*; სისავესე 0,6- 0,8; 0,3-0,7.

შეღარიბით ხელსაყრელია მუქწიწვიანი და ფოთლოვანი ტყეების შეხამების ადგილები, მინდვრები (ძალიან მშრალი ან ძალიან ტენიანი საცხოვრებელი ადგილები); III-IV ბონიტეტი; სისავესე – 0,8-ზე მეტი.

არახელსაყრელია მუქწიწვიანი, ნესტიანი ტყეები – V ბონიტეტი.

* *ტყის ბონიტეტი* – ტყის მონაკვეთის სამეურნეო ღირებულების მაჩვენებელი. ხასიათდება მერქნის ნამატის ნორმებით (ზოგჯერ მცენარეთა სიმადლით), მცენარის ასაკის შესაბამისად. გამოყოფენ ბონიტეტის 5 კლასს, I-დან V-ს ჩათვლით. I ითვლება ყველაზე მწარმოებლურად.

* *ბონიტირება* – ცალკეული ბუნებრივი რესურსისა (წყალი, მიწები, ტყეები, ფლორა, ფაუნა) და მათი ტერიტორიისთან შეთავსების ხარისხობრივი შეფასება.

სამეურნეო თვალსაზრისით ღირებული სავარგულების ან ობიექტთა ჯგუფი, რომელსაც ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, ნიადაგის სიმდიდრე, მინერალური რესურსების მოპოვების იოლი მისაწვდომობა).

სალაშქრობო ტერიტორიის დანაწევრების თვალსაზრისით შეფასებისას, აუცილებლად გათვალისწინებულია ის, რომ ძლიერ დანაწევრებული რელიეფის პირობებში ლაშქრობისათვის არახელსაყრელი ვითარება იქმნება.

ხელსაყრელია ტერიტორია, თუ დანაწევრების სიმჭიდროვე 0,8 კმ-ია, არახელსაყრელი 3 კმ-ზე მეტი; ხოლო შედარებით ხელსაყრელად კი მიჩნეულია 0,8-3კმ-ის ფარგლები.

გასათვალისწინებელია აგრეთვე დანაწევრების სიღრმე.

თუ ტერიტორიაზე გვხვდება 30-60 მ სიღრმის დანაწევრების ადგილები, ასეთ ტერიტორიას ხელსაყრელად მიიჩნევენ.

შედარებით ხელსაყრელია ტერიტორია დანაწევრების 10-30 მ-იანი სიღრმით.

არახელსაყრელია არაიმპიჯიდველი და, მაშასადამე, არაკომფორტულია ტერიტორიები 10 მ-ზე ნაკლები დანაწევრების სიღრმით.

ტერიტორიის დახრილობის სიდიდე ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ლაშქრობების ორგანიზატორთა მიერ სერიოზულად გასათვალისწინებელი ფაქტორია.

თუ დახრილობა შეადგენს 3-5⁰-ს, ამგვარ ტერიტორიას ხელსაყრელად თვლიან.

შედარებით ხელსაყრელია ტერიტორია 5-10⁰-იანი დახრილობით.

არახელსაყრელია ტურიზმის ამ სახეობისთვის ტერიტორია 10⁰-ზე მეტი დახრილობით.

ტერიტორიის გამძლეობის ხასიათის გათვალისწინებით ხელსაყრელად მიიჩნევა 15-25%, შედარებით ხელსაყრელად 10-15% და 25%-ზე მეტი. არახელსაყრელია 10%-ზე ნაკლები გამძლეობების ტერიტორიები.

დაჭაობების ფაქტორის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია ლაშქრობისთვის გამოსაყენებელი/დაგეგმილი ტერიტორიების შეფასებისას.

მიჩნეულია, რომ 1-3%-ით დაჭაობებული სალაშქრობო ტერიტორია ხელსაყრელია.

შედარებით ხელსაყრელია ტერიტორია 3-5% დაჭაობებით.

უეარვისია სალაშქრობოდ ისეთი ტერიტორიების გამოყენება, სადაც დაჭაობება 5%-ს აღემატება.

ცხადია, შემოთავაზებული შეფასების ფაქტორები და კრიტერიუმები ტურიზმის მასობრივ სახეობებზე ვრცელდება. იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმი უაღრესად დინამიკური, სწრაფად განვითარებადი, ცვლადი დარგია და, როგორც არაერთხელ აღინიშნა ჩვენ მიერ, მოთხოვნისა და მიწოდების კომპლექსურ სისტემას წარმოადგენს, არ გამოვირიცხავთ, რომ გაჩნდეს მოთხოვნები, მაგალითად, იგივე ჭაობების მიმართ, რომელიც შესაძლებელია ჩაერთოს ლაშქრობის მარშრუტში. რაც, რაღა თქმა უნდა, შეფასების მოცემული კრიტერიუმების გადახედვის აუცილებლობას შექმნის.

ტერიტორიები სათხილამურო გასეინებისთვის

თხილამურებით სეირნობაც განიხილება მასობრივი ტურიზმის ერთ-ერთ სახეობად, რომლის ორგანიზებისთვის უნდა შეფასდეს ტერიტორიის ისეთი მონაცემები, როგორცაა რელიეფი და რელიეფის ზედაპირის თავისებურებანი, აგრეთვე ტყიანობა.

ამ თვალსაზრისით ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება *ტერიტორიის დახრილობას*. ბარის პირობებში –

- *კომფორტულია* ტერიტორია, რომლის დახრილობაა 5-15°
- *შედარებით კომფორტულია* ტერიტორია, რომლის დახრილობაა 15-25°
- *არახელსაყრელია* ტერიტორია, რომლის დახრილობაა 5°-ზე ნაკლები ან 25°-ზე მეტი

მთის რელიეფის პირობებში შესაბამისად:

- *ხელსაყრელია* 25-45°-იანი დახრილობა;
- *შედარებით ხელსაყრელია* 15-25°-იანი დახრილობა;
- *არახელსაყრელია* 15°-ზე ნაკლები ან 45°-ზე მეტი დახრილობა.

ტერიტორიის დახრილობასთან ერთად მნიშვნელოვანია შეფასდეს *რელიეფის ზედაპირის თავისებურებანი*, სადაც ერთმნიშვნელოვნად *ხელსაყ-*

რელია ტერიტორია დაბრკოლებების გარეშე; შედარებით ხელსაყრელია ერთეული დაბრკოლების შემცველი ტერიტორია, ხოლო ქვიანი ტერიტორიები არახელსაყრელია თხილამურებით სეირნობის მოყვარულთათვის.

ტყიანობის 25-75%-იანი მაჩვენებელი ხელსაყრელად არის შეფასებული; 25%-ზე ნაკლები – შედარებით ხელსაყრელად, ხოლო 75%-ზე მეტი – არახელსაყრელად.

სამთო-სათხილამურო ტურიზმისათვის, ცხადია, ძირითადი რესურსი არის თოვლი, რომლის მდგომარეობა (სიმკვრივე, სისქე) განსაზღვრავს ამ რეკრეაციული სავარგულის ექსპლოატაციის რეჟიმს. სუბსტრატის ტემპერატურა დატკეპნილი თოვლის ქვეშ 10° -ით ნაკლები უნდა იყოს ბუნებრივ მდგომარეობასთან შედარებით, რაც ახანგრძლივებს ამ რესურსის კომფორტულობას, მინიმუმ 2-3 კვირით. ცხადია, ტრასების რაოდენობა, მათი სიგრძე ასევე მნიშვნელოვანი რესურსია, თუმცა ამ თვალსაზრისით ერთიანი სტანდარტი არ არსებობს.

საკვანძო სიტყვები:

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი
საკურორტო რესურსი
ბუნებრივი პირობების ხარისხი
ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი
კომფორტული ამინდის კომპლექსი
კომფორტული ამინდის ხანგრძლივობა
სანაპიროს თავისებურებანი
წყალმარჩხი ზონები
შელფის ლითოლოგია
დინების სიჩქარე
ეკოლოგიური პირობები
ფლატე სანაპირო
ტერიტორია ლაშქრობებისთვის
ტერიტორია სათხილამურო გასეირნებისთვის

№ ტერიტორია მდებარეობს ზღვიდან 7 კმ დაშორებით, 800 მ სიმაღლეზე ზ. დ. მას გარს აკრავს ფართოფოთლოვანი ტყეები უნიკალური ენდემური ჯიშებით. ტყიანობის მაჩვენებელი 40%-ია. ამ ტერიტორიის ზაფხულის საშუალო დღიური ტემპერატურა 30 C°-ია, ხოლო ზამთრის -6 C°. ქარის სიჩქარეა 2 მ/წმ. ტერიტორია მაღალი შეფარდებითი ტენიანობით გამოირჩევა, რაც 75% შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიის სიმაღლე დიდი არ არის, რელიეფი ძლიერ დანაწევრებულია (4 კმ), დანაწევრების სიღრმე 60 მ აღწევს. ძლიერი დანაწევრების გამო, ფერდობთა დახრილობა 10°-ია. თოვლი აქ ხშირი მოვლენაა. თოვლის საფარის სიმაღლე საშუალოდ 30 სმ-ია.

ტერიტორიას ზღვის სანაპიროსთან გრუნტის გზა აკავშირებს. ზღვის წყლის ტემპერატურა 20 C°-ია; ალაყი – ქვიშიანი; წყლის დინების სიჩქარე 0,2 მ/წმ. წყალმარჩხი ზონის სიღრმე 10 მ-ია. უხვნალექიანობის გამო, სანაპიროზე აქა-იქ გვხვდება დაჭაობებული ტერიტორიები, რომელთა ამოშრობა სახელმწიფო დაფინანსების პროგრამით უკვე დაწყებულია.

№ ტერიტორიიდან 10 კმ რადიუსზე არ გვხვდება რაიმე მნიშვნელოვანი საწარმო. აქ ძირითადად აგრარული მეურნეობაა განვითარებული. მოცემული ტერიტორიის ფართობი 1200 კმ²-ს შეადგენს. ერთადერთი მდინარე ტერიტორიას თითქმის ორ ტოლ ნაწილად ყოფს. ეს მდინარის ქვემო წელია.

№ ტერიტორიიდან 20 კმ-ზე ჩ.ა.-ით მდებარეობს საყოველთაოდ ცნობილი კურორტი. კურორტი საზაფხულოა და უამრავ დამსვენებელს იზიდავს.

???

1. შეაფასეთ № ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები (შეფასებისას გამოიყენეთ SWOT ანალიზი).
2. აღნიშნული ტერიტორიის ინტენსიური ტურისტული აღორძინება სახელმწიფო პრიორიტეტია. რა რეკომენდაციებს მისცემდით სახელმწიფო ინსტიტუტებს აღნიშნულ ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მნიშვნელობის შესახებ?
3. შეიძლება თუ არა № ტერიტორიაზე ხარისხიანი ტურიზმის განვითარება?

თუ თქვენი პასუხი დადებითია, ტურიზმის რა სახეების განვითარებას ურჩევდით სახელმწიფო სტრუქტურებს და რატომ?

თუ თქვენი პასუხი უარყოფითია, დაასაბუთეთ ამ ტერიტორიაზე ხარისხიანი ტურიზმის განვითარების შეუძლებლობა.



რეკომენდაცია:

გახსოვდეთ,

ტურიზმის წარმატებულ განვითარებას კომპლექსური ხედვები და მიდგომები განაპირობებს!!!

თაშვი 4.

ტურისტული ბუნებათსარგებლობა

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასებას ორი უმნიშვნელოვანესი მიზანი აქვს:

1. შეეფასოს არსებული რესურსების ხარისხი და მნიშვნელობა, ტურისტული მიზნებისათვის გამოყენების მიზნით.
2. ვეძებთ ბუნებრივი რესურსების გამოყენების ოპტიმალური რეჟიმი ტურისტული მიზნებისთვის.

ტურისტული ბუნებათსარგებლობა თანამედროვე ტურისტულ თეორიებსა და პრაქტიკაში სულ უფრო და უფრო პოპულარულ მიმართულებად ყალიბდება, რომლის კვლევის სფერო სწორედ რესურსების გამოყენების ზემოაღნიშნული ოპტიმალური რეჟიმის დადგენასთანაა დაკავშირებული.


ტურიზმი, როგორც ინდუსტრიის დარგი, განსხვავებით სხვა დარგებისგან, რომლებიც მკვეთრად ორიენტირებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებისკენ, განსაკუთრებული ფუნქციის მატარებელია.

კერძოდ:

- არ ხდება ტურისტული პროდუქციის ტრანსპორტირება მომხმარებელთან, პირიქით, ტურიზმი იწვევს რესურსების თავმოყრის ადგილას მოსახლეობის მიგრაციას.
- ტურისტული რესურსების მოხმარება ხდება ლოკალიზაციის ადგილებში და ამ პროცესს თან არ ახლავს რესურსების „ამოღება“.
- ტურიზმი ხშირად პირველია ბუნებრივი რესურსების გამოყენების საქმეში. ის ითრევს ეკონომიკურ/სამეურნეო ბრუნვაში მანამდე გამოუყენებელ ბუნებრივ კომპლექსებსა და მის ელემენტებს: მაღალ მთებს, ეგზოტიკურ და უნიკალურ ლანდშაფტებს, გამოქვაბულებს, ჩანჩქერებს და ა.შ.
- სხვა დარგებისგან განსხვავებით, ტურიზმი არ გადაამუშავებს რესურსებს, ის ბუნებრივ კომპლექსს მთლიანობაში იყენებს.

ტურიზმი, როგორც ბუნებათსარგებლობის მრავალდარგოვანი სახეობა, რომელიც აკმაყოფილებს განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მოთხოვნებს, ბუნებრივ კომპლექსებს ყველაზე მრავალფეროვან მოთხოვნებს უყენებს.

ტურისტული ბუნებათსარგებლობის ფუნქციონალური მოდელი*



ბკ – ბუნებრივი კომპლექსი, ტს – ტექნიკური სისტემები (ტურიზმის მატერიალური ბაზა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა), მკ – მომსახურე პერსონალი, ტ – ტურისტები; მ(ო) – მართვის ორგანო.

პირობითი ნიშნები: 1 - 2 - 3 -

1 - ბუნებრივი კომპლექსის კავშირი სხვა ქვესისტემებთან: ა - ბუნებრივ კომპლექსებზე ტექნიკური ზეგავლენა, ბ - ტექნიკური რესურსებისადმი მოთხოვნა, გ - ანთროპოგენული რეკრეაციული ზემოქმედება, დ - ბუნებრივი პირობების შერჩევითობა, ე - ანთროპოგენული საყოფაცხოვრებო ზემოქმედება, მ - მუდმივ მაცხოვრებელთა მოთხოვნა საცხოვრებელი გარემოს მიმართ.

2 - ინფორმაცია ქვესისტემების მდგომარეობაზე: I - ტექნოლოგიური ბუნებრივი პირობების და ტექნოლოგიის ეკოლოგიური ეფექტურობის მარაგზე, II - ბუნებრივი პირობების შესაბამისობა ტურისტთა მოთხოვნაზე და რეკრეაციული მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეზე, III - ადამიანთა ცხოვრების ბუნებრივი გარემოს კომფორტულობაზე, IV - ბუნებრივი კომპლექსის მდგრადობაზე.

3 - მართვის აგუყუები.


* И.В. Зорин, В.А. Квартальнов. Энциклопедия туризма. М., 2003. стр. 165.

სქემაზე მოცემულია ტურისტული ბუნებათსარგებლობის ფუნქციონალური მოდელი:

როგორც ვხედავთ, ბუნებრივი კომპლექსი ფუნქციონალური მოდელის ცენტრალური კვებისტემაა. ეს შეიძლება იყოს ლანდშაფტი, ფაციესი, პროვინცია, ზონა. დამოკიდებულია პრობლემის გადაწყვეტის იერარქიულ დონეზე.

ბუნებრივი კომპლექსის მდგომარეობა იზომება შემდეგი პარამეტრებით: ფართობი (ჰა); ტევალობა (კც.); დატვირთვა (კც/ჰა).

ბუნებრივ კომპლექსს უნდა ახასიათებდეს:



როგორც წესი, ბუნებრივი კომპლექსის კვლევისას დიდი ყურადღება ეთმობა ტურისტთა მხრიდან კომპლექსის გადატვირთვის საფრთხეების შესწავლას, აგრეთვე, ლანდშაფტის სხვადასხვა ტიპზე რეკრეაციული დატვირთვის ზღვრული ნორმების დადგენას.

მოცემული მოდელი ყველა იმ კავშირისა და ურთიერთობის სისტემატიზების საშუალებას იძლევა, რომელიც არსებობს ბუნებრივ კომპლექსსა და მის კვებისტემებს შორის. ვფიქრობთ, ის პრაქტიკული საქმიანობისთვის ხელსაყრელია.

ფუნქციონალური მოდელის გაანალიზება შესაძლებელს ხდის სწორად იმართებოდეს:

- ბუნებრივ კომპლექსზე ტექნოლოგიური ზემოქმედება ტურიზმის მატერიალური ბაზისა და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მიერ, ტურისტული დაწესებულებების ექსპლუატაციის ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიების შემუშავებით.
- ბუნებრივ კომპლექსზე რეკრეაციული ზემოქმედება, ტურიზმისა და რეკრეაციული საქმიანობის ციკლების პროგრამების სრულყოფით.
- ბუნებრივ კომპლექსზე ყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედება, ეკოლოგიურად მისაღები საყოფაცხოვრებო ტექნოლოგიების შემუშავებით; და სხვა.

ტურისტული ბუნებათსარგებლობის ერთ-ერთი კონსტრუქციული კონცეფციაა *პოლარიზებული ლანდშაფტის სქემა*.

კონცეფციის ამოსავალი თეზაა „დიდი ქლაქი და ხელუხლებელი ბუნება“. როგორც ვხედავთ, ეს თანამედროვე ბიოსფეროს ორი პოლუსია, თუმცა ორივე თანაბარწილად საჭირო თანამედროვე ადამიანისთვის. იმისათვის, რომ ბუნებრივი ლანდშაფტი არ ზიანდებოდეს ქლაქის სიახლოვით და არ უშლიდეს ხელს მის ზრდას, ისინი რაც შეიძლება დიდ მანძილზე უნდა „დავაშოროთ“ ერთმანეთს ან გავყოთ და ამავე დროს დავუკავშიროთ ერთმანეთს ე.წ. გარდამავალი ფუნქციონალური ზონებით. ამ შემთხვევაში მოსახლეობის სიმჭიდროვე, ტერიტორიის სამეურნეო ათვისების დონე, სხვადასხვა დანიშნულების ადგილებზე მისვლის სიხშირე თანდათანობით გადაინაცვლებს ცენტრიდან ბუნებრივი რეზერვაციისკენ.

პოლარიზებული ლანდშაფტის კონცეფცია კარგად ეხამება ტურისტულ-რეკრეაციული ტერიტორიის ფუნქციონალური ზონალობის კონცეფციას (ანუ ტერიტორიის ტიპოლოგიურ რაიონირებას).

საკვანძო სიტყვები:

ტურისტული ბუნებათსარგებლობა
ტურისტული ბუნებათსარგებლობის ფუნქციონალური მოდელი
ბუნებრივი კომპლექსი
პოლარიზებული ლანდშაფტი

? ? ?

1. რა არის ტურისტული ბუნებათსარგებლობის კვლევის მიზნები?
2. რა არის ბუნებრივი კომპლექსი?

გაანალიზეთ დამოკიდებულება:

ბუნებრივი კომპლექსი ⇒ ტურისტი

„მითი“

„ტურიზმი დიდ დარტყმას აყენებს და აზიანებს განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივ გარემოს, ანგრევს მას და ეს პროცესი შეუქცევადია.“

ფაქტობრივად?

დაადასტურეთ ან უარყავით ზემოაღნიშნული „მითი“ სათანადო არგუმენტების გამოყენებით.

თავი 5.

ტურისტულ-რეკრეაციული სისტემების ფუნქციონალური ზონირება

ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე დაგეგმვის პროცესში ტურიზმის განვითარების რაიონების დელიმიტაციისათვის იყენებენ *ზონირების მეთოდს*. ტურისტული ზონირების მიზანია მიუთითოთ/გამოვყოთ ის ტერიტორიები, სადაც უნდა განვითარდეს ტურიზმი. თითოეული ზონისათვის აგრეთვე უნდა შემუშავდეს ტურიზმის ამა თუ იმ სახეობის განვითარების მიზანშეწონილობა.

გამოყოფილი ზონის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ ვითარდება ინფრასტრუქტურა. ამგვარი ზონები კერძო სექტორისთვის იძლევა ინფორმაციას, თუ სად და რა ტიპის ტურიზმის განვითარებაა უფრო პერსპექტიული. შესაბამისად, კერძო სექტორს ფაქტობრივად წინასწარ აქვს ინფორმაცია, თუ რომელი პროექტები იქნება მოწონებული და დამტკიცებული.

ზმირ შემთხვევაში ტურისტული ზონის განვითარებაში მონაწილეობისთვის მთავრობა კერძო სექტორს გარკვეულ შედეგებს სთავაზობს. ეს სწორი მიდგომაა და კერძო სექტორისთვის კარგ სტიმულს წარმოადგენს.

ტურისტული ზონირება კარგი საფუძველია დაგეგმვის ადგილობრივი დონეებისთვისაც. ის საფუძველს იძლევა, გაიმიჯნოს კონკრეტული ტერიტორიები მიწათსარგებლობის განსხვავებული ტიპებისათვის და განისაზღვროს ნორმები თითოეული ამ ტიპისთვის. მაგალითად, საკურორტო რაიონებში სწორედ ზონირების საფუძველზე გამოყოფენ სასტუმროების, კომერციულ, რეკრეაციულ და ბუნებისდაცვით ზონებს.

ფუნქციონალური ზონირება

ფუნქციონალური ზონირებისთვის გამოიყენება სხვადასხვა მიდგომები და პრინციპები, თუმცა ჩვენ გთავაზობთ ყველაზე კომპლექსურ პრინციპებს/მიდგომებს. მათ შორის:

პრინციპი I.

სატრანსპორტო მისაწვდომობა ტურისტულ-რეკრეაციულ ტერიტორიაზე;

ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ფორმები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ხორციელდება.

ამ პრინციპის საფუძველზე გამოიყოფა:

1. ზონა A. ყოველდღიური ტურისტულ-რეკრეაციული ინტერესების ზონა. მოიცავს:

– საქალაქო პარკებს, ბაღებს, სკვერებს, სპორტულ ცენტრებს, აუზებს, აკვაპარკებს, ატრაქციონებს და ა.შ.

– ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებს მოკლევადიანი დასვენებისათვის (ტყეებს, ტყეპარკებს, ჰიდროპარკებს, მინდვრებს, სპორტული და კულტურული ღონისძიებისათვის საინტერესო ტერიტორიებს).

ღროის მაქსიმალური დანახარჯი 30 წუთის ფარგლებში.

2. ზონა B. ყოველკვირეული ტურისტულ-რეკრეაციული ინტერესების ზონა – გულისხმობს ქალაქგარეთ მოკლევადიანი დასვენებისთვის მიმზიდველ ობიექტებს, ღამისთევით ან მის გარეშე (1-2 დღე). მოიცავს ახლომდებარე ტურისტულ ობიექტებს, პლაჟებს, თევზჭერის ან სამონადირეო ბაზებს, სააგარაკო ტერიტორიებს.

ღროის მაქსიმალური დანახარჯი 1 საათი.

3. ზონა C. ხანგრძლივი და შერეული ტურისტულ-რეკრეაციული ინტერესების ზონა. მოიცავს ობიექტებს ხანგრძლივი დასვენების ან მკურნალობისთვის, ავტოტურისტების მოკლევადიანი დასვენების ადგილებს, შორეული ტურიზმის ობიექტებს, „მეორე საცხოვრებლის“ ტერიტორიებს და ა.შ.

ღროის მაქსიმალური დანახარჯი 2 საათი.

4. ზონა D. ხანგრძლივი ტურიზმისა და რეკრეაციის, აგრეთვე საკურორტო მკურნალობის ზონა. მოიცავს სამკურნალო საკურორტო ტერიტორიებს, ხანგრძლივი ტურიზმისა და ავტოტურიზმის ტერიტორიებს. ეს ზონა წარმოადგენს განსახლების არეალებს შორის წარმოქმნილ ტურისტულ-რეკრეაციულ ტერიტორიას.

ღროის მაქსიმალური დანახარჯი 2 საათზე მეტი.

პრინციპი II.

ადგილმდებარეობა;

ბუნებრივი რესურსების სახეები და კონცენტრირება.

1. ტურისტულ რეკრეაციული ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც განკუთვნილია დასვენების, ტურიზმის სამკურნალო (სანა-

ტორიული) დაწესებულებებისთვის; მწვანე ზონაში მოკლევადიანი დასვენებისათვის, ტურისტულ-რეკრეაციული დანიშნულების დასახლებული პუნქტებისთვის.

2. *ბუნებრივი ლანდშაფტის ზონა* მოიცავს ველური ან ნაკლებად სახეცვლილი, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ტერიტორიებს, ბუნებრივ პარკებს, ნაკრძალებს, აღკვეთილებს, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს. სასურველია, ამ ზონაში შეყვანილ იქნეს პერსპექტიული ტერიტორიები, რომლებსაც ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის კარგი პოტენციალი აქვს.
3. *მომსახურების ზონა* მოიცავს ტერიტორიებს, სადაც განსახლებულია მომსახურე პერსონალი, კომუნალური დანიშნულების ობიექტები, სათბურები და სხვა. ცალკეულ შემთხვევაში ეს ზონა არ გამოიყოფა, თუ პერსონალი კონცენტრირებულია პოლიფუნქციურ ქალაქებში.


ცხადია, ტურისტულ-რეკრეაციული ზონები თავის მხრივ იყოფა სპეციალიზებულ სექტორებად, ტერიტორიის გამოყენებისა და ტურიზმის განვითარების სახეობათა თავისებურებების მიხედვით.

ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება

ტერიტორიის დაყოფა განსაკუთრებული ტურისტულ-რეკრეაციული ნიშნების გათვალისწინებით არის *ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება*. დაყოფის კრიტერიუმები უნდა იყოს რესურსების გარკვეული ერთგვაროვნება; კონცენტრაცია კონკრეტულ ტერიტორიაზე; რესურსების გამოყენების თავისებურებები; ტურისტულ-რეკრეაციული ათვისებულობის დონე; ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალი და სხვა.

ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი ეს არის ლოგიკური ტერიტორიული მთლიანობა ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით, ამასთან, განსხვავებული სხვა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონისაგან, ანუ სხვა ლოგიკური ტერიტორიული მთლიანობისგან.

ტურისტულ-რეკრეაციულ ტაქსონომიურ ერთეულთა იერარქია ასეთია:



ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის საზღვრები შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს ადმინისტრაციული რაიონების საზღვრებს.

მთავარია ამ საზღვრებში მოექცეს:

- მნიშვნელოვანი ტურისტული და საკურორტო რესურსები
- ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობისათვის ან არსებულის გასაფართოებლად ვარგისი მიწები
- წყალმომარაგების საიმედო სისტემა
- სატრანსპორტო კავშირები და მათი განვითარების პერსპექტიული არეალები
- სასოფლო-სამეურნეო მიწები, რაიონის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით მოსამარაგებლად
- ბუნებრივი ზღუდეები, რაც მას გამიჯნავს სხვა რაიონებისგან (ციცაბო ფერდობები, ტბები, მდინარეები, სანაპირო ზაზი და ა.შ.)

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით გამოყოფილი რაიონების საზღვრებში გაცილებით ეფექტურია შეფასების, დაგეგმარებისა და ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გატარება, ჩანს პერსპექტივები, რეზერვები.

არსებობს ე.წ. *დეპრესიული რაიონები*, რომლებიც ადრე ტურისტულ-რეკრეაციული განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩეოდა, თუმცა, რიგი ფაქტორის გამო, ამჟამად ვეღარ ფუნქციონირებს.

მიღებულია ტურისტულ-რეკრეაციული რაიონების ტიპოლოგია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. ბუნებრივი პირობები
2. ფუნქციური პროფილი
3. სეზონურობა
4. მნიშვნელობა

ამ ნიშნებით ტიპოლოგიისას გამოვეყოფთ შემდეგ რაიონებს:

1. ბუნებრივი პირობები – ზღვისპირა; მთიან-ზღვისპირა; მთიანი; ტყე-ტბის; მდინარისპირა; შერეული.
2. ფუნქციონალური პროფილი – საკურორტო (მ.შ. სამკურნალო); ტურიზმის სხვადასხვა ფორმის (ამ ფორმათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მაგ., კულტურულ შემეცნებითი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი, საქალაქო ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი და ა.შ.)
3. სეზონურობა – საზაფხულო ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი; ზამთრის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი; წლიური ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი.
4. მნიშვნელობა – ადგილობრივი დანიშნულების ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი; სახელმწიფო მნიშვნელობის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი; საერთაშორისო დანიშნულების ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი.

ცხადია, ნებისმიერი ტიპოლოგია პირობითია და შეიძლება შეიცვალოს კრიტერიუმების შესაბამისად.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მეხუთე თავში მოცემული იყო ფუნქციონალური ზონირების ზოგადი პრინციპები. კონკრეტული ტურისტულ-რეკრეაციული რაიონების ფარგლებში ფუნქციონალურ ზონებად დაყოფისას, შესაძლებელია რაიონის ტერიტორიის დიფერენცირება მისი გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით.

- A. საკურორტო ან ტურისტულ საკურორტო ზონა
- B. ქალაქგარეთ დასვენების ზონა
- C. ყანსახლების ზონა
- D. სასოფლო სამეურნეო ზონა
- E. რაიონის მწვანე ზონა
- F. კომუნალური მომსახურების/მეურნეობის ზონა

თაში 6.

ტურისტულ-რეკრეაციული რაიონების დაგეგმვის თავისებურებანი

ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი

ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონების ფორმირება უპირველესად დაკავშირებულია პლაჟების რესურსების თავისებურებებთან, რაც ძირითადად ბუნებრივ რეკრეაციულ ფაქტორს წარმოადგენს.

ამ რაიონების ფუნქციონალური ტურისტულ-რეკრეაციული დანიშნულებაა დასვენება და მკურნალობა. ტურისტთა/დამსვენებელთა ძირითადი საქმიანობაა ცურვა, ზღვის აბაზანების მიღება, გარუჯვა, საწყალოსნო სპორტი და სხვა. ყოველივე ეს განაპირობებს ტურისტთა ძირითადი სეგმენტის კონცენტრაციას რაიონის ზღვისპირა სანაპიროზე.

ამ ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის კლიმატური პირობების სეზონურობა (კომფორტული ამინდის კომპლექსის ხანგრძლივობა) განაპირობებს რაიონის ფუნქციონირების სეზონურობას. თუმცა არსებობს კურორტთა 20-30%, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ.

თუ ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებში შეინიშნება სამკურნალო მინერალური წყლის/ტალახის არსებობა, ეს უზრუნველყოფს რაიონის ფუნქციურ მრავალფეროვნებას, იქ ბალნეოლოგიური კურორტების შექმნის შესაძლებლობას და, შესაბამისად, შეამცირებს სეზონურობას.

ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, ფორმირდება ზღვის ვიწრო სანაპიროზე, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მოიცვას სანაპიროს მიმდებარე ვრცელი ტყიანი და მთიანი მასივები.

ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ფორმირებისას ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ტურისტთა მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის დონის გამოვლენა;
- კონცენტრაციის დონის შემცირების ზერზების ძიება სანაპირო ტერიტორიის რაციონალური ათვისებისა და ბუნების დაცვის მიზნით;
- ისეთი ობიექტების ხვედრითი წილის გაზრდა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში იფუნქციონირებენ.

ამ ამოცანების გადაჭრა შესაძლებელს გახდის:

- გაიზარდოს რაიონის ეკონომიკური აქტიუობა;
- გაიზარდოს მისი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი;
- გაიზარდოს ადგილობრივი კადრის დასაქმების შესაძლებლობა.

ზღვისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონების ფორმირებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მიდგომები/რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია რაიონის ფორმირებისათვის 3 კმ-მდე სანაპირო ზოლი ათვისებულ იქნეს მხოლოდ საკურორტო-რეკრეაციული დანიშნულების დაწესებულებებისათვის, აგრეთვე ბუნებრივი და დასასვენებელი პარკებისთვის. განსახლებისა და კომუნალური მურნეობისთვის უნდა შეირჩეს 3კმ-ის გარე ზონა, მაგრამ არაუმეტეს 10-12 კმ-ისა ზღვის სანაპიროდან, რაც უზრუნველყოფს მოხერხებულ შრომით კავშირებს.

2. განსაკუთრებით რაციონალურად ითვლება რაიონის *ხაზობრივი დაგეგმარება*. ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ მთიან-ზღვისპირა რაიონებისთვის, სადაც შერწყმულია მთისა და ზღვის რესურსები და შესაბამისად არსებობს ტურისტული საქმიანობის შეზამების შესაძლებლობა.

ამ შემთხვევაში გამოყოფენ ზონას:

ბირველი ზონა – სანაპიროს გასწვრივი (3 კმ-მდე) ტერიტორიები. ამ ზონაში დამსვენებლის განთავსება ორიენტირებულია პლაჟზე ყოველდღიურ გასვლებზე.

მეორე ზონა – სანაპიროდან არაუმეტეს 10-15 კმ-ის დაშორებით ყალიბდება, ზღვის ნაპირამდე 15-30 წთ დროის დანახარჯით (ცხაღია, იგულისხმება კარგად ორგანიზებული სატრანსპორტო კომუნიკაციები). ამ ზონაში ტურისტთა/რეკრეანტთა გარკვეული კატეგორია განთავსდება. ისინი ორიენტირებულნი არიან პლაჟზე პერიოდულ გასვლებსა და მთისწინა ტერიტორიებზე რეკრეაციულ საქმიანობაზე (ტყეების, ტყეპარკების, სხვა წყალსატევების, მდინარეთა ხეობების, მინერალური წყლების და სხვა რესურსების გამოყენებისკენ).

მესამე ზონა – ზღვიდან 15 კმ-ითაა დაშორებული. ამ ზონაში განთავსება ზღუდავს პლაჟზე ხშირ გასვლებს, სამაგიეროდ სხვა ადგილობრივი რესურსების ათვისების შესაძლებლობას ზრდის, მაგალითად, რეკ-

რეაქციული ტყეები, მთის ფერდობები, ბუნებრივი და ისტორიული ძეგლები და სხვა.

ტურისტული ობიექტების/დაწესებულებების ფუნქციონირება ამ ზონაში ფოკუსირებული უნდა იყოს ტურიზმის მრავალფეროვანი სახეობის განვითარებაზე კულტურულ-შემეცნებითი, საექსკურსიო, სპორტული, სალაშქრობო, ექსტრემალური და სხვადასხვა. საინტერესოა, რომ ეს ზონა იძლევა დასვენების კომბინირებული ფორმების ორგანიზების შესაძლებლობებს, მაგალითად, ზღვა-მთა. ამასთან, დამატებით ზამთრის სპორტის სახეობების განვითარება ზელს შეუწყობს ზღვისპირა რაიონებში ტურიზმის სეზონურობის მინიმუმამდე დაყვანას და გაზრდის მათ პოტენციალს, შესაბამისად, ეკონომიკურ ეფექტიანობას.

3. ერთ-ერთ გავრცელებულ მსოფლიო პრაქტიკად და შესაბამისად რეკომენდაციად შეიძლება ჩავთვალოთ სანაპირო ტერიტორიების 200-500 მ-იანი ზოლის გათავისუფლება ყოველგვარი რეკრეაციული დანიშნულების ნაგებობისგან, ზღვისპირა პარკების, ბულვარების, თანამედროვე სანაპიროების მოწყობის მიზნით. ამ ტერიტორიებზე მხოლოდ კულტურულ-გასართობი და კვების ობიექტები შეიძლება გაშენდეს.
4. სასურველია, ვერიდოთ სანაპირო ზოლის გადატვირთვას რეკრეაციული ნაგებობების უწყვეტი განაშენიანებით. ამით შეიქმნება განაშენიანებისგან თავისუფალი, ბუფერული ღია სივრცე წარმოდგენილი პარკებით, ტყეპარკებით, ნაკლებად სახეცვლილი ბუნებრივი ლანდშაფტით.
5. ყველაზე მსხვილი პლაჟების კომპლექსების ორგანიზაცია განსაკუთრებით მიზანშეწონილია იქ, სადაც გადაიკვეთება საკურორტო მაგისტრალები და სიღრმითი (მესამე ზონა) რეკრეაციული სისტემების ზღვაზე გასასვლელი გზები/ადგილები.
6. აუცილებელია მოხერხებული სატრანსპორტო კომუნიკაციების შექმნა, რაც რეკრეაციულ ცენტრებს დააკავშირებს სანაპიროსთან, აგრეთვე, რაიონის კულტურულ საყოფაცხოვრებო ცენტრებთან.

დავალება:

1. მოახდინეთ აჭარის შავიზღვისპირა სანაპიროს ტურისტულ-რეკრეაციული დარაიონება.
2. დაასაბუთეთ ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ლოგიკურობა.
3. გამოყავით ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ერთი ქვერაიონი და დაახასიათეთ მისი დაგეგმვის თავისებურებანი.
4. სწორად მიიჩნევთ თუ არა არსებულ დაგეგმვას?

რეკომენდაციები:

დარაიონებისას გამოიყენეთ მინიმუმ 2 კრიტერიუმი.

- ბუნებრივი პირობები ფუნქციური პროფილი
- ფუნქციური პროფილი – სეზონურობა

გამოიყენო:

საქართველოს ატლასი
ინტერნეტი

მთიანი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი

მთიანი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი უნდა ჩამოყალიბდეს მსხვილი ტურისტული რეგიონის სისტემაში და უზრუნველყოფილი იყოს ე.წ. „ჭიმ-კრით“ (gateway), ანუ ტურისტული ნაკადების საწყის პუნქტებთან სატრანსპორტო კავშირით.

ტურისტული მარშრუტების სისტემა უნდა დაიგეგმოს ტურისტების ნაკადების რაციონალური განაწილებისა და გარემოს დაცვის პრინციპების მკაცრი დაცვით.

ძირითადი რეკომენდაციები:

1. მთიანი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი უნდა დაიგეგმოს როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის პერიოდში დასვენებისა და სპორტის აქტიურ ფორმებზე ფოკუსირებით: ზამთარში – სამთო სათხილამურო ტურიზმი და დასვენება, ზაფხულში – ლაშქრობები, საწყალოსნო, კელოტურები, ალპინიზმი და სხვა.

უნდა გაეთვალისწინოთ, რომ მთიანი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ჩამოყალიბებას პირველ რიგში განაპირობებს სამთო სათხილამურო სპორტი, შესაბამისად იგეგმება ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრებიც. ამავე ცენტრების გამოყენება ტურიზმისა და დასვენებისათვის ზაფხულშიც წარმატებით შეიძლება.

მთიან რაიონებში ბალნეოლოგიური რესურსების არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი ჩართვა რაიონის ერთიან ტურისტულ-რეკრეაციულ სისტემაში.

2. რელიეფის დანაწევრებულობა, განაშენიანებისთვის ხელსაყრელი ტერიტორიების დეფიციტი, მთის ფერდობების გამოყენების აუცილებლობა მთიანი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონების დაგეგმვის განსაკუთრებულ ხერხებს მოითხოვს.

ყველაზე მეტად პასუხობს მთაში დასვენებისა და ტურიზმის ორგანიზების მიზნებსა და თავისებურებებს ჯგუფური დაგეგმარების სისტემა. აღნიშნული ჯგუფები ყალიბდება ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრების ჯგუფებისგან, რომლებიც სხვადასხვა სატრანსპორტო

კომუნიკაციითა და ქვეითი ტურისტული მარშრუტებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

ტურისტული კომპლექსების ჯგუფები და ცალკეული ცენტრები განაშენიანებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ადგილებში უნდა მოხდეს, რომელთაც ძალზე დიდი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი გააჩნიათ (სამთო-სათხილამურო ფერდობების არსებობა, ტურისტული მარშრუტები, ხედი, ტურისტული ატრაქციები). ამასთან, ძალზე სასურველია, რაიონის ფარგლებში მოექცეს უკვე ჩამოყალიბებული მთიანი დასახლებული პუნქტები, რომლებიც მომსახურე პერსონალის განსახლების ადგილებად, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრებად იქნება გამოყენებული (აღნიშნული ითვალისწინებს მათი განვითარების კარგ შესაძლებლობებს!). ასეთის არარსებობის შემთხვევაში (უკვე ჩამოყალიბებული დასახლებები) უნდა შეიქმნას განსახლების სპეციალური ზონა, შეძლებისდაგვარად მსხვილი დასახლებული პუნქტებით, რომლებიც მოემსახურებიან ტურისტულ-რეკრეაციულ ცენტრებს. ამ დასახლებულ პუნქტებში უნდა შეიქმნას ცხოვრების ოპტიმალური პირობები, დასაქმების ადგილამდე მიღწევის კარგი შესაძლებლობა და წინასწარ განისაზღვროს განვითარების პერსპექტივა. ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი უნდა დაიგეგმოს, როგორც კულტურულ-საყოფაცხოვრებო ცენტრი მთელი რაიონისთვის.

3. მსოფლიო პრაქტიკაში *აგრძალულია* მთიან ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებში იმ სამრეწველო საწარმოების მშენებლობა, რომლებიც არ არის დაკავშირებული ტურისტული დაწესებულებების მომსახურებასთან. ასევე იკრძალება ნებისმიერი წარმოება, რომელიც ზიანს მიაყენებს უაღრესად მგრძობიარე მთიან გარემოს.
4. სასურველია შეიქმნას კომუნალურ-სამეურნეო მომსახურების ცენტრალიზებული ზონები, რომლებიც სპეციალიზებულია განსახლების ზონის დასახლებულ პუნქტებში. ცენტრალიზებული კომუნალურ-სამეურნეო მომსახურების ზონის შექმნის შეუძლებლობის შემთხვევაში, დასაშვებია ამგვარი ზონები თავად ტურისტულ-რეკრეაციულ ცენტრებში შეიქმნას.

5. მთიანი ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა ბუნების აუცილებელი და მაქსიმალური დაცვა ყოველგვარი ნეგატიური ზემოქმედებისგან. ამ მოსაზრებით შენობა-ნაგებობები ლანდშაფტის თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებღირებულ არეალში უნდა იყოს/შეიქმნას. ამავე მოსაზრებით, რაიონებში უნდა ჩამოყალიბდეს მწვანე ზონა (ორგანიზებული ლანდშაფტის ზონა, რეკრეაციული ტყეების ზონა, ბუნებრივი ლანდშაფტის ზონა – შექმნილი ნაკრძალებით, აღკვეთილებით, ეროვნული პარკებით, სამონადირეო მუხრნობებით და სხვა.).

რაიონის და ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრის დაგეგმვისას მთის უნიკალურ ბუნებრივ კომპლექსზე რეკრეაციული დატვირთვა მაქსიმალურად უნდა შემცირდეს.

6. მთიან ტურისტულ-რეკრეაციულ ცენტრებში სათხილამურო ტრასების, საბაგირო და საავტომობილო გზების დაგეგმარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული (5) პირობები.

მწვანე საფარის დაცვის მიზნით, შემდეგი პარამეტრები უნდა იქნეს დაცული: სათხილამურო ტრასის სიგანე 20 მ-დან 200 მ-მდე, სიგრძე – 100 მ-დან 3500 მ-მდე.

მაღალ საკიდზე მოწყობილი საბაგირო გზები არ ითხოვს ტყეების გაჩეხვას სპეციალური კორიდორების ორგანიზების მიზნით.

ერთადგილიანი და სავარძლის ტიპის საბაგირო გზების კორიდორების სიგანე 40-45 მ-ია. სასურველია ახალი ტექნოლოგიები ამ პარამეტრის შესამცირებლად.

მთიან პირობებში საავტომობილო გზების სიგანე მინიმუმ 10 მ უნდა იყოს, სავალი ნაწილის გვერდებზე მიყრილი თოვლის დაგროვების გათვალისწინებით, ხოლო პარკინგის ადგილებში – 30 მ.

მთიან ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებში ცენტრალიზებული საქვაბეების მოწყობის, თბო- და გაზომომარაგების ქსელის გაყვანისა და საწვავით მომარაგების გათვალისწინებით, შსოფლიოს ტურისტულ-რეკრეაციული ცენტრები ორიენტირებულია ელექტროენერგიაზე.

7. მთიან ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებში არსებობს ზვავსაშიშროების რისკები, ამიტომ სავალდებულოა ადამიანთა კონცენტრაციის ადგილებში ყველა ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიების გატარება.

ტბისპირა და მდინაპირისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი

ტბათა ქვაბულის ლანდშაფტის თავისებურებანი და მდინარეთა ხეობები, ტბებისა და მდინარეების აკვატორიის მრავალფეროვნება ტურიზმის მრავალნაირი ფორმის განვითარების პოტენციას წარმოადგენს. ამ ტიპის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ფორმირებისას *რეკომენდებულია*:

1. ტბისპირა და მდინარეთა ხეობებში კონცენტრირებული დასახლებული პუნქტების ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობის გამოკვეთა/ გაძლიერება.
2. შემეცნებითი ტურიზმის ობიექტების გამოვლენა, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც შესაძლოა დღეს არ პასუხობს თანამედროვე სამეურნეო მოთხოვნებს, თუმცა სწორედ შემეცნებითი, სასოფლო, აგროტურიზმის თვალსაზრისით შეიძლება იქნეს გამოყენებული (მაგალითად, წყლის წისქვილი, მარანი, საცობები და ა.შ.).
3. ტბა-მდინარეთა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის გზები (მათ შორის, სასეირნო ბილიკები) უნდა უკავშირდებოდეს სხვადასხვა ტურისტულ ობიექტს. სასურველია, საავტომობილო გზები კარგად ექსპონირებული ლანდშაფტის და ტურისტული ღირსშესანიშნაობების არეალებში გადიოდეს, ისე, რომ რაიონში წრიულ მარშრუტს ქმნიდეს.
4. ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი სასურველია დაიყოს შემდეგ ზონებად:
 - ტურისტულ-რეკრეაციული განაშენიანების ზონა ან დამსვენებელთა განთავსების ზონა – დასასვენებელი სახლები, მცირე საოჯახო სასტუმროები, კემპინგები და სხვა).
 - ყოველღიური მონახულების ზონა – აკვატორია, პლაჟები, პარკები, ტყეპარკები.
 - ეპიზოდური მონახულების ზონა (გასეირნება, მოკლევადიანი ტურიზმი, სოკოსა და კენკროვნების მოკრეფა, თევზჭერა) – ეს არის ან ბუნებრივი გარემო, ან სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები გამწვანების აგროპარკული ხასიათით.
5. გაემიჯნოს ტბისპირა და მდინარის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონები არქიტექტურულ-დაგეგმარებითი თვალსაზრისით.

ტბისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ორგანიზება დამოკიდებულია ტბების აკვატორიის თავისებურებასა და სიდიდეზე.

აქედან გამომდინარე, თუ:

- ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი იქმნება მსხვილ ტბასთან, რომლის აკვატორია 100 კმ²-ზე მეტია, არქიტექტურულ დაგეგმარებითი ხასიათით ზღვისპირა რაიონის მსგავსია.
- ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი დიდ ტბასთან იქმნება, რომლის აკვატორია 100 კმ²-ზე მეტია, გასათვალისწინებელია არა მარტო სანაპიროს, არამედ აკვატორიის ზონირებაც. მაგალითად, ეპი-ზოდური მონახულების ზონაში უნდა გამოიყოს ქვაბულის ვიზუალურად შეზღუდული ზონები, სადაც შენარჩუნებულია ბუნებრივი ლანდშაფტი, მის მოპირდაპირე ნაპირზე კი უნდა შენარჩუნდეს ბუნებრივი ან ნაკლებად ათვისებული სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი.
- ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი იქმნება მცირე ტბების ჯგუფთან, საერთო ფართობით 10-50 ჰა, საჭიროა თითოეული ტბის ქვაბულის ლანდშაფტის დაცვა. სასურველია, თითოეულ ამ მცირე ტბათაგანს განეუსაზღვროთ ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ერთი სახეობა. მაგალითისათვის, ამ ტიპის რაიონში სრულიად შეუთავსებელია საწყალოსნო (მოტორიანი) სპორტი და წყნარი დასვენება (ცურვა, ნიჩბიანი ნაგებით სეირნობა, თევზჭერა და ა.შ.)
- ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი წყალსაცავებთან ფორმირდება და დაგეგმარების თვალსაზრისით დიდი ტბებისპირა რაიონის დაგეგმარების მსგავსია. თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს წყლის ღონის მერყეობას, რაც დამახასიათებელია წყალსაცავებისთვის, სანაპიროს ფორმირების დინამიკას. დაგეგმარების პროცესშივე უნდა იქნეს გათვალისწინებული სანაპირო ხაზის ხელოვნურად ფორმირების ღონისძიებანი პლაჟების მოწყობის მიზნით: დატბორილი და დაჭაობებული ტერიტორიების ლიკვიდაცია; პლაჟები უნდა შეიქმნას წყალსაცავის სხვადასხვა მონაკვეთზე, რათა ერთ ადგილას „წყლის აყვავების“ პერიოდში პლაჟად მეორე მონაკვეთი იქნეს გამოყენებული.

6. მდინარისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი ძირითადად განსხვავებულია მდინარეთა თავისებურების გამო. მაგალითად:

- სანაოსნო მდინარისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი იგეგმება ისე, რომ პლაჟი დაპროექტებული უნდა იყოს მდინარის

ერთ ნაპირზე, მოპირდაპირე სანაპიროზე სასურველია ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნება.

- მცირე, არასანაოსნო მდინარისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ფორმირება რეკომენდებულია მხოლოდ ტურისტულ-რეკრეაციული ტერიტორიების მკვეთრი დეფიციტის პირობებში ან თუ ეს ტერიტორია გამორჩეულია ბუნებრივი ლანდშაფტით.
- ამ ტიპის ტერიტორიის ინტენსიური ათვისების შემთხვევაში სასურველია, ნაპირებთან ხელოვნური წყალსატევი ან აუზი მოეწყოს, რათა ტურისტული საქმიანობის პაკეტი უფრო მრავალფეროვანი გახდეს.

7. ნებისმიერი ტბისპირა და მდინარისპირა ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის ტურისტულ-რეკრეაციული განაშენიანების ზონად რეკომენდებულია ტერიტორიაზე არსებული დასახლებული პუნქტების გამოყენება, რომლებიც ტურისტული ობიექტებიდან ფეხით მისადგომობის 200 მ რადიუსზე მდებარეობს. დაუშვებელია ტყეებში ახალი რეკრეაციული ნაგებობების აშენება. ტურისტულ-რეკრეაციული ზონის განაშენიანება რეკომენდებულია წყალსატევის ერთ ნაპირზე, მეორეზე კი დაცული უნდა იყოს ბუნებრივი ლანდშაფტი. ამასთან, სასურველია, ამგვარ რაიონებში რეკრეაციული განაშენიანების ზონა აკვატორიის პერიმეტრის 1/5-ს არ აჭარბებდეს და წყლის ნაპირიდან არანაკლებ 100 მ-ით იყოს დაშორებული.

თაზო 7.

რესურსების ტრანსფორმაცია-მოდელირება

„საქართველოს ტურისტული და საკურორტო რესურსები ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს.“ (საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, 1999 წ. (მუხლი 4.1.)

ქართველი მეცნიერები დიდი წარმატებით სწავლობდნენ და იკვლევდნენ საზოგადოების გავლენას გარემოზე. ჯერ კიდევ 20-25 წლის წინ მათ ძალზე თამამად და ხმაძლად დააფიქსირეს, რომ აღნიშნული გავლენა წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევს.

საზოგადოების გავლენით ჩამოყალიბდა კომპლექსთა განსაკუთრებული გენეტიკური ჯგუფი, რასაც ანთროპოგენური ლანდშაფტები ეწოდება. სწორედ ამ ტიპის ლანდშაფტები ახდენს უდიდეს ზეგავლენას არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი დედამიწის ლანდშაფტურ სისტემაზე.

ამასთან, დაზუსტებას მოითხოვს ლეფინიცები: *ანთროპოგენური და კულტურული ლანდშაფტი*. სხვადასხვა მოსაზრების სიმრავლის (ზოგჯერ შეუსაბამობისა და არამართებულობის) ფონზე, პროფ. დავით უკლება მიიჩნევდა, რომ ანთროპოგენური ლანდშაფტი გაცილებით ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს კულტურულ ლანდშაფტსაც, როგორც კლასს ან ტაქსონომიურ ერთეულს (Укленა Д. Антропогенные ландшафты Грузии, 1983. გვ.7). კულტურული ლანდშაფტი იქმნება ადამიანის შეგნებული, მიზანმიმართული, გააზრებული საქმიანობის შედეგად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევაში შეიქმნა არა კულტურული, არამედ დეგრადირებული ლანდშაფტი.

საქართველოს ლანდშაფტების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ ლანდშაფტის (ბუნებრივი კომპლექსის და მისი შემადგენელი ელემენტების) ტრანსფორმაცია-მოდელირება 3 ურთიერთგანსხვავებული პროცესის გავლენით ხორციელდება:

1. ბუნებრივი კომპლექსების (ლანდშაფტების) მოდიფიკაცია გამოწვეული მხოლოდ ბუნებრივი პროცესებით.
2. მოდიფიკაცია, გამოწვეული ბუნებრივ-ანთროპოგენური ფაქტორებით.
3. მოდიფიკაცია, რომელიც მხოლოდ ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგაა.

პირველი კატეგორიის კომპლექსების ტრანსფორმაციაში მონაწილეობს როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ადამიანთა ნებაზე. ამგვარი კომპლექსები ყველგან ვხვდებით – როგორც მთიან, ისე ბარის ზონებში. ამ პროცესების

დროს ახლად შექმნილი ლანდშაფტები ერთგვარად „ფარავს“ ძველ ბუნებრივ კომპლექსებს და შედის მასთან ერთგვარ მატერიალურ-ენერგეტიკულ ურთიერთქმედებაში.

მეორე კატეგორიის ტრანსფორმაციული პროცესები ბუნებრივ-ანთროპოგენური ხასიათისაა (მაგ., მეორადი მინდვრები, საძოვრები, ტყეების შემდგომი მინდვრები, ტყესტეპები და სხვა). ბუნებრივი ძალების როლი აქ იმაში გამოიხატება, რომ, ადამიანის დამანგრეველი ზემოქმედების მიუხედავად, ლანდშაფტის განვითარება, პრინციპში, ბუნებრივ კანონზომიერებებს ექვემდებარება.

რაც შეეხება ანთროპოგენურ პროცესებს, ძირითადად ტყეთა გაჩანაგებაში, საძოვართა მეტისმეტ გადატვირთვასა და რიგ სხვა უარყოფით ზემოქმედებაში ელინდება. შედეგად ბუნებრივი კომპლექსი მოდიფიცირდება მრავალნაირ ანთროპოგენურ კომპლექსად.

დბოლოს, ლანდშაფტის მოდიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ადამიანის ჩარევით. ამასთან, თუ ეს ჩარევა წინასწარ არის დაგეგმილი, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს გონივრულ ზემოქმედებასთან, რის შედეგადაც პირველქნილი ლანდშაფტის ნაცვლად ყალიბდება კულტურული ლანდშაფტი: აგრარული, ტექნოლოგიური, ანთროპოგენურ-აკვალური, განსახლების, ანთროპოგენური ტყეების და ა.შ.

ზემოაღნიშნული მაგალითები ნათლად მეტყველებს, რომ ადამიანის ზემოქმედებით საქართველოს ბუნებრივი კომპლექსები იცვლება, თუმცა, ვერ კიდევ დაუდგენელია, რა მასშტაბები მიიღო (რა ტაქსონომიური მნიშვნელობა) ამ პროცესმა.

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბუნებრივი ლანდშაფტის ცვლილება და, შესაბამისად, ანთროპოგენური ლანდშაფტის წარმოქმნა ხორციელდება ელემენტარული (ფაციესი) ლანდშაფტისა და მიკროლანდშაფტის (უროჩიშიე) დონეზე. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ ლანდშაფტის ცვლილება ყველა ტაქსონომიურ დონეზე ხორციელდება.

საქართველოს მთიანი რაიონების და ზოგადად კავკასიის მრავალწლიანმა კვლევამ მეცნიერები დაარწმუნა იმაში, რომ ანთროპოგენურ ცვლილებებს ექვემდებარება ლანდშაფტის ყველა რანგი (საფეხური) და არა რომელიმე მათგანი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უპირველესად ცვლილებებს ფაციესები და უროჩიშიეები ექვემდებარება. მკვლევართა (პროფ. დ. უკლება) აზრით, ტრანსფორმაციას განიცდის არა მარტო ელემენტარული და მიკროლანდშაფტები, არამედ ლანდშაფტის კომპლექსები – სახეები.

ეს გასაგებია, ვინაიდან ლანდშაფტის სახეობის ხასიათი და „სახე“, გარდა ზონალური და აზონალური გარე პირობებისა, ძირითადად განსაზღვრულია ლოკალური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებითა და პროცესებით,

რაც ხშირად ექვემდებარება ხელოვნურ რეგულირებას და, შესაბამისად, ანთროპოგენურ ცვლილებებს. სწორედ ამ მიზეზით, არც თუ ისე იშვიათად, ერთი ბუნებრივი ლანდშაფტის ჩარჩოში წარმოიქმნება სხვადასხვა სახეობის ანთროპოგენური ლანდშაფტები.

რაც შეეხება უფრო მაღალ სახეობას (ლანდშაფტის რანგს), როგორიცაა კლასები, ქვეკლასები, ტიპები და ქვეტიპები, მათი ცვლილებები ხდება ადამიანის სურვილისაგან დამოუკიდებლად.

ამდენად, სანამ ადამიანის მიერ ძირეულად არ შეიცვლება ტერიტორიის გეოტექტურა და რადიაციული ბალანსი – ლანდშაფტწარმოქმნის ძირითადი ფაქტორები, მანამდე იარსებებს ბუნებრივი ლანდშაფტების ზემოაღნიშნული რანგები, რომელთა წილში უფრო დაბალ ტაქსონომიურ საფეხურზე, ადამიანის მრავალსაუკუნოვანი ზემოქმედებით ირღვევა ბუნების ცალკეული კომპონენტი, ამის შედეგად კი მთელი კომპლექსი და საბოლოო ჯამში ვიღებთ ანთროპოგენურ ლანდშაფს.

საინტერესოა, რა მივიღებთ ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების შედეგად და რა არის ის, რასაც მეცნიერები ანთროპოგენურ ლანდშაფს უწოდებენ.

აღნიშნული დეტალურად არის მოცემული ანთროპოგენური ლანდშაფტების კლასიფიკაციის სქემაში, რომელიც პროფ. დ. უკლებას ეკუთვნის.

კლასიფიკაციისას მან გაითვალისწინა შემდეგი კრიტერიუმები:

- კომპლექსის თავისებურებანი და გენეზისი
- ტერიტორიის გამოყენების ფორმები
- ლანდშაფტის მდგომარეობა
- ადამიანის ზემოქმედების (პირდაპირი, ირიბი) ხარისხი და ფორმები
- ბუნებრივი პირობების რეგიონულ-ზონალური თავისებურებანი

ანთროპოგენური ლანდშაფტები			მიწის გამოყენების ძირითადი ფორმები
ლანდშაფტის კლასი	ლანდშაფტის ტიპი	ლანდშაფტის სახე	
1	2	3	4
კულტურული ლანდშაფტი	სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტი	<p>ა. მრავალწლიანი ნარგავების ლანდშაფტი</p> <p>ბ. მარცვლოვანი კულტურების ლანდშაფტი</p>	<p>1. მიწები ციტრუსოვანი კულტურების ბაღებისთვის</p> <p>2. მიწები ჩაის პლანტაციებისთვის</p> <p>3. მიწები ვენახებისთვის</p> <p>4. მიწები ხილის ბაღებისთვის</p> <p>1. მიწები სიმინდისთვის</p> <p>2. მიწები ზორბალ-ქერ-ჭვავისთვის</p> <p>3. მიწები პარკოსნებისთვის</p> <p>4. მიწები საკვები კულტურებისთვის</p>

1	2	3	4
	<p>ტექნოგენური ლანდშაფტი</p>	<p>გ. ბოსტნეულ-ბაღრეული კულტურების ლანდშაფტი</p> <p>დ. ტექნიკური კულტურების ლანდშაფტი</p> <p>ე. ხელოვნურ-ტერასული ლანდშაფტი</p> <p>ა. სამრეწველო კომპლექსების ლანდშაფტი</p> <p>ბ. სამთომომოკვებითი კომპლექსების ლანდშაფტი</p> <p>გ. სატრანსპორტო კომუნიკაციების ლანდშაფტი</p>	<p>1. მიწები ბაღრეული კულტურებისთვის</p> <p>2. მიწები ბოსტნეულისთვის</p> <p>1. მიწები მზესუმზირისთვის</p> <p>2. მიწები ეთერზეთოვანი კულტურებისთვის (და სხვა)</p> <p>1. მიწები მთა-ხეობების ტერასული მიწათმომკვდელებისთვის</p> <p>1. ხელოვნური (ლია) კარიერები</p> <p>2. გამოყენებული და მიტოვებული მახტები</p> <p>3. ტერიკონები</p> <p>4. ნავთობის და/ან გაზის ჭაბურღილები</p> <p>1. რკინიგზის ტრანსპორტისთვის გამოყენებული მიწები</p> <p>2. საავტომობილო ტრანსპორტისთვის გამოყენებული მიწები</p> <p>3. ნათობ/გაზსაადენებისთვის გამოყენებული მიწები</p> <p>1. წყალსაცავებისთვის გამოყენებული მიწები</p> <p>2. სარწყავი და დასაშრობი არხებისთვის გამოყენებული მიწები</p> <p>1. მიწები საქალაქო განაშენიანებისთვის</p> <p>2. მიწები სასოფლო განაშენიანებისთვის</p> <p>3. განსახლების შემდგომი მიწები (მიტოვებული სოფლები, ქალაქები)</p> <p>1. კურორტები</p> <p>2. ტყეპარკები (და ა.შ.)</p>
	<p>ანთროპოგენურ-აკველური ლანდშაფტი</p>	<p>ა. წყალსაცავების, არხებისა და სარწყავი სისტემების ლანდშაფტი</p>	
	<p>განსახლების ლანდშაფტი</p>	<p>ა. დასახლებულ პუნქტთა ლანდშაფტი</p> <p>ბ. რეკრეაციული მშენებლობების ლანდშაფტი</p>	

1	2	3	4
	<p>ანთროპოგენური ტყეების ლანდშაფტი</p> <p>სათიბ-საძოვრების ლანდშაფტი</p> <p>ტყიანი დარღვეული ლანდშაფტი</p>	<p>ა. კულტურული ტყეების ლანდშაფტი</p> <p>ა. მეორადი სათიბ-საძოვრების ლანდშაფტი</p> <p>ბ. დიგრესიული სათიბების ლანდშაფტი</p> <p>ა. მეორადი მერხერი ტყეების ლანდშაფტი</p> <p>ბ. მეორადი მთისწინა ტყეების ლანდშაფტი</p> <p>გ. მეორადი ტყიან-ბუჩქნარი ვაკის ლანდშაფტი</p>	<p>1. მიწები ხელოვნური ნარგავებისთვის</p> <p>2. მიწები მინდორსაცავი ტყეებისთვის</p> <p>3. მიწები პარკებისა და ბაღებისთვის</p> <p>1. სათიბებისთვის გამოყენებული ტყესტეპების მიწები</p> <p>2. მეორადი სუბალპური სათიბები</p> <p>3. მეორადი ბუჩქნარის სტეპები</p> <p>4. მეორადი (დარღვეული) სტეპი</p> <p>1. ტრანსფორმირებული (დევრადირებული, გამოფიტული) მინდვრები</p> <p>2. ტრანსფორმირებული ალპური მინდვრები</p> <p>1. სუბალპური ბუჩქნარი და მერხერი ტყეები</p> <p>2. არიდული ბუჩქნარი და მერხერი ტყეები</p> <p>1. მთისწინა მეორადი ტყეები და ბუჩქნარები</p> <p>2. დაბალმთიანი და საშუალომთიანი ტყეები და ბუჩქნარები</p> <p>1. ვაკის მეორადი ტყეები და ბუჩქნარები</p> <p>2. ვაკის მეორადი ტყეები</p>

ეს სქემა ასეთია:

ამდენად, სქემიდან კარგად ჩანს ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების ფორმებიც და სახეებიც, ასევე ჩანს ბუნებრივი რესურსების ტრანსფორმირებული სახეები.

ეს გარდაუვალი პროცესებია, თუმცა ამ ტრანსფორმაციის მასშტაბები მუდმივ კონტროლს საჭიროებს, რათა არ დაირღვეს ბალანსი ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს შორის.

თავი 8.

ტერიტორიის დატვირთვა ტურიზმისაგან და მისი მდგრადობა

ტერიტორიის დატვირთვა ტურიზმისაგან – ნ. რეიმერსის განმარტებით (Reimers N. Nature Management. Glossary. 1990) არის „დამსვენებელთა უშუალო გავლენა ტერიტორიაზე (ტურიზმი, ტყის ნობათის მოგროვება, სპორტული ნადირობა, თევზჭერა და ა.შ.), მათი სატრანსპორტო საშუალებები, დროებითი და სააგარაკო საცხოვრებლების და სხვა ნაგებობების მშენებლობა ბუნებრივ კომპლექსებში ან ტურისტულ-რეკრეაციულ ობიექტებში. გამოიხატება ადამიანთა რაოდენობით ან ადამიანი/დღეებით ტერიტორიის ერთეულზე ან ტურისტულ-რეკრეაციულ ობიექტზე დროის გარკვეულ მონაკვეთში (მაგ., დღეში ან წელიწადში).“

განასხვავებენ:

- ოპტიმალურ დატვირთვის ტერიტორიაზე
- ზღვრულ (მაქსიმალურად დასაშვებ) დატვირთვის ტერიტორიაზე
- დესტრუქციულ დატვირთვის ტერიტორიაზე

აქედან:

ოპტიმალურა დატვირთვა არ იწვევს ბუნებრივი რესურსების დაზიანებას *ზღვრული დატვირთვა* იწვევს დარღვევას, მაგრამ პროცესი შექცევადია. *დესტრუქციული დატვირთვა* იწვევს ტურისტულ-რეკრეაციული ტერიტორიის ან კომპლექსის დაღუპვას.

არსებული ნორმებით, რომელიც გამოთვლილია ზომიერი სარტყლის ტყეებისთვის, წიწვიანი ტყეებისთვის – დესტრუქციულად ითვლება 7 ადამიანი 1 ჰა-ზე; ფიჭვნარისთვის – 15; შერეული ტყისთვის – 25-30 კვ. ჰა-ზე, თუ ეს დატვირთვა ხორციელდება ერთდროულად და ყოველდღიურად 5-7 წლის განმავლობაში.

** დატვირთვის ნორმების სტანდარტების დადგენა საქართველოში კანონით ევალება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.*

ამ ეტაპზე ეს საბუთო სრულად შესრულებული არ არის!

ტერიტორიები, რომლებიც განიხილება როგორც ტურისტულ-რეკრეაციული სისტემა, ხშირ შემთხვევაში ხასიათდება თვითრეგულაციისა და მდგრადობის უნარით ტურიზმისა და რეკრეაციის ზეგავლენისადმი.

მდგრადობის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ სისტემის უნარს, შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა და წინააღმდეგობა გაუწიოს ამ მდგომარეობის ნგრევას ტურისმის ზეგავლენით. თუმცა ამ წინააღმდეგობის და თვითრეგულაციის ფარგლები უსაზღვრო არ არის. კერძოდ, ტერიტორიის ხანგრძლივი და მასობრივი ტურისტული საქმიანობისთვის გამოყენებას, მისი დატვირთვის ზღვრული ნორმების გაუთვალისწინებლად, ამ ტერიტორიის/რესურსების განადგურებამდე მივყავართ. ამ შემთხვევაში სავალალოა უპირველესად ის, რომ ზოგადად გეოგრაფიულ გარემოს ადგება ზიანი, ხოლო შემდეგ ის, რომ ტერიტორია კარგავს ტურისტულ-რეკრეაციულ ღირებულებას.

კიდევ ერთხელ ვახსენებთ, რომ რესურსების ტრანსფორმაცია შემდეგი მიმართულებით ხორციელდება:

- ტერიტორიისა და წყალსატევების დაბინძურება (რასაც მივყავართ ტბების, წყალსაცავების, ვეტროფიკაციის ბუნებრივი პროცესების გაძლიერებამდე)
- არასასურველი ბუნებრივი პროცესების აქტივიზაცია (ბილიკების ეროზია, სანაპირო ზოლის გადარეცხვა, მაგ., მოტორიანი ნაგების ზეგავლენით)
- ცხოველთა და მცენარეთა ცალკეული სახეობების გაქრობა/განადგურება, მათი არსებობის ეკოლოგიური პირობების დარღვევა
- ტყიან ადგილებში ხანძრების განშირება
- მცენარეულის საფარის გათელვა
- ნიადაგის გატკეპნა/გამკვრივება და სხვა მრავალი

ყველა ეს მონაცემი გასათვალისწინებელია ცალკეული ტურისტულ-რეკრეაციული სისტემის ტეფადობის განსაზღვრისთვის, მისი რაციონალური და ნორმირებული გამოყენებისთვის ტურისტულ-რეკრეაციული მიზნით, აგრეთვე, ტერიტორიის ტურისტული დაგეგმვისა და პროექტირებისთვის.

რესურსების ტრანსფორმაცია ტურისტული დატვირთვისთვის გამო, როგორც წესი, უპირველესად ვლინდება მცენარეების გათელვასა და ნიადაგის გატკეპნა/გამკვრივებაში. ხოლო გამკვრივებულ ნიადაგში თავსხმა წვიმების დროსაც კი შეუძლებელია ტენით მცენარეთა ფესვების უზრუნველყოფა. ე.ი. ირღვევა და ზიანდება ნიადაგის სტრუქტურა და, აქედან გამომდინარე, მცენარეული საფარი. პარალელურად ნადგურდება ტყეების ბალახეული საფარი, რომელსაც ცვლის ტენის მიმართ ნაკლებად პრეტენზიული მინდვრის ბალახეული. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ტყეთა და ქვეტყეთა სისტემის განახლება აღარ ხდება. ეს პროცესები განსაკუთრებით წიწვიან ტყეებს აზარალებს.

ზემოაღნიშნული არის ტერიტორიაზე ანთროპოგენური ზემოქმედების ძირითადი შედეგები, რასაც *ტურისტულ-რეკრეაციულ დიფერენსს* უწოდებენ.

უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ტერიტორიები, რომლებზედაც თავმოყრილია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, სხვადასხვაგვარად რეაგირებს დიფერენსაზე: ზოგი – ტერიტორიის ძალიან მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გამოყენებისას; ზოგზე კი – მცირე და ხანმოკლე დატვირთვაც საკმარისია.

რესურსების ტრანსფორმაცია, ზემოაღნიშნული დატვირთვის ნორმების დაუცველობის შემთხვევაში, დამოკიდებულია არა მხოლოდ ტერიტორიული სისტემის, არამედ თავად ტურისტული დატვირთვის თავისებურებაზე.

მაგალითად, ტურისტულ-რეკრეაციული დატვირთვა შეიძლება განხორციელდეს მოედანზე (ტურისტული პარკინგი დასვენების ობიექტის გარშემო და სხვა) და ხაზობრივადაც (ტურისტული მარშრუტი).

არაერთგვაროვანია ბილიკებისა და მინდვრების გათელვის ხარისხი დამსვენებელთა, ფეხით მოსიარულეთა ან პიკნიკზე მყოფთა მიერ.

ეს განსხვავებანი, თავის მხრივ, განისაზღვრება ტურისტულ-რეკრეაციული ციკლის სპეციფიკით, დამსვენებელთა ქცევის კულტურით, რაოდენობით, ორგანიზებულობის ხარისხით (მაგ., 20-კაციანი 1 ჯგუფი თუ 2-კაციანი 10 ჯგუფი).

არაერთმა მეცნიერულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ

ტურისტები არაორგანიზებულად მიჰყვებიან დასვენების დროს შეუდარებლად მეტ ზიანს აყენებენ ტერიტორიულ სისტემას, ვიდრე გვემაზომიერი, ორგანიზებული ტურისტები.

შეგახსენებთ, რომ

რესურსების ტრანსფორმაციის ანალიზი, გამომდინარე ტურისტული დატვირთვის ზღვრული ნორმებიდან, უნდა განიხილებოდეს ცალკეული ტერიტორიისა და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ცალკეული ელემენტებისთვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ ერთიანი სტანდარტები ამ მიმართულებით არ არსებობს, წინა თავებში მოცემული მასალის ანალიზით კი გასაგები ხდება – თუ რატომ. მიუხედავად ამისა, გთავაზობთ ტერიტორიულ სისტემაზე ტურისტულ-რეკრეაციული ზემოქმედების განზოგადებულ სქემას:

ტურისტულ-რეკრეაციული ზემოქმედება	მაჩვენებლები	ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის სახეები				
		ორგანიზებული ტურიზმი	არაორგანიზებული ტურიზმი	ლაქრობა/გასეირნება	პიკნიკი	
1. ტრანსფორმაცია	დამსვენებელთა რაოდენობა (კვ)	10 000	10 000	10 000	10 000	
	ვგუფის წევრთა რაოდენობა (კვ)	20	10	3	5	
	ვგუფების რაოდენობა	500	1000	3500	2200	
	ხანგრძლივობა (სთ)	24	24	6	6	
	ბილიკების გათელვა (ჰა)	1.5	840	1800	440	
	მინდერების გათელვა (ჰა)	1.0	45	—	90	
	კარები გათელვა (ჰა)	0,01	2	—	—	
	კოკონის დანთებით გათელვა (ჰა)	არსებობს კერა	0,05	—	0,05	
	2. რესურსების ათვისება	ყვავილების მოგროვება (ჰა)	3	840	1800	440
		სოკოს, ტყეოვნების მოგროვება (ჰა)	12.0	4500	600	220
3. ნივთებით დატვირთვა	მინის ჭურჭლით (ცალი)	გატანა	5600	1800	2800	
	კონსერვის ქილებით (ცალი)	გატანა	8900	2900	4400	
	მინის/პლასტიკატის ბოთლებით (ცალი)	გატანა	10 000	3700	10 000	
	საკვები ნარჩენებით (კგ)	გატანა	3300	1100	1600	
	ქაღალდის ნარჩენებით (კგ)	გატანა	550	150	280	

აღნიშნული ცხრილი გვაძლევს საშუალებას, გავაანალიზოთ ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებზე და ამ რესურსების კონცენტრაციის სისტემაზე (ტერიტორიაზე) ტურიზმის ცალკეული სახეობის ზეგავლენის ხარისხი.

* გამოთვლები შესრულებულია ტურისტთა მითითებული რაოდენობისთვის, რაც, ცხადია, ამ რაოდენობის შეცვლით შეიძლება. გამოთვლები ეფუძნება სხვადასხვა ტერიტორიის აღნიშნული კრიტერიუმებით შესწავლის შედეგებს და მოცემულია განზოგადებული სახით.

ტურიზმის ზემოქმედების დარეგულირებისთვის ტერიტორიულ კომპლექსებზე/სისტემებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციულ ტევადობას.

იგივე ნ. რეიმერის განმარტებით – ტურისტულ-რეკრეაციული ტევადობა ეს არის მიშხიდეელი ტერიტორიის ან აკვატორიის ზომების უნარი, უსრუნველპყოს დამსვენებელთა გარკვეული რაოდენობისთვის ფსიქოფიზიოლოგიური კომფორტი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა ბუნებრივი და ანთროპოკულტურული გარემოს დეგრადაციის გარეშე.

ტურისტულ-რეკრეაციული ტევადობა, ისე როგორც ტერიტორიის დატვირთვა, გამოიხატება ადამიანთა რაოდენობით ერთეულ ფართობზე დროის გარკვეულ მონაკვეთში (კვ.-დღე, კვ.-წელიწადი).

თუ ტურისტულ-რეკრეაციული დატვირთვისას ყურადღება ექცევა ტურისტული ობიექტებისა და ბუნებრივი კომპლექსების „ამტანუნარიანობას“, ტურისტულ-რეკრეაციული ტევადობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დამსვენებელთა კომფორტის ხარისხის გათვალისწინება (დამსვენებელთა დიდი ნაკადის პირობებში მათი ურთიერთობების ხარისხიც კი).

ბოლო მონაცემების გათვალისწინებით, ტურისტულ-რეკრეაციული ტევადობა ტყეებში არის 2 კვ 1 ჰა-ზე, უტყეო ადგილებში – უფრო ნაკლები.

თეორიული გამოთვლებით, ტურისტულ-რეკრეაციული დატვირთვა – 150-250 ათას ჰა-ზე 1 მლნ კვ-დღეა წელიწადში.

არსებობდა პროგნოზი, რომლის მიხედვით, 2000 წლისთვის კაცობრიობას დასვენებისთვის ხმელეთის საციკოხლოდ ვარგისი ტერიტორიის 50% დასჭირდებოდა (სამწუხაროდ, მონაცემები, თუ რამდენად შესრულდა ეს პროგნოზი, გარკვეული არ არის).

ესე იგი, ტევადობა – ეს არის დამსვენებელთა რაოდენობა, რომელიც ბუნებრივი რესურსებისათვის არსებითი ზიანის მიყენების გარეშე შეიძლება იმყოფებოდეს ამ ტერიტორიაზე.

ტევადობის განსაზღვრისთვის საჭიროა:

- ▶ ინფორმაცია ტერიტორიის ლანდშაფტურ სტრუქტურაზე
- ▶ ინფორმაცია ფართობებზე, რომელიც ცალკეულ ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსს უჭირავს
- ▶ ტერიტორიის ბოლო და შესაძლო ტურისტული დატვირთვების ანალიზი
- ▶ ამ დატვირთვისადმი ტერიტორიის მდგრადობის შეფასება ამასთან,

ტევადობა არ შეიძლება გამოითვლოს ზოგადად ტურიზმისთვის.

ტევადობა გამოითვლება ტურიზმის კონკრეტული სახეობისათვის, რომელთათვისაც დამახასიათებელია ტერიტორიის გამოყენების საკუთარი რეჟიმი და ტერიტორიაზე ზემოქმედების ინტენსივობა.

საკვანძო სიტყვები:

ტერიტორიის დატვირთვა
ტერიტორიის ტევადობა
ტრრ-ების ტრანსფორმაცია
დიგრესია

! გაანალიზეთ სქემა №3 და მიეცით მას გრაფიკული ფორმა.

? შეიძლება თუ არა ტერიტორიის დატვირთვის ზღვრული ნორმების უნიფიცირებული სტანდარტების შემუშავება?

თუ თქვენი პასუხი დადებითია, დაასაბუთეთ – როგორ?
თუ თქვენი პასუხი უარყოფითია, დაასაბუთეთ – რატომ?

ქეისი „აფხაზეთი“*

აფხაზეთის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი პირველ ადგილზე იყო საქართველოში როგორც დასვენებისა და საკურორტო მკურნალობისათვის განკუთვნილი დაწესებულებების საერთო სიმძლავრით, ისე არაორგანიზებული დამსვენებლების საერთო რაოდენობით. მის ფარგლებში კონცენტრირებული იყო ქვეყანაში არსებული სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების თითქმის 30% და მათში ადგილების 45%. თავისი მნიშვნელობით ის ყოფილ საბჭოთა სიერცეში ჩამოუვარდებოდა მხოლოდ სოჭის, ყირიმის სამხრეთი ნაპირისა და კავკასიის მინერალური წყლების ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებს.

აფხაზეთის გადაქცევას თითქმის მთლიან რეკრეაციულ ზონად განსაზღვრავდა ბუნებრივი ფაქტორები – რბილი სუბტროპიკული კლიმატი, თბილი ზღვა, მრავალრიცხოვანი მინერალური სამკურნალო წყაროები, უნიკალური ესთეტიკური რესურსები და სხვ. დამსვენებლებს იზიდავდა აგრეთვე ისტორიული ძეგლების სიმრავლე და თვით საკურორტო ქალაქების სილამაზე.

საშუალო წლიური ტემპერატურით აფხაზეთის საკურორტო ადგილები თითქმის არ განსხვავდება ევროპის უდიდესი ზღვისპირა კურორტ ნიცასგან და უფრო მაღალი ტემპერატურით ხასიათდება, ვიდრე კურორტები სოჭი და იალტა. კიდევ უფრო დიდი სხვაობა არსებობს აფხაზეთის კურორტების სასარგებლოდ, თუ შევადარებთ მათ შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე – ბულგარეთსა და რუმინეთის ფარგლებში შექმნილ დასვენების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრებს („შხიური ნაპირი“, „მეგობრობა“, „მამაია“), სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 11-12^o არ აღემატება.

კლიმატურ მარევენებელთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შხის ნათების ხანგრძლივობას, რომელიც აფხაზეთის ზღვისპირეთში 2100-2200 საათს აღწევს წელიწადში. ეს მარევენებელი ბევრად მეტია, ვიდრე ბალტიისპირეთის კურორტზე ან აჭარის სანაპიროზე, მაგრამ ნაკლებია ყირიმის კურორტებთან შედარებით.

შხიან დღეთა რაოდენობა წელიწადში 200-მდეა. ზამთარი რბილია, ყინვები იშვიათი. ზოგჯერ დღისით ტემპერატურა +20^o აღწევს. წლის სეზონთა შორის საუკეთესოა შემოდგომა. ზაფხული ცხელია, დღისით ტემპერატურა +35^o-მდე აღის, ხშირია ნოტიო ტროპიკული ამინდის განმეორებადობა.

აფხაზეთში ზღვაში ბანაობის სეზონი გამოირჩევა ხანგრძლივობით. ზაფხულში წყლის საშუალო ტემპერატურა 2-3^o-ით მეტია, ვიდრე ყირიმის ნაპირებთან და 5-6^o-ით მეტი, ვიდრე ბალტიისპირეთის კურორტებზე. საბანაო სეზონი (სამკურნალო მიზნებისთვის) 5-ნ თვე გრძელდება.

ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის მთიან ზონას საუკეთესო კლიმატური პირობებით, ასევე, მის ტერიტორიაზე

არსებული მინერალური წყაროებით მდ. ბზიფის, ლაშიფსეს, კოდორის, ბესლეთის, ლალიძგას ხეობებში. მათგან შედარებით უკეთ იყო ათვისებული ავადპარისა და ტყვარჩელის მინერალური წყლები, სადაც ფუნქციონირებდა სამკურნალო დაწესებულებები.

აფხაზეთის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იყო ცნობილი, თუმცა გამოყენების დონე დაბალი იყო. ყურადღებას იქცევდა შედარებით კეთილმოწყობილი გაგრის კლიმატური კურორტი, გულრიფშის სანატორიუმები და ქ. სოხუმი, რომლის ცალკეული უბნები ბურჟუაზიის წარმომადგენლებისა და მსხვილი მოხელეების აგარაკებით იქნა განაშენიანებული.

აფხაზეთის კურორტების რეკონსტრუქცია-გაფართოება XX ს-ის 50-იანი წლებიდან სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. ჩამოყალიბდა მძლავრი ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსები გაგრის, გულაუთის, ახალი ათონისა და სოხუმის, 1967 წელს მწყობრში ჩადგა სამი ათასადგილიანი ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი. იგი კეთილმოწყობის დონით უნიკალური იყო ყოფილ საბჭოთა სივრცეში.

ინტენსიურად ვითარდებოდა აფხაზეთში ტურიზმი. ტურისტული ბაზები მოქმედებდა სოხუმში (3), გაგრაში, ახალ ათონში და რიგ სხვა პუნქტებში, სულ 2,5 ათას ადგილზე, რაც საქართველოს მთელი ტურისტული ბაზების საერთო სიმძლავრის თითქმის 30%-ს შეადგენდა. თანდათან ვითარდებოდა საერთაშორისო ტურიზმი, რომლის მთავარ ცენტრად არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთლიანად საქართველოში გადაიქცა ქ. სოხუმი.

ზემოაღნიშნული დაწესებულებების გარდა რაიონის ფარგლებში მოქმედებდა მრავალრიცხოვანი პანსიონატი, სასტუმრო, კემპინგი. 1970 წელს აფხაზეთში აღრიცხულ იქნა ყველა სახის 90 დაწესებულება საკურორტო მკურნალობის, დასვენებისა და ტურიზმისათვის. მათი საერთო ტევადობა 26,3 ათას საწოლს შეადგენდა. მიუხედავად საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმძლავრისა, ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებებს.

აფხაზეთში ჩამოყალიბდა ორი მძლავრი *ტურისტულ-რეკრეაციული ქვერაიონი* — *გაგრის და სოხუმის*. გაგრის ქვერაიონი აერთიანებდა *ლესელიძე-ვანთიადის, საკუთრივ გაგრის, ბიჭვინთის და რიწა ავადპარის*, ხოლო *სოხუმის ქვერაიონი* — *გულაუთის, ახალი ათონისა და სოხუმის კომპლექსებს*.

გაგრის ტურისტულ-რეკრეაციული ქვერაიონი

როგორც მას შეგვიძლია ვუწოდოთ, „დიდი გაგრა“, საქართველოს მთავარ რეკრეაციულ კომპლექსს წარმოადგენდა. მის ფარგლებში განლაგებული იყო 20-მდე სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი, თითქმის 4 ათას ადგილზე, რაც საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლის 14% შეადგენდა.

ქვერეაიონის მთავარი შემადგენელი ნაწილია კურორტი გაგრა, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მნიშვნელობით მეორე (წყალტუბოს შემდეგ) პირველადი რეკრეაციული კომპლექსი. იგი აერთიანებდა 14 საკურორტო დაწესებულებას 2,6 ათასი ადგილით. გარდა ამისა გაგრამი მოქმედებდა ტურისტული ბაზა, სატუმრო და სხვადასხვა უწყების დასასვენებელი სახლები. სოხუმთან ერთად იგი არაორგანიზებულ დამსვენებელთა მიზიდვის მთავარი ცენტრიც იყო საქართველოს ზღვისპირეთში.

გაგრის პოპულარულ კურორტად გადაქცევა განსაზღვრა მისი გარემომცველი ბუნების სილამაზეპ და იშვიათმა კლიმატურმა პირობებმა. კურორტი განლაგებულია გაგრის ქედის ფერდობებზე ციფწყალიდან ახალ გაგრამდე, თითქმის 20 კმ მანძილზე. გაგრამი არსებობს პოტენციური საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ ბაზად იქცევს.

ლესელიძე-ვანთიადის პირველადი კომპლექსი

გაცილებით მცირე მასშტაბის იყო. მოქმედებდა სულ რამდენიმე დასასვენებელი სახლი და პანსიონატი. გამოირჩეოდა როგორც „საოჯახო“ დასვენების ცენტრი.

რიწა-ავადჰარის კომპლექსი

კომპლექსს აქვს სამთო-სათხილამურო და ბალნეოლოგიური პოტენციური. რიწის ტბა ტურიზმის უმნიშვნელოვანესი ობიექტი იყო გარემომცველი მთების ბუნების იშვიათი სილამაზით. ავადჰარის ბალნეო-კლიმატური რესურსები არასრულად იყო გამოყენებული, თუმცა ზაფხულობით აქ რამდენიმე ათასი დამსვენებელი და მკურნალობის მსურველი ჩამოდიოდა.

პერსპექტივაში შესაძლებელია რიწა განვითარდეს როგორც ტურიზმის ცენტრი, ხოლო ავადჰარა – ბალნეო-კლიმატური კურორტი.

ბიჭვინთის ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსი

კომპლექსი აერთიანებდა ბიჭვინთასა და მეზობლად მდებარე სოფლებს. გამოირჩეოდა საკურორტო რესურსების მრავალფეროვნებით. მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ფიჭვის კორომს, რომელიც მესამეული პონტური ფლორის რელიქტია. ბიჭვინთის კონცხი სხვა სახის მცენარეულობითაც არის მდიდარი. მას ამშვენებს კვიპაროსის ხეივნები და ბზის ნარგავები. კურორტის

მიდამოებში პლაჟი თანდათან ეშვება ზღვაში, ზოლო ზღვა ყურეში თითქმის ყოველთვის შშვილია. საშუალო წლიური ტემპერატურა 15⁰-ია, მზიან დღეთა რაოდენობა – 216.

პერსპექტივაში ბიჭვინთის რაიონში ახალი საკურორტო ობიექტების მშენებლობა მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებშია შესაძლებელი და ისიც არა საკუთრივ ბიჭვინთაში, რაისა არ დაეუშვათ რელიქტური ფიჭვის კორომის ბიოეკოლოგიური პირობების გაუარესება.

სოხუმის ტურისტულ რეკრეაციული ქვერაიონი

ქვერაიონის მთავარი ბირთვი იყო სოხუმის რეკრეაციული კომპლექსი. აქ მუშაობდა სამი მსხვილი ტურისტული ბაზა, ავტოპანსიონატი, ოთხი სასტუმრო და სხვ. საკურორტო ფუნქცია უფრო სოხუმის კომპლექსის პერიფერიულ ნაწილში განლაგებული პუნქტებისთვის (გულრიფში, აგუპერა, ეშერა) იყო დამახასიათებელი.

ქ. სოხუმს, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქს, ადმინისტრაციულთან ერთად სხვა ფუნქციებიც გააჩნდა. თუმცა ერთ-ერთი მთავარი მისთვის საკურორტო ფუნქცია იყო, რაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარეობს.

სოხუმის კლიმატის დადებით მარჯვენებელთა შორის აღსანიშნავია თბილი, მზიანი შემოდგომა, რბალი ზამთარი, მზიან დღეთა სიუხვე მთელი წლის განმავლობაში. დასვენებისა და მკურნალობისთვის საუკეთესო პერიოდი გრძელდება სექტემბრიდან ივლისამდე. თვით სოხუმი მარად მწვანე სამოსელში გახვეული, სწორი, სუფთა ქუჩებით და ბალ ხეივნებით ძალიან მიმზიდველი იყო და შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად ითვლებოდა.

პერსპექტივაში სოხუმის კომპლექსი უნდა განვითარდეს ახალი პუნქტების (გუმისთა, ახალი კინდლი, ამტყელის ტბა და ა.შ.) ათვისების გზით. თვით სოხუმში მიზანშეწონილია მხოლოდ სასტუმროებისა და ტურიზმის ბაზების მშენებლობა და ნაწილობრივ, არსებული საკურორტო დაწესებულებების აღდგენა-გაფართოება.

გუდაუთის პირველადი კომპლექსი

კომპლექსი მოიცავდა ქ. გუდაუთას და მის მახლობელ სოფლებს, სადაც განლაგებული იყო საკურორტო დაწესებულება 1,6 ათას ადგილზე. კურორტი გუდაუთა მდებარეობს შედარებით ფართო ზღვისპირა დაბლობზე და ამდენად

საკურორტო მშენებლობა აქ არ არის ლიბიტირებული სამშენებლო მოედნების სიმცირით. გუდაუთა ხასიათდება უფრო ცივი და ნოტიო კლიმატით, ვიდრე სოხუმი. მისი პლაჟი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა აფხაზეთის სანაპიროზე.

ახალი ათონის კომპლექსი

კომპლექსის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულება იყო საკურორტო-სამკურნალო. აქ იყო სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი. ახალი ათონის პროფილი საგრძნობლად შეიცვალა ტურიზმის ხვედრითი წილის ზრდის ხარჯზე. ტურიზმის განვითარებას ახალ ათონში ხელს უწყობდა ამ რაიონის ბუნების სილამაზე, ისტორიული ძეგლების არსებობა და სხვ. განსაკუთრებით პერსპექტიული გახდა ახალი ათონი სპელეოტურიზმის განვითარებისათვის, ანაკოფიის მღვიმის კეთილმოწყობის შემდეგ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთი – *ტყვარჩელ-ოჩამჩირის ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის* ფორმირება შესაძლებელი. ტყვარჩელში ადგილობრივი მინერალური წყაროების ბაზაზე მოქმედებდა ბალნეოლოგიური კურორტი. კარგი პლაჟი ხელს შეუწყობს დამსვენებლებისა და ტურისტების რაოდენობის ზრდას.

ქეისი „აჭარა“

აჭარის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი

რაიონი მოიცავს აჭარის სანაპირო ზოლს. იგი გადაჭიმულია ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 კმ მანძილზე. აჭარის სანაპირო მეტწილად მთიანია, კლიმატი განსაკუთრებული სირბილით გამოირჩევა. საშუალო თვიური ტემპერატურების ამპლიტუდა აქ მინიმალურია, არ აღემატება 17°, ე.ი. იმდენივეა. რამდენიც საფრანგეთის ცნობილ კურორტ ნიცაში. იანვრის საშ. ტემპერატურა ბათუმში 6,4°-ია, აგვისტოსი – 23,2°. სანაპირო პლაჟების უმეტესობა, განსაკუთრებით ქობულეთში, საუცხოო ხარისხისაა. ზღვის წყლის ტემპერატურა ზაფხულში შეადგენს 24°.

აჭარა მდიდარია მინერალური წყაროებით. ესთეტიკური რესურსების მრავალფეროვნებით არ ჩამოუვარდება სხვა საკურორტო რაიონებს.

გეოგრაფიული მდებარეობისა და სპეციალიზაციის შესაბამისად აჭარაში გამოიყოფა ორი რეკრეაციული ქვერაიონი: *ბათუმისა და ქობულეთის*. პირველი მოიცავს ბათუმს, მანინჯაურს და სამთოკლიმატურ კურორტ ცისკარას (მტირალას). მეორეში გაერთიანებულია ქობულეთისა და ციხისძირის კომპლექსები.

ბათუმის ქვერაიონი

ქვერაიონი აერთიანებს საკუთრივ ბათუმისა და მანინჯაურ-მწვანე კონცხის კომპლექსებს. ბათუმი წარმოადგენს პოპულარულ ზღვისპირა კურორტს. მისი კლიმატის დადებითი მხარეა ნისლიანი დღეების სიმცირე. ქარი იშვიათია და წყნარი დღეების რიცხვი ორჯერ მეტია, ვიდრე სოხუმსა და სოჭში, ქარის საშუალო სიჩქარე კი ორჯერ ნაკლებია. ამის გამო ბათუმისთვის დამახასიათებელია იშვიათი გამჭვირვალობის და მტვერს მოკლებული ზავერდოვანი ჰაერი. მდიდარი მცენარეულობა და ქალაქის რიდამოების ბუნების სილამაზე კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ბათუმის ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს.

ქალაქში უმთავრესად უსაგზურო დამსვენებელი ჩამოდის, ვინაიდან ტურისტულ-რეკრეაციული დაწესებულებების ტევადობა ლიმიტირებულია.

ბათუმისთვის, უფრო მეტად, ვიდრე შავი ზღვისპირეთის სხვა მსხვილი კურორტებისთვის, დამახასიათებელია დამსვენებელთა ნაკადის მკვეთრად გამოხატული სეზონურობა.

მომავალში ბათუმი განვითარდება უპირველესად როგორც ტურიზმის, მათ შორის საერთაშორისო ტურიზმის ცენტრი.

მახინჯაური-მწვანე კონცხის კომპლექსი

კომპლექსი მოიცავს ზღვისპირა ზოლს კარა-დერესა და მწვანე კონცხებს შორის. ამ მიკრორაიონის კლიმატური მაჩვენებლები რამდენადმე უკეთესია, ვიდრე ბათუმში. ზაფხული ოდნავ გრილია, ზამთარი კი რამდენადმე თბილი. დამატებით სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს მახინჯაურის მინერალური წყაროები, რომელთა ბაზაზე აგებულია სააბაზანო შენობა. მახინჯაურში მოქმედებს დასასვენებელი სახლი და პანსიონატი, დაახლოებით ათას ადგილზე.

ამავე კომპლექსის შემადგენელი ნაწილია კურორტი *მწვანე კონცხი*. იგი აჭარის სანაპიროს ულამაზესი კუთხეა სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეულობის საფარით. კურორტს ამშვენებს 1912 წელს დაარსებული ბოტანიკური ბაღი.

ქობულეთის ქვერაიონი

ქვერაიონი გამოირჩევა საკურორტო დაწესებულებების კონცენტრაციით. მასზე მოდის აჭარაში არსებული სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების 2/3. ამ ქვერაიონში ორი *კომპლექსი* გამოიყოფა – *ქობულეთისა* და *ციხისძირის*.

ქობულეთი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ზღვისპირა კურორტია. მისი კლიმატი, ბათუმთან შედარებით, უფრო მშრალია, ხოლო მზიან დღეთა რიცხვი მეტია. ქობულეთის ღირსებაა ზღვის წყლის მაღალი ტემპერატურა და საუცხოო ფარაო პლაჟის არსებობა. პირველი სანატორიუმი კურორტზე შეიქმნა 1924 წელს, ხოლო უკვე 1934 წელს ქობულეთში ფუნქციონირებდა 7 საკურორტო დაწესებულება 780 ადგილზე.

აჭარის კურორტებს შორის ქობულეთს გააჩნია ყველაზე უფრო დიდი თავისუფალი ფართობები (მდ. ჩოლოქის შესართავამდე) ახალი საკურორტო მშენებლობისთვის, ამიტომაც იგი შეიძლება ჩათვალოს ამ რაიონის მთავარ პერსპექტიულ კურორტად.

კლიმატური კურორტი *ციხისძირი* ტიპური საკურორტო დასახლებაა და დაშორებულია ქობულეთს 5 კმ-ით. იგი მდებარეობს მაღალ, კლდოვან ნაპირზე, ჩაფლულია მარადმწვანე სუბტროპიკულ მცენარეულობაში.

კურორტის შემდგომი გაფართოება უნდა წარმართოს არსებული ტურისტულ-რეკრეაციული დაწესებულებების ტევადობის ზრდის ხარჯზე.

ქეისი „კოლხეთი“

კოლხეთის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონი

რაიონი მოიცავს დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონას (ზღვისპირა ზოლის გამოკლებით), სადაც განლაგებულია ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტები: წყალტუბო, მენჯი და ცაიში.

რაიონის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ქუთაისის და ოდიშის ქვერაიონები. პირველი აერთიანებს ქუთაისისა და წყალტუბოს, ხოლო მეორე მენჯისა და ცაიშის ტურისტულ-რეკრეაციულ ტერიტორიებს. მის საკურორტო მნიშვნელობას განსაზღვრავს უნიკალური ჰიდრომინერალური რესურსების არსებობა. განსაკუთრებული ადგილი მათ შორის უკავია წყალტუბოს თბილ ($32-35^{\circ}$), სუსტად მინერალიზებულ ($0,8$ მ/ლ), სუსტად რადიოაქტიურ (მაჰეს $3-30$ ერთეული) და აზოტის დიდი შემცველობის მქონე წყაროებს.

დღეღამეში წყალტუბოს სამკურნალო წყლების დებიტი შეადგენს 12 მლ ლიტრს. დამატებითი, საკურორტო ფაქტორია აგრეთვე თბილი, ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი. აქ ფუნქციონირებდა 13 სანატორიუმი და პანსიონატი $3,7$ ათას ადგილზე, რაც საქართველოს საკურორტო ფონდის 13% აღემატებოდა. წყალტუბოში ეფექტურად მკურნალობდნენ გულ-სისხლძარღვთა, საყრდენ-მაშობ-რავებელ ორგანოთა, ნერვული სისტემის და სხვა სახის დაავადებებს.

ადგილობრივი გოგირდწყალბადოვანი, ქლორნატრიუმის წყაროების ბაზაზე ქ. სენაკიდან 3 კმ დაშორებით შექმნილია კურორტი მენჯი, სადაც გულ-სისხლძარღვთა, კანისა და საყრდენ-მაშობრავებელ ორგანოთა დაავადებების მკურნალობისთვის შესანიშნავი ბუნებრივი რესურსები არსებობს.

მენჯში ფუნქციონირებდა მსხვილი, 290 -ადგილიანი სანატორიუმი.

კოლხეთის პერსპექტიული კურორტია ცაიში ქ. ზუგდიდის მახლობლად. აქ გოგირდწყალბადიანი თერმული (80° -მდე ტემპერატურით) წყლების გამოსავლება. პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, საყრდენ-მაშობრავებელი ორგანოების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ ეს წყლები ძალზე ღირებულ რესურსს წარმოადგენს. ცაიშში მოქმედებდა 200 -ადგილიანი სანატორიუმი.

ტურისტული კოლხეთის რაიონში განვითარებულია უმთავრესად ქ. ქუთაისის საგარეუბნო ზონაში, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების კონცენტრაციით.

აქ მდებარეობს სათაფლიას და აჯამეთის ნაკრძალები, გელათის ტაძარი და აკადემიის ნაგებობათა კომპლექსი (XII ს.), თვით ქუთაისში ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები და სხვა ისტორიული ძეგლები.

პერსპექტივაში ქუთაისი გადაიქცევა კოლხეთის ტურისტულ-რეკრეაციული რაიონის მარგანიზებულ ცენტრად.

მთლიანად კოლხეთის რაიონი მომავალში განვითარდება ორი ძირითადი მიმართულებით: საკურორტო-სამკურნალო – წყალტუბოს მინერალური წყაროების ბაზაზე და ტურისტული – ცენტრით ქ. ქუთაისში.

წყალტუბოს მინერალური წყაროების დებიტი სანატორიული დაწესებულებების ტევადობის ზრდის შესაძლებლობას გვაძლევს.

ქეისი „სვანეთი“

სვანეთი ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი რეგიონია არა მარტო დასავლეთ კავკასიონში, არამედ მთელ საქართველოში და ამიერკავკასიაშიც. ის გამოირჩეულია როგორც ბუნებრივი პირობებით, ისე სასოფლო განსახლების თავისებურებით – დასახლებული პუნქტების მორფოლოგიით, ფუნქციებითა და განვითარების პერსპექტივებით.

მიუხედავად საერთო ზოგადი ერთიანობისა, „ენგურის სვანეთი“, ე.ი. ზემო სვანეთი, სოფლების განლაგებითა და დასახლებათა ხასიათით მკვეთრად განსხვავდება „ცხენისწყლის სვანეთისაგან“, ანუ ქვემო სვანეთისაგან.

ზემო სვანეთში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მთავარი არტერიის – მდ. ენგურის პირას კი არ არის დასახლებული, არამედ მისი შენაკადების ხეობებში, მაშინ, როდესაც ქვემო სვანეთში სოფლები ძირითადად მდ. ცხენისწყლის გასწვრივ არის კონცენტრირებული. გვერდით ხეობებში კი, მათი სივიწროვის გამო, მცირე გამონაკლისის გარდა, დასახლებები არ არის. ეს და სხვა განმასხვავებელი ნიშნები საფუძველს გვიქმნის სვანეთის რაიონში გამოვეყნოთ ორი ქვერაიონი:

1. ზემო სვანეთის ქვერაიონი;
2. ქვემო სვანეთის ქვერაიონი.

ზემო სვანეთის ქვერაიონი მაღალმთიანი მთაგრეხილებითაა გარშემორტყმული, რის გამოც ის საკმაოდ იზოლირებულია გარე სამყაროსაგან. აღნიშნული ქვერაიონი ფაქტობრივად მოიცავს მესტიის ადმინისტრაციულ რაიონს, რომელიც ფართობით აღემატება საკვლევი ტერიტორიის ყველა რაიონს და 3044,5 კმ²-ს შეადგენს.

განსახლების სისტემას 135 დასახლებული პუნქტი ქმნის. მათ შორის არის 1 დაბა და 134 სოფელი. დასახლებულ პუნქტთა რაოდენობით მესტიის რაიონი მხოლოდ დუშეთის რაიონს ჩამოუვარდება, თუმცა 17 სოფელი (!) უკვე გაუკაცრიელებულია.

დასახლებულ პუნქტთა სიმრავლე მათი ზალხმრავლობის პირდაპირპროპორციული არ არის. ამ სოფლებიდან განსახლების ქსელში ჭარბობს პატარა (უმცირესი 25–50 კვ. და მცირე 51–100 კვ.) სოფლები, რომელთა ხვედრითი წილი 54%-ს შეადგენს. მცირეა საშუალო სოფლების (200–500 კვ.) რაოდენობა, რაც სულ 8 სოფლითაა წარმოდგენილი და მხოლოდ ერთში – სოფ. იენაშში ცხოვრობს 600 კაცზე მეტი; 10 კაცზე ნაკლები მოსახლეობით აქ 7 სოფელია.

რაიონის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ძალზე დაბალია (4,6 კაცი 1 კმ²-ზე). მოსახლეობის ბოლო ორი აღწერის მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ

მესტიის რაიონში მოსახლეობის კლება ბოლო დრომდე უმნიშვნელო იყო და სულ 462 კაცს შეადგენს. მოსახლეობის მობილობის მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალია (10 კაცამდე ყოველ 1000 კაცზე).

ცნობილია, რომ სვანები, საქართველოს სხვა მთიანი რაიონების მოსახლეობისგან განსხვავებით, შედარებით ნაკლებად ტოვებენ საკუთარ ტერიტორიას, რაც გარდა ეთნოთავისებურებისა, იმითაც არის გამოწვეული, რომ მათ სხვებზე მეტად უჭირთ ბარის ზონის კლიმატთან ადაპტაცია. ამის მაგალითად საკმარისია სვანეთიდან ეკოლოგიური მიგრანტების პრობლემების გახსენება. საქართველოს გარე და შიდამიგრაციულ-დემოგრაფიული პროცესების ცნობილი მკვლევარი თ. გუგუშვილი მიიჩნევს, რომ „დღემდე არ არსებობს შიდამიგრაციული პროცესების მართვის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია და შესაბამისი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც პროცესების მართვაში უნდა იგულისხმებოდეს პოტენციური – „დემოგრაფიულად გაჯერებული“ რეგიონების გამოვლენა და რეგიონებიდან მიგრაციული ნაკადების საქართველოს განსახლების ეროვნული სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით წარმართვა.“

ასეთი კონცეფციისა თუ პოლიტიკის უქონლობის შედეგად, დღეს, ეკოლოგიური მიგრაციების მართვის წარსულმა ფორმებმა მთელი სიცხადით დააყენა... ამ პროცესების მოწესრიგებისა და მასში მონაწილე მიგრანტთა პრობლემების გადაწყვეტის მეტად რთული ამოცანა.“

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ამ პოზიციას არა მხოლოდ ზემო სვანეთის, არამედ სტიქიური მოვლენების საფუძველზე დაზარალებული ყველა მთიანი რაიონის მიმართ (აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი, ახალგორი).

იგივე თ. გუგუშვილის მონაცემებით, ეკოლოგიურ მიგრანტთა რაოდენობა მესტიის რაიონიდან (1991 წლის მონაცემი) 3500 კაცია, თუმცა ცნობილია, რომ მათი უმრავლესობა არ ღამაგრდა მათთვის ნახვერად აშენებულ (!) სახლებში.

საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან კავშირის დასამყარებელი ერთადერთი გზა ქვერეგიონის მხოლოდ მდ. ენგურის ვიწრო ხეობით აქვს. წლის გარკვეულ დროს სვანები ოდითგანვე სარგებლობდნენ საჭაპანო გზებით, რომლებიც თოვლყინულოვან, ძნელად გადასალახავ უღელტეხილებზე გადის. ასეთი გზები ამჟამად ნაკლებად გამოიყენება. უგზობამ დიდად განაპირობა ზემო სვანეთის სამეურნეო სახე და, ალბათ, ის მკაფიოდ გამოკვეთილი თვითმყოფადობა, რომელიც მას ახასიათებს.

მაღალი მდებარეობისა და რელიეფის ძლიერი დანაწევრების გამო, ქვერეგიონში განსახლებისათვის ვარგისი ტერიტორია ერთობ მცირეა და რაც არის, ისიც განცალკევებულ ხეობებშია გაბნეული. ჩვენი გაანგარიშებით, მთელი ზემო სვანეთის ქვერეგიონში საერთო ტერიტორიის დაახლოებით 5 %-იც კი არ არის

დასახლებული. ასეთი დაბალი მაჩვენებელი არ ახასიათებს საქართველოს არცერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს.

თუმცა ქვერეაიონი ბუნებრივი პირობების, სამეურნეო განვითარებისა და სასოფლო განსახლების ხასიათის მხრივ ერთიანი ტერიტორიაა, მაინც შეიმჩნევა შიგა დიფერენციაცია, რაც იმავე ბუნებრივი პირობების რამდენადმე განსხვავებულობით და აგრეთვე ადრეული ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით არის გამოწვეული; ამან გავლენა მოახდინა სასოფლო განსახლების ხასიათზე, სოფლების განლაგების თავისებურებაზე და მათ გარეგნულ სახეზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემო სვანეთის ქვერეაიონში ჩვენ გამოვყავით აღმოსავლეთი და დასავლეთი მიკრორაიონები. ამ მიკრორაიონებს შორის ბუნებრივი საზღვარი ბალის ქედია. ზემო სვანეთის დასავლეთი ნაწილი, მდ. ენგურის ხეობა, ბალის ქედის ქვემო მხარე, ადრე *სადადეშქელიანოდ*, ანუ „საბატონო სქანეთად“, იწოდებოდა, ხოლო ბალზემო სვანეთი, ე.ი. ზემო სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი – „თავისუფალ სვანეთად“.

ზემო სვანეთის ქვერეაიონის აღმოსავლეთი მიკრორაიონი გაშლილი ქვაბულია, რომელსაც პიფსიმეტრიულად უფრო მაღალი მდებარეობა უჭირავს, ვიდრე დასავლეთ მიკრორაიონს; შესაბამისად განსხვავებულია ჰავაც.

აღმოსავლეთ მიკრორაიონში სოფლები, ისე როგორც დასავლეთ მიკრორაიონში, ძირითადად განლაგებულია მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადების ფართოფსკერიან ხეობებში. რაც შეეხება საკუთრივ მდ. ენგურს, მის ნაპირას სოფლები იშვიათად გვხვდება. შენაკადების ხეობათა კალთებზე და ფსკერზე ჯგუფებად გაშენებულია მონის ტიპური პატარა სოფლები, რომლებიც თავისებურ მწყრივს ქმნიან. „თავისუფალ სვანეთში“ ასეთი 6 პატარა ჯგუფია.

ზემო სვანეთის ქვერეაიონში ყველაზე მაღლა მდებარეობს *უშგულის თემის სასოფლო დასახლება*, რომელიც ოთხ სოფელს – *ჩაჭაშს*, *ჩვიბიანს* (2028 მ ზ.დ.), *მურყელს*, *ჭობიანს* – აერთიანებს და მდ. ენგურის სათავეებში, ხეობის გაფართოებულ, სუბალპურ მდელოებით დაფარულ ტერიტორიაზეა განლაგებული.

სოფლები პატარა და შეჯგუფებულია. ოთხივე სოფელში ერთად 288 კაცი ცხოვრობს. საცხოვრებელი ბინები ერთსართულიანია და ქვითაა ნაშენი. საცხოვრებელშივე არის საქონლის სადგომი.

სოფლების შიგა დასახლება მჭიდროა: სახლები ერთმანეთთან მიჯრით არის აშენებული. სოფელში ბევრ ადგილას საცხოვრებელი მიშენებულია სვანურ კოშკთან. კოშკები ფიქლებითაა ნაგები, სიმაღლე 14-15 მეტრია.

უშგულის თემში შემორჩენილია აგრეთვე ციხე-სახლი – სვანური საცხოვრებლის ერთ-ერთი ტიპი. სვანური კოშკისაგან განსხვავებით, ციხე-სახლი უფ-

რო დაბალი (8-10 მ) და მასიურია. შედგება 3 სართულისაგან. პირველი სართული ადამიანთა საცხოვრებლად და საქონლის სადგომად გამოიყენება. მეორე სართულზე (სამეურნეო დანიშნულებისა) ასასვლელად კედელში დატანებულია ქვის კიბე. მესამე სართული ბანია და მას თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

სოფელ უშგულს ქვემოთ მდ. ენგურის ხეობა ვიწროა. ესაა ე.წ. კალის ხეობა, რომელიც იფარის საზოგადოებაზე გრძელდება, ოდნავ გაფართოებულია მხოლოდ ორ ადგილზე. ერთ-ერთში, უშგულიდან ქვემოთ, 9 კმ-ით დაშორებული კალის თემის საკრებულოს 7 მცირე სოფელია. მათგან ყველაზე დიდში, სოფ. ღაღაბორში 54 კაცი ცხოვრობს. ხოლო სოფლები – აგრაი, ლასკარალო, ხალდე – გაუკაცრიელებულია.

სოფლები აქაც მჭიდროდ დასახლებულია. შიგა განაშენიანებაც მჭიდროა. სახლები მხოლოდ ქვისაგანაა ნაშენი და ერთსართულიანია. კალაში საცხოვრებელი ბინები ზოგჯერ კოშკებთან არის მიშენებული.

კიდევ უფრო ქვემოთ, მდ. ენგურის ხეობა (იგივე კალის ხეობა) დაუსახლებელია. მხოლოდ კალის საკრებულოდან 14 კმ-ის მოშორებით, მდ. ადიშისჭალის შესართავთან, პატარა ქვაბულში გაშენებულია იფარის თემის საკრებულოს 4 სოფელი. მდ. ადიშისჭალის მარჯვენა ნაპირზე, 2040 მ-ზე ზ.დ.-დან, შესართავიდან 10 კმ მოშორებით, განმარტოებით დგას პატარა სოფელი (60 კვ.) ადიში (ჰადიში), რომლის მიდამოებში შუა საუკუნის ქართული ხელოვნების არაერთი ძეგლია.

ზემო სვანეთის ქვერეაიონის აღმოსავლეთ მიკრორაიონში სასოფლო დასახლების მეოთხე დიდი ჯგუფი არის მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადის მდ. მულხრის ბრტყელფსკერიან ხეობაში – ქვაბულში. ქვაბულის გვერდები ტყიანია, მაგრამ დასახლებული ადგილის მახლობლად გაჩეხილია და მის ადგილზე მეორეული ბუჩქნარებია გავრცელებული. ქვაბულში განლაგებულია მულახის თემის საკრებულოს 11 სოფელი. აქ შედარებით დიდი სოფლებია სოფ. ჭოლაში (179 კვ.), სოფ. ჩეიბიანი (194 კვ.), სოფ. ლახირი (165 კვ.) და სოფ. ჟაბეში (152 კვ.). დანარჩენ სოფლებში მუდმივ მაცხოვრებელთა რაოდენობა მერყეობს 7 კაციდან 100 კაცამდე. სულ მულახის თემის თერთმეტივე სოფელში 1007 მცხოვრებია.

სოფლები მჭიდროდაა დასახლებული, შიგა განაშენიანებაც მჭიდროა. საცხოვრებელი სახლები ხშირად ერთმანეთზე ისეა მიდგმული, რომ ეზოები თითქმის არ აქვს. საცხოვრებელი ბინები ერთსართულიანია და უმეტესად ქვისაგანაა აგებული. ბინებში ცალკე ფართობი უკავია საქონლის სადგომს. აღსანიშნავია, რომ იმ სოფლებში, რომლებიც ქვაბულის კიდეებზე, შემადლებულ ადგილებზეა

განლაგებული, საცხოვრებელი ბინებისათვის, როგორც წესი, შერჩეულია თოვლზვავებისაგან დაცული ადგილები. მიუხედავად ამისა, 1987 წელს საშინელმა სტიქიამ დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა მულახის თემის სოფლებს; იყო ადამიანთა მსხვერპლი. სოფლებში აქა-იქ შემორჩენილია სვანურ კოშკებზე მიდგმული საცხოვრებელი სახლები.

მულახის ქვაბულის ფსკერი ათვისებულია მიწათმოქმედებისათვის. აქ თესენ კარტოფილს.

უშგულის, კალის და იფარის თემების მსგავსად, მულახის საკრებულოშიც განვითარებულია მესაქონლეობა.

უფრო ქვემოთ, მულახის თემიდან 5 კმ-ის დაშორებით მდ. მულხრას ხეობა გაფართოებულია (მესტიის ქვაბული) და კარგად არის გამოყენებული სასოფლო დასახლებისათვის. აქ 7 მცირე და საშუალო სოფელია, რომელთაგან ხალხმრავლობით გამოირჩევა სოფ. *ლუმსია* (261 კვ.) და სოფ. *ნესგუნი* (318 კვ.). აქვეა მესტიის რაიონის ცენტრი – დაბა *მესტია*, რომელთანაც შერწყმულია რამდენიმე პატარა სოფელი. ეს სოფლებიც და მესტიაც გაშენებულია მდ. მულხრის მარჯვენა მხარეზე, რომელიც ვაკე ტერიტორიას წარმოადგენს.

საცხოვრებელი სახლები ერთ- და ორსართულიანია, თანამედროვე სტილის. *განსახლება* მკვეთრად გამოკვეთილი *ხაზობრივია*. სოფლების შიგა სიმჭიდროვე მაღალია.

მესტიაში შემონახულია სახლ-სიმაგრეები, გალავნით შემოზღუდული ერთიანი კომპლექსი, რომელშიც შედის სვანური კოშკი, მასზე მიდგმულია საცხოვრებელი (მაჩუბი) და სამეურნეო დანიშნულების სხვა შენობები.

ლენჯერის თემის საკრებულოს ტერიტორიაზე არის სახნავ-სათესი ფართობები, რომელიც ძირითადად კარტოფილის მოსაყვანად არის გამოყენებული. ითვისება ქერიც.

მოსახლეობა მისდევს მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენებას.

ლენჯერ-მესტიის შემოგარენში მრავლადაა ნახშირმთავა გაზიანი მინერალური წყლის გამოსავლები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა სამკურნალოდ იყენებს.

აღმოსავლეთი მიკრორაიონში („თავისუფალი სვანეთი“) სასოფლო დასახლების მეექვსე ჯგუფი მდ. მულხრის შესართავსა და მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირასაა განლაგებული. აქ ლატალის თემიდან მდ. ენგური ქმნის ფართო ხეობას, საკმაოდ ფართო ვაკე ტერასებით. ფაქტობრივად ლატალის თემის ტერიტორია პატარა ქვაბულს წარმოადგენს, სადაც თავმოყრილია 11 სოფელი. მათ შორის მოსახ-

ლეობის რაოდენობით გამოირჩევა სოფ. იენაში, რომელშიც დღეისათვის 605 კაცი ცხოვრობს.

სულ ლატალის საზოგადოების სოფლებში ერთად 1478 მცხოვრებია. სოფლები ერთმანეთისაგან მცირედაა იზოლირებული. მაღალია სოფლების შიგა სიმჭიდროვე. საცხოვრებელი ბინები ქვისგან ან ხისაგანაა აგებული და დიდი უმეტესობა ერთსართულიანია.

რელიეფის მაღალმთიანობის, ძლიერი დანაწევრებისა და ტყიანობის გამო, აღმოსავლეთ მიკრორაიონში სახნავ-სათესი მიწების ხვედრითი წილი დაბალია. ლატალის თემის სოფლები, აღმოსავლეთ მიკრორაიონის სხვა სოფლებთან შედარებით, უფრო დაბლა მდებარეობს, ჰავაც ნაკლებად მკაცრია, დამუშავებისათვის ვარგისი მიწები მაქსიმალურადაა ათვისებული. თესვენ კარტოფილს, რომელიც უხვ მოსავალს იძლევა. აქა-იქ მოჰყავთ ქერი. დამწიფებას ასწრებს სიმინდიც.

მოსახლეობის მთავარი სამეურნეო საქმიანობა კი მანც პირუტყვის, ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და ღორების, მოშენებაა.

ამ ტიპური მაღალმთიანეთის მდინარეთა ხეობების *კერობრივი (ჯგუფური)*, ზოგჯერ *ბაზობრივი განსასვლელა*, ცოტად თუ ბევრად განასხვავებს მას ზემო სვანეთის ქვერაიონის დასავლეთ („საბატონო სვანეთის“) მიკრორაიონისაგან.

ზემო სვანეთის დასავლეთი, ანუ „საბატონო სვანეთის“ მიკრორაიონი ბალის ქედის ქვემოთ მდებარეობს. მისთვის ნიშანდობლივია მთის მცირე და საშუალო სოფლების *ბაზობრივი-ჯგუფური (კერობრივი)* განსახლება, ძირითადად მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადების ხეობებში. მაგრამ სოფლების გარკვეული ნაწილი, აღმოსავლეთ მიკრორაიონისაგან განსხვავებით, დასავლეთ მიკრორაიონში, საკუთრივ მდ. ენგურის ხეობაშიც არის გაშენებული, მეტწილად მარჯვენა მხარეზე.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ *ბჟოს, ეცერის, ფარის საკრებულოების* და „საბატონო სვანეთის“ სხვა ბევრი სოფელი განლაგებულია ტერასებზე. სასოფლო დასახლების პირველი ჯგუფი მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადის – მდ. დოღრას ხეობაშია. ესენია ბჟოს თემის საკრებულოს სოფლები. მდ. დოღრას ხეობას ფართო (1-1,5 კმ) ბრტყელი და ადამიანის ხელით დამუშავებული ფსკერი აქვს. ის სვანეთის შედარებით თბილ და მყუდრო კუთხეს წარმოადგენს. აქ არის განლაგებული დასავლეთის მიკრორაიონის მცირე და საშუალო სიდიდის 11 სოფელი, მათ შორის ყველაზე ხალხმრავალია სოფ. *უშხენარი* (226 კვ.) და სოფ. *მაზერი* (195 კვ.). ეს უკანასკნელი ბჟოს თემიდან ყველაზე ცნობილი სოფელია, რომელიც ზ. დ.-დან 1660 მ სიმაღლეზე მდებარეობს და ხეობაში ბოლო, ჩამკეტ

სოფელს წარმოადგენს. მას ზოგჯერ „სასტარტო სოფლადაც“ მოიხსენიებენ. სოფ. მაზერი კავკასიონის მთათა სისტემაში ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალის – უშბას ძირში მდებარეობს. ჩვეულებრივ აქ ემზადებიან და სტარტს იღებენ უშბას დასალაშქრად.

სოფლებს შორის სამიმოსვლო კავშირი მეტ-ნაკლებად არსებობს საავტომობილო გზის გამო, რომელიც ხეობის ყველა სოფელზე გადის, სოფ. მაზერამდე. ხეობაში დასახლება მჭიდრო არ არის. სოფლები ერთმანეთისაგან განცალკევებით მდებარეობს. რაც შეეხება სოფლის შიგა განაშენიანებას, ის მჭიდროა, სახლები ერთ- და ორსართულიანია, მეტწილად ქვის.

ბეროს თემის სოფლები სახნავ-სათესი ფართობების სიდიდით არ გამოირჩევა, მაგრამ მდ. დოღრას ჭალა მაქსიმალურად არის ათვისებული სამეურნეოდ, მიწათმოქმედებისათვის. ამას ხელს უწყობს შედარებით ზომიერი კლიმატი. აქ უხვად მოჰყავთ საუკეთესო ხარისხის კარტოფილი. ზოგან თესენ ქერს. ხეობის ქვემო ნაწილის სოფლებში ტერასებზე მოჰყავთ სიმინდიც. განვითარებულია სარძეო-სახორციე მიმართულების მესაქონლეობაც და აგრეთვე ღორების მოშენება.

ქვერაიონის დასავლეთ მიკრორაიონის სოფლების ერთი დიდი ჯგუფი განლაგებულია მდ. ენგურის მარჯვენა მხარეზე, მისი შენაკადების – მდ. დოღრასა და მდ. ნაკრას წყალგამყოფ ცალგმილის ქედის სამხრეთ კალთებზე, ტყის ზონის ფარგლებში. აქ საშუალოდ 1200-1300 მ-ის ზემოთ (ზ.დ.) განლაგებულია ეცურის, ფარის და ლახამულას საკრებულოებში გაერთიანებული 34 მცირე სოფელი, მათგან მხოლოდ ოთხი სოფლის მოსახლეობა აღემატება 100 კაცს. მიკრორაიონში ჭარბობს მცირე სოფლები (25 კაცამდე); ეს სოფლები ნაწილობრივ დაცარიელდა და გვხვდება ისეთიც, რომელიც გაუკაცრიელების პირას არის მისული.

გზისპირა ადგილებში ორსართულიან ქვის სახლებს აგებენ.

სოფლები ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით არის გარშემორტყმული, ამიტომ სახნავ-სათესი მიწები ძალზე ცოტაა. ძირითადი ფართობი სათიბ-სამოვრებს უკავია, რაშიც აქ მესაქონლეობის (მსხვილფეხა რქოსანი) კარგად განვითარება განაპირობა. ასევე მნიშვნელოვანია ღორების მოშენებაც.

სოფლებს შორის კავშირი სუსტია, თუ მხედველობაში არ ჩავივლებთ იმ სოფლებს, რომლებიც ზემო სვანეთის ცენტრალური გზის პირასაა განლაგებული.

დოღრა-ნაკრას მონაკვეთზე მდ. ენგურის მარცხენა სანაპირო ძირითადად დაუსახლებელია, რადგან ბაკხილდის ქედის კალთები მჭიდროდ ებჯინება მდ. ენგურს და განსახლებისათვის ვარგისი ადგილები არ არის. მხოლოდ ერთგან გეხვდება მცირე ვაკე ადგილი, რომელიც დასახლებულია *ცხუმარის* 6 სოფლით. მათ შორის 3 სოფლის საშუალო სიდიდე 100 კაცს აღემატება, 3-ის კი 100 კამდეა. ყველა სოფელში ერთად 603 მცხოვრებია.

ლახამულას ქვემოთ მდ. ენგურის ხეობა ტყითაა შემოსილი და ვიწროა სოფ. *ჯვარამდე*. ამიტომ სასოფლო დასახლებისათვის გამოუსადეგარია. განსაკუთრებით ვიწროა მდ. *ლახამულადან* სოფ. *ხაიშამდე*. სოფლები ძირითადად მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადების პატარა ხეობებშია გაშენებული. ამ მხრივ გამორჩეულია მდ. *ნენსკრას*, ანუ ჩვიბრულას, და მდ. *ნაკრას* ხეობები. ეს ხეობები განსხვავებულია. მდ. *ნაკრას* ხეობა ვიწროა, ტყიანი.

მდ. *ნაკრას* ხეობაში, სოფ. *ხაიშამდე*, მდ. ენგურის ვიწრო და ტყიან ხეობაში აქა-იქ ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული მცირე სოფლებია გაფანტული, რომელთა შორის ზოგიერთი მთების ციცაბო კალთებზეა განლაგებული. მდ. ენგურის ამ მონაკვეთზე, 23 კმ მანძილზე, მდინარის ორივე მხარეს 9 პატარა სოფელია გაშენებული, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 220 კაცს არ აღემატება. ამავე დროს, მათ შორის სამ სოფელში (*მუხაშური*, *ჭერი*, *ქედანი*) დღეისათვის მუდმივი მოსახლეობა უკვე აღარ არის. სოფელთა შორის ყველაზე დიდია სოფ. *ლახამულა* (118 კვ.) და სოფ. *დიზი* (105 კვ.).

ამ სოფლებიდან მოსახლეობის გადინება შედარებით ნაკლებია, რადგან მისი ნაწილი დასაქმებული იყო სოფლის მიდამოებში არსებული ძვირფასი მარმარილოს მოპოვება-დამუშავებით.

საცხოვრებელი ბინები სოფლებში მეტწილად ხისგანაა აშენებული და ერთსართულიანია.

მოსახლეობას სახნავ-სათესი მიწები საერთოდ არა აქვს და ძირითადი სამეურნეო საქმიანობაა მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება).

ზემო სვანეთის ქვერაიონის დასავლეთ მიკრორაიონში სასოფლო დასახლების სიმჭიდროვით გამორჩევა მდ. *ნენსკრას* ხეობა, რომლის ფსკერზე განლაგებულია *ჭუმბურის*, ანუ *ჩუმბურის თემის* სოფლები. ხეობას ფართო ფსკერი აქვს (1-1,5 კმ). ამავე დროს სასოფლო განსახლების არეალი შედარებით დაბლა მდებარეობს. ასე, მაგალითად, ხეობაში განლაგებული 10 სოფელი 600-დან 1000 მ-მდე (ზ. დ.) სიმაღლეზეა გაშენებული. მხოლოდ 3 სოფელი მდებარეობს 1000-1200 მ ფარგლებში. ცხადია, ამასთან დაკავშირებით ბუნებრივი და, კერძოდ, კლიმატური პირობები აქ ზომიერია. ხეობაში სიმინდიც ასწრებს დამწიფებას. უფრო მეტიც, სოფ. *ტობარის* (600 მ, ზ. დ.) შემოგარენში ვაზიც ხარობს. ასე რომ, ჭუ-

ბერის ხეობა განსახლებისათვის საკმაოდ ხელსაყრელია. ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ზემო სვანეთის ბევრი მალაღმთიანი სოფლიდან და განსაკუთრებით „თავისუფალი სვანეთიდან“ მოსახლეობა ჩასახლდა ჭუბერისა და ხაიშის საკრებულოების ტერიტორიაზე. ამჟამად ეს პროცესი შენელებულია აღნიშნულ სოფლებში მიწების უკმარისობის გამო.

ჭუბერის თემის სოფლები პატარა სოფლების კატეგორიას განეკუთვნება. მათ შორის ყველაზე ხალხმრავალია სოფ. ლაზამი (229 კვ.) და სოფ. ყარი (215 კვ.). სულ ხეობაში 1257 კაცი ცხოვრობს. სოფლები ერთმანეთზეა გადაბმული; განსახლების არეალი 16 კმ-ზე ვრცელდება მდინარის სათავეებისაკენ სოფ. ტიტამდე. აქ უმეტესად მცირე და საშუალო, მჭიდროდ დასახლებული სოფლებია, მეცხოველეობის წამყვანი როლით და კერობრივი მიწათმოქმედებით, რომელშიც გამოიყოფა *კერობრივ-საკარმიქიამო განსახლების ტიპი*, საშუალომთიანეთის – დასახლებული პუნქტების ცალკეული იზოლირებული ჯგუფებით, სოფლის მეურნეობის შერეული ხასიათით, მესაქონლეობის (მსხვილფეხა საქონლის) უპირატესი როლით. ამ ტიპშია გაერთიანებული მდ. ნენსკრასა და მდ. ენგურის ხეობები მდ. ნაკრას ქვემოთ. დღეისთვის მდ. ნენსკრას ხეობისათვის უპირატესად დამახასიათებელია სოფლების *ხაზობრივ-საკარმიქიამო ტიპის განსახლება*.

ჭუბერის თემის სოფლებში საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა ხისგანაა აშენებული. სახლები ერთსართულიანია, მაგრამ გვეხვდება ქვისაგან აშენებული ორსართულიანი თანამედროვე ტიპის სახლებიც. სოფლები მჭიდრო შიგაგანაშენიანებით ხასიათდება.

სახნავე-სათესი მიწები აქ მეტია, ვიდრე ზემო სვანეთის ქვეკარიონის სხვა ხეობაში. მოსახლეობას მოჰყავს კარტოფილი, თესენ სიმინდს; ჭუბერის თემის სამხრეთ ნაწილში აშენებენ ხეხილსაც, მაგრამ ძირითადია მესაქონლეობა, რომელიც სარძეო-სახორცე მიმართულებისაა.

დასახლებათა შორის კავშირი საკმაოდ ინტენსიურია, რადგან სოფლების უმრავლესობა საავტომობილო გზის პირისაა განლაგებული.

მდ. ნენსკრას შესართავს ქვემოთ საკუთრივ მდ. ენგურის ხეობა ვიწროა, ტყიანი, დასახლებისათვის ნაკლებად ვარგისი. სოფლები აქ მიმოფანტულია მდ. ენგურის შენაკადებსა და მთების ქვემო კალთებზე. ამ მონაკვეთზე გაშენებულია ხაიშის თემის საკრებულოს 20 პატარა სოფელი. ამ სოფლებიდან მოსახლეობის ნაწილი სხვა მეზობელ სოფლებში და კოლხეთის ბარის სოფლებში გადავიდა საცხოვრებლად.

ყველაზე დიდია სოფელი ხაიში, რომელიც მდ. ენგურისა და მდ. ხაიშურას შეერთების ადგილზეა გაშენებული, 500-700 მ (ზ.დ.) სიმაღლეზე. სოფ. ხაიშის

მოსახლეობის შედარებით დიდი რაოდენობა განაპირობა იმან, რომ მის მიდამო-ებში წარმოებს ბარიტის მოპოვება და მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი და-საქმებული იყო სამთო-მოპოვებით მრეწველობაში.

ხაიშის ჯგუფის სოფლებში საცხოვრებელი ბინები ხისაა, ერთსართულიანი. აქა-იქ არის ორსართულიანი სახლებიც, რომლის პირველი სართული ქვისგან ან აგურისაგან არის ნაშენი, ხოლო ზედა – ხისაგან. მოსახლეობის უმეტესობას პატარ-პატარა ეზოები აქვს. სოფლებს შორის კავშირი სუსტია. შიგადასახლება არ არის მჭიდრო.

როგორც ითქვა, ბუნებრივი პირობები, მხედველობაში გვაქვს ჰავა, ხელ-საყრელია მიწათმოქმედებისათვის, მაგრამ სახნავ-სათესი ფართობები აქ ცოტაა და ათვისებულია სიმინდის, კარტოფილის სათვისად. ზოგან გაშენებულია ხე-ხილი. მოსახლეობის უმთავრესი საქმიანობა მსხვილფეხა საქონლის მოშენებაა, რომელიც სარძეო-სახორცე მიმართულებისაა. სათიბ-საძოვრებით სოფლები უზრუნველყოფილია.

როგორც აღენიშნეთ, ზემო სვანეთის ქვერაიონში მოსახლეობა უფრო მტკი-ცულ არის „მიჯაჭვული“ მამაპაპეულ კერას და ბოლო დრომდე ნაკლებად ტო-ვებდა სოფელს, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმის რაიონთან შედარებით.

ზემო სვანეთში ტურიზმს სოფლებს საიმედო განვითარების პერსპექტივები აქვს, რისთვისაც, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება რიგი ღონისძიების გატარება:

1. გასაუმჯობესებელია სოფლებს შორის კომუნიკაციები, სათანადო გზების გაყვანით;
2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტურისტული მეურნეობისა და ალპინიზმის განვითარებას; სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისას სვანეთის რაიონი ზოგადად და კერძოდ ზემო სვანეთის ქვერაიონი შეიძ-ლება ჩამოყალიბდეს, როგორც ტურისტული რეგიონი. ამ რეგიონის წარდ-გენის არგუმენტები მრავლადაა. უპირველესად ეს არის სრულიად უნიკა-ლური მთიანი ლანდშაფტი ულამაზესი მწვერვალებით, მდინარეთა ხეო-ბები, ჰავა, მინერალური წყლები, ტყეები, განსახლების განუმეორებელი არქიტექტურული სახე.

ქვერაიონის მკვეთრად გამოკვეთილი ეთნოთავისებურებანი აგროტუ-რიზმის განვითარების დიდ პოტენციას ფლობს. ასევე, წარმატებული იქ-ნება კარგად დაგეგმილი სათავგადასაულო და ეკოტურებიც.

მართალია, ქვერაიონში არსებობს ალპინისტური ბაზები, მაგრამ საჭი-როა მათი თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოვება, რათა მათ მიერ შეთავაზებული ტურისტული მომსახურება მომხმარებლის ყველა მო-თხოვნას აკმაყოფილებდეს.

ქვერაიონის ტურისტულ (ალპინისტურ) რეგიონად ჩამოყალიბების ერთ-ერთ რესურსს ადგილობრივ მცხოვრებთა პროფესიონალიზმიც წარმოადგენს. ცნობილია, რომ სყანები კარგი მეფურები და მთამსვლელები არიან.

3. ათვისებულ უნდა იქნეს ზემო სვანეთში არსებული უხვი, დიდდებიტიანი, საუკეთესო სამკურნალო-მინერალური წყლები;
4. მოსაწყობია მეცხოველეობის მსხვილი ფერმები, რისთვისაც აქ საკვები ბაზა საკმარისია;
5. უნდა მოწესრიგდეს საავიაციო მიმოსვლა მესტიასა და ბარის ქალაქებს შორის (პირველ რიგში ზუგდიდსა და ქუთაისთან);
6. გაძლიერდეს წიაღისეულის – ბარიტისა და ღიზის მარმარილოს მოპოვება-დამუშავება;
7. ძირფესვიანად გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა და ტურისტული კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა;
8. დამსხვილდეს მთის პატარა სოფლები, სადაც ამის შესაძლებლობაა (ასეთი შესაძლებლობა კი უდავოდ არსებობს).

ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიების გატარებით ზემო სვანეთის ქვერაიონში მოსახლეობა ჩაებმება სამეურნეო საქმიანობაში და ადგილზე დამაგრდება.

ქვემო სვანეთის ქვერაიონი ზემო სვანეთის ქვერაიონისაგან გამოყოფილია სვანეთის მაღალმთიანი მთაგრეხილით, დანარჩენი რეგიონებისაგან კი – სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედებით. ქვემო სვანეთის ქვერაიონის ტერიტორია ლენტეხის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს ემთხვევა, რომელიც 1344 კმ² ფართობზეა გავრცელებული.

ქვემო სვანეთის ქვერაიონის მოსახლეობის რაოდენობა საკვლევი ტერიტორიის მხოლოდ ორი რაიონის (ახალგორის და ყაზბეგის) მოსახლეობას აღემატება და 8991 კაცს შეადგენს, მათ შორის საქალაქო მოსახლეობა 1739 კაცია.

ქვერაიონის განსახლების ქსელი 60 დასახლებული პუნქტითაა წარმოდგენილი, რომელთა შორის არის ერთი დაბა – ლენტეხი (889 კვ.).

ჩვენი გაანგარიშებით, საშუალო სიმჭიდროვე აღემატება მესტიის რაიონის (ზემო სვანეთის ქვერაიონის) სიმჭიდროვეს და 6,7 კაცს შეადგენს 1 კმ²-ზე.

განსახლების ქსელს აქ ძირითადად 100 კაცამდე მაცხოვრებელით სოფლები ქმნის (55,2 %);

200 კაცამდე მცხოვრებით სოფელთა რაოდენობა ორჯერ ნაკლებია ზემოთ ხსენებულ კატეგორიაზე, ანუ ჩვენი ტიპოლოგიით ე.წ. პატარა სოფლების ხვედრითი წილი აქ 84,5 %-ია. საშუალო სოფლების (200–500 კაცი და მეტი) რიცხვი

არის მხოლოდ 9. მათ შორის გამოირჩევა ყველაზე დიდი სოფელი ხელედო (553 კც.), შემდეგ სოფ. რცხმელური (424 კც.), სოფ. ჟახუნდერი (364 კც.), სოფ. შკედი (341 კც.), სოფ. ბაბილი (329 კც.), სოფ. ჩიხარეში (318 კც.), სოფ. სასაში (306 კც.).

ბოლო ორი აღწერის მასალების შედარებით ქვერაიონში მოსახლეობის კლება გაცილებით მეტია, ვიდრე ზემო სვანეთის ქვერაიონში და 2,4 ათას კაცს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სხვა რაიონისაგან განსხვავებით აქ სოფლის მოსახლეობის კლება 8-ჯერ უფრო ინტენსიურია, ვიდრე ქალაქის (დაბის). ჩვენი გაანგარიშებით, ლენტეხის რაიონის მობილობის მაჩვენებელი შედარებით დაბალია (10 კაცამდე ყოველ 1000 კაცზე) და ამ მხრივ ემსგავსება ზემო სვანეთის ქვერაიონს. თუმცა მისგანვე განსხვავებით აქ გაუკაცრიელებული სოფლები არ გვხვდება, ხოლო უმცირესი (10 კაცზე ნაკლები) სოფლების რაოდენობა მხოლოდ 5-ია. ეკოლოგიურ მიგრანტთა რაოდენობამ, თ. გუგუშვილის გაანგარიშებით, 2500 კაცი შეადგინა.

დაბა ლენტეხის მორგანიზებული ფუნქცია ძალზე უმნიშვნელოა, ურბანი-ზებულობის მაჩვენებლების დაბალი ხარისხის გამო.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვემო სვანეთს, ანუ «ცხენისწყლის სვანეთს» სადადიანო სვანეთიც ეწოდებოდა. ქვემო სვანეთის ქვერაიონი სასოფლო განსახლების თავისებურებით განსხვავდება ზემო სვანეთისაგან. მაშინ, როდესაც ზემო სვანეთის ქვერაიონში მოსახლეობის დიდი უმეტესობა განსახლებულია მდ. ენგურის შენაკადების ხეობებში ცალკეული ჯგუფების სახით განლაგებულ სოფლებში, ქვემო სვანეთის სოფლები ძირითადად გამწკრივებულია მდ. ცხენისწყლის გასწვრივ, რადგან გვერდითი შენაკადების ხეობები ვიწროა, დასახლებისათვის გამოუსადეგარი და მხოლოდ 3 შენაკადის (ხელედულას, ყორულდამის და ხოფურის) ხეობაში გვხვდება დასახლებული პუნქტები.

ცხადია, ამ ორ ქვერაიონს შორის რამდენადმე განსხვავებულია ბუნებრივი პირობებიც. მდ. ცხენისწყლის ტყით მოსილ, ვიწრო ხეობაში გვხვდება გაფართოებული პატარა ქვაბულები და მდინარის ვაკე ტერასებიც. სწორედ ამ გაფართოებულ ადგილებში არის გაშენებული ქვემო სვანეთის სოფლები. თუმცა დასახლებას ქვემო სვანეთის ქვერაიონში აქვს კარგად გამოკვეთილი *მოიან-ხა-ზომრივი ხასიათი*.

და მაინც, ხეობის ამ გაფართოებული და შევიწროვებული მონაკვეთის მორიგეობის გამო, შეიძლება გავარჩიოთ უფრო მჭიდროდ დასახლებულ სოფელთა 6 ჯგუფი:

1. ჩიხარემის ჯგუფი – მდ. ღობიშურასა და მდ. ხეშკურის შესართავეებს შორის, სადაც განლაგებულია ქვემო სეანეთის 20 სოფელი (განსახლება თითქმის ემთხვევა ჩიხარემისა და ჯახუნდერის თემის საკრებულოების ტერიტორიას), რომლებშიც ერთად 2574 კაცი ცხოვრობს. აქ გვხვდება საშუალო სიდიდის სოფლები სასაში, ჯახუნდერი, მელე, ჩიხარემი, შკელა. თუმცა უპირატესია 200 კაცამდე მცხოვრებით მცირე სოფლების რიცხვი. აქვე, სოფ. სასაშთან ახლოს, მდებარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი მუაში.

2. ჩოლურის თემის სოფლების ჯგუფი – მდ. ხეშკურისა და მდ. ჩოლურას შესართავეებს შორის არსებულ მდ. ცხენისწყლის ხეობის მონაკვეთზე მდებარეობს. აქ დასახლებულია 12 სოფელი. სულ ჩოლურის ჯგუფის სოფლებში 1096 კაცი ცხოვრობს. სოფლები ხალხმრავლობის მიხედვით მცირეა (200 კაცამდე). აქვეა უმცირესი სოფლები – ბულეში (10 კც.) და შტკილი (3 კც.).

ჩოლურიდან (სოფ. საყდრიდან) ქვემოთ, 8 კმ მანძილზე ხეობა ტყიანია და ვიწრო, ამიტომ ის დაუსახლებელია.

3. ბაბილის ჯგუფი – თავმოყრილია პატარა მდ. ბაბილსა და მოზრდილ მდ. ლასკადურას შესართავეებს შორის მონაკვეთზე, რომელიც ლენტეხის ქვაბულს წარმოადგენს. ქვაბულში დასახლებულია ბაბილის ჯგუფის 8 სოფელი და თვით დაბა ლენტეხი – რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, მოსახლეობის საერთო რაოდენობით – 889 კც. სოფლები მჭიდროდ არის დასახლებული. 100 კაცზე მეტი ცხოვრობს სოფელ გულიდასა (141 კც.) და ბაბილში (354 კც.) დანარჩენ სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობა 70 კაცის ფარგლებშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდ. ლასკადურას, რომელიც დაბა ლენტეხში ჩამოედინება, ახასიათებს უეცარი წყალმოვარდნა, რის გამოც არაერთხელ გამხდარა სტიქიური უბედურების მიზეზი და გამოუწვევია დიდი მატერიალური ზარალი.

4. მდ. ცხენისწყლის უდიდესი შენაკადის, მდ. ხელედულას ხეობა საკმაოდ ფართია. ხეობის გასწვრივ, ლენტეხიდან 22 კმ-ის მანძილზე, სოფ. ცხუმალდამდე განლაგებულია 8 სოფელი, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1281 კაცია. ეს სოფლები მეტ-ნაკლებად თანაბარი მანძილით არის ერთმანეთისგან დაშორებული. საგულისხმოა, რომ ამ სოფელთა შემოგარენი ქვაბულის ფორმისაა, რაც ჩვენს წინაპრებს კარგად გამოუყენებიათ დასახლებისათვის. რამდენადაც სოფლები ერთი მთავარი სააე-

ტომობილო გზის პირასაა განლაგებული, ბუნებრივია, მათ შორის კავშირი კარგია და ამით აიხსნება ამ სოფლების ხალხმრავლობა (200-500 კაცი და მეტი). ყველაზე დიდია სოფ. ხელედი, რომელშიც 553 კაცი ცხოვრობს. აღსანიშნავია სოფლები ხაჩეში, წანაში, ლესემა და ფაყი, რომლებიც ზემოაღნიშნული სოფლების კატეგორიას მიეკუთვნება. გაუკაცრიელების ტენდენცია აქვს სოფ. ცხემელს (5 კც.).

გამონაკლისს გარდა, ქვემო სვანეთის სოფლები 500-დან 1450 მ სიმაღლის ფარგლებშია განლაგებული. სოფელთა საშუალო ხალხმრავლობით ქვემო სვანეთი ორჯერ აღემატება ზემო სვანეთის ქვერაიონს.

4. ხოფურ-რცხმელურის ჯგუფი – ლენტეხიდან მდ. ცხენისწყლის ხეობა მკვეთრად უხვევს სამხრეთის მიმართულებით. აქ ის ვიწროა, ტყით დაფარული და 7 კმ მანძილზე, სოფ. ხოფურამდე, დაუსახლებელია. შენაკად ხოფურისა და საკუთრივ მდ. ცხენისწყლის ხეობაში, მცირედ გაფართოებულ ადგილებში გაშენებულია 9 სოფელი, რომლის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 1324 კაცს შეადგენს. ყველაზე დიდი სოფელია რცხმელური (424 კც.); 200-ზე მეტი კაცი ცხოვრობს სოფ. ნანარში (210 კც.); 100-ზე მეტი კაცი ცხოვრობს 4 სოფელში. ხოფურ-რცხმელურის ჯგუფის სოფლები 500-600 მ, იშვიათად 800 მ-მდე (ზ.დ.) არის გაშენებული. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბუნებრივი პირობების (ჰაივის) მიხედვით ტერიტორია ვარგისია სოფლის მეურნეობის მრავალი კულტურის გასაშენებლად, მაგრამ მიწათმოქმედებისათვის ფართობი აქ ცოტაა.

5. ყორულდაშის ჯგუფი – ქვემო სვანეთის ქვერაიონის მთიანი სოფლებიდან ცალკე უნდა აღინიშნოს. მდ. ცხენისწყლის შენაკადის – მდ. ყორულდაშის ხეობაში სამი წერილი სოფელია გაშენებული. 2 საკუთრივ მდ. ყორულდაშის ხეობაში. ესენია კანა (57 კც.) და ყორულდაში (2 კც.); ერთი სოფელი ზესხო (29 კც.) მდ. ყორულდაშის შენაკად მდ. ზესხო ხეობაშია. სამივე სოფელი მაღალმთიან სოფელთა კატეგორიას მიეკუთვნება (1800-1990 მ ზ.დ.). ქვერაიონის დანარჩენ სოფლებთან შედარებით აქ მკაცრი ბუნებრივი პირობებია და სოფლები ერთმანეთისგან შორ მანძილზეა განლაგებული.

ქვემო სვანეთის მოსახლეობას უმეტესად ერთსართულიანი სახლები აქვს. გვხვდება ორსართულიანი ქვის სახლები დიდი აივნებით. ლენტეხის და, საერთოდ, ქვერაიონის სამხრეთული ნაწილის ბევრი სოფლის გარეგნული სახე მოგვაგონებს იმერეთის მთისწინეთის სოფლებს.

ქვემო და ზემო სვანეთის ქვერაიონების სოფლები ფუნქციური დანიშნულებით არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაშინ, როდესაც ზემო სვანეთში ჭარბობს სოფლები სარძეო-სახორცე მესაქონლეობის მიმართულებით, ქვემო სვანეთში სამეურნეო კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კარტოფილის მოყვანას. ამას გარდა, დაბალ ადგილებში აშენებენ ხეხილს, რომელიც თავისუფლად ასწრებს დამწიფებას.

ქვემო სვანეთის ქვერაიონის სოფლებს სამეურნეო განვითარების მეტი პერსპექტივები აქვს, ვიდრე ზემო სვანეთის ქვერაიონისას. ამას რამდენადმე მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობების ხასიათიც განაპირობებს.

იმ ღონისძიებებიდან, რომლებიც ჩვენ ზემო სვანეთში ტურიზმის განვითარებისათვის დავსახეთ, ზოგი ქვემო სვანეთის ქვერაიონსაც ესაჭიროება და ეხება. კერძოდ:

1. ზაგარის საუღელტეხილო გზის აღდგენა, რომელიც უფრო მჭიდროდ დააკავშირებს მას ზემო სვანეთის ქვერაიონთან;
2. როგორც ზემო სვანეთის ქვერაიონისათვის, ისე აქაც აუცილებელია საქაერო სატრანსპორტო კავშირის მოგვარება მეზობელ რეგიონებთან დასაკავშირებლად;
3. მეცხოველეობის მსხვილი ფერმების შექმნა, რისთვისაც აქ შესანიშნავი ბაზაა;
4. ტურისტულ-ალპინისტური საკმინობის გაუმჯობესება, ქვერაიონში არსებული ბაზის „აილამას“ კეთილმოწყობა;
5. ყორულდამის მდიდარი წიაღისეულის მოპოვების აღორძინება;
6. „ცხენისწყლის სვანეთის“ სამკურნალო-მინერალური წყლების ფართო ათვისება და სხვა.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას და, საბოლოო შედეგად, ქვერაიონის მთის სოფლების სამომავლო განვითარებას.

ქეისი „რაჭა-ლეჩხუმი“

საქართველოს ორი ეთნოგრაფიული პროვინციის – რაჭის და ლეჩხუმის გაერთიანებული სახელწოდებაა *რაჭა-ლეჩხუმის რაიონი*, რასაც არა მხოლოდ ტერიტორიული მეზობლობა უდევს საფუძვლად, არამედ ოროგრაფიული კავშირი, ტერიტორიული მთლიანობა, ბუნებრივი პირობებისა და სამეურნეო საქმიანობის მსგავსება და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, სასოფლო განსახლების ხასიათი – დასახლებული პუნქტების მორფოლოგია, სოფლების ფუნქციური დანიშნულება, საცხოვრებელი სახლების ძირითადად ერთტიპურობა, საკარმიდამო ტიპის განსახლება.

ყველა ამ ფაქტორმა გვიკარნახა დასავლეთ კავკასიონის მთიანეთის ფარგლებში, სასოფლო განსახლების თვალსაზრისით, რაჭა-ლეჩხუმი ერთ რაიონად განგვეხილა, ცხადია, შიგა დიფერენციაციის გათვალისწინებით.

რაჭა-ლეჩხუმის რაიონის შემადგენლობაში ვაერთიანებთ აგრეთვე მდ. ჯუჯორასა და მდ. დარულას ხეობებს, რაც ძირითადად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში იყო მოქცეული. იმის გამო, რომ ფიზიკურ-გეოგრაფიულად დასახლებული ხეობები რაჭა-ლეჩხუმის განუყოფელი ნაწილია, მეურნეობისა და სასოფლო განსახლების ხასიათით მისი მსგავსი, მიზანშეწონილად ვცანით მათი რაჭა-ლეჩხუმთან ერთად განხილვა.

რაჭა-ლეჩხუმს გარს აკრავს საქართველოს რამდენიმე მთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია: ჩრდ.-დასავლეთით – სვანეთი, სამხრეთით – ოდიშ-სამურზაყანოს მთიანი კუთხე (სამეგრელო) და იმერეთი, აღმოსავლეთით – შიდა ქართლის ჩრდ. მთიანეთი. ჩრდილოეთით კი ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა ესაზღვრება. ამ ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმის რაიონი, სასოფლო განსახლების თავისებურების მიხედვით, რამდენიმე ზონად და ქვერაიონად იყოფა. რაჭა-ლეჩხუმის სასოფლო განსახლების ასეთი ზონალური დიფერენციაცია ზოგად წარმოდგენას იძლევა ხსენებული რეგიონის დასახლებული პუნქტების განლაგებას, მორფოლოგიასა და ფუნქციონირებაზე. ამავე დროს, კვლევის მასშტაბის შესატყვისად, რეგიონული მიმობილვის დროს ჩვენ საჭიროდ მივიჩნით რაჭა-ლეჩხუმის რაიონის დიფერენცირება რეგიონულ ასპექტში, სადაც ზემოაღნიშნული ზონალური მიმობილვაც შესაფერის ასახვას ვპოვებთ.

ამის გათვალისწინებით რაჭა-ლეჩხუმის რაიონს ვყოფთ სამ ქვერაიონად: *ლეჩხუმის, ქვემო რაჭისა და ზემო რაჭის ქვერაიონებად*. ქვერაიონებს, იმ მთავარი ზოგადი ნიშნების მიუხედავად, რომლითაც ისინი ერთ მსხვილ რაიონს – რაჭა-

ლენხუმს ქმნიან, აქეთ თავიანთი სპეციფიკური, ურთიერთგანმასხვავებელი თვისებები, რაც გამოინსატება როგორც ბუნებრივი პირობებისა და რესურსების განსხვავებულობაში, ისე სამეურნეო-ყოფითი, სასოფლო განსახლებისა და სოფლების მორფოლოგიურ-ფუნქციური ტიპებით.

ზემო რაჭის ქვერაიონი ბუნებრივი პირობებით და სასოფლო დასახლების ხასიათითა და სამეურნეო ყოფაცხოვრებით ტიპური მაღალმთიანეთია.

აღნიშნული ქვერაიონის ტერიტორია, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად ონის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს ემთხვევა, რომლის ფართობი 1712 კმ² შეადგენს და საკვლევი რეგიონებიდან მხოლოდ მესტიისა და დუშეთის რაიონებს ჩამორჩება. რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, ამ ნიშნით ის ხალხმცირე რაიონებს მიეკუთვნება და მხოლოდ ყაზბეგისა და ახალგორის რაიონებს აღემატება.

ბოლო აღწერით ქვერაიონის ტერიტორიაზე 5935 კაცი ცხოვრობს, რომლებიც 1 ქალაქსა (ონი) და 64 სასოფლო დასახლებაში არიან განსახლებულნი.

სოფლის 17 საკრებულოდან ყველაზე მრავალრიცხოვანია *შეუბნის* (742 კც.), *ღების* (740 კც.) და *უწერის* (630 კც.) საკრებულოები.

ქვერაიონში მოსახლეობის რიცხოვნობის დიაპაზონი 2 კაციდან 477 კაცამდე მერყეობს. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 3,5 კაცს უდრის და ორჯერ ჩამოუვარდება მთიანი რეგიონების მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეს.

1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, დღეისათვის ამ ტერიტორიაზე 3538 კაცით ნაკლები ცხოვრობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალაქის მოსახლეობის კლების მაჩვენებელი 2-ჯერ აღემატება სოფლის მოსახლეობის კლების მაჩვენებელს. რაც იმის დასტურია, რომ ონის რაიონში, ისე როგორც მთელ საკვლევ ტერიტორიაზე, ურბანიზაციის დაბალი დონის გამო, ადმინისტრაციული ცენტრები არ წარმოადგენს სოფლის მოსახლეობის მიზიდვის არეალს. პირიქით, ისინი თავად უფრო ინტენსიურად კარგავენ მოსახლეობას.

ჩვენ მიერ გაანგარიშებულია მოსახლეობის მობილობის მაჩვენებელი ონის ადმინისტრაციული რაიონისათვის, რაც 20-30 კაცს შეადგენს ყოველ 1000 კაცზე. ამ ნიშნით ონის რაიონი ახალგორთან, ქედასა და შუახევთან ერთად ყველაზე მობილური რაიონების კატეგორიაშია. მოსახლეობის ტრადიციულად აქტიური მექანიკური მოძრაობის შედეგად ამ რაიონში დარღვეულია სქესობრივ-ასაკობრივი ბალანსი, რაც, ასევე, მოსახლეობის რიცხოვნობის კლების მიზეზია.

ზემო რაჭასა და ქვემო რაჭას შორის გამყოფი ხაზი მდ. ლუხუნისა (ლუხუნისწყალი) და მდ. საკაურას წყალგამყოფს გასდევს, კვეთს მდ. რიონს ქ. ონს

ქვემოთ, მდ. ხეორასა და მდ. ვეჯორას (მდ. რიონის მარცხენა შენაკადები) წყალ-გამყოფით რაჭის ქედის თხემზე აღის.

ასეთი დაყოფით ონის ადმინისტრაციული რაიონის ზოგ სოფელს, რომლებიც მდ. სკორის დასავლეთით, მდ. რიონის მარცხენა მხარეზე, დაბალმთიან ტერიტორიაზეა განლაგებული და რომელთაც ტრადიციულად ზემო რაჭას მიაწერენ, ჩვენ ქვემო რაჭასთან განვიხილავთ.

ზემო რაჭის ქვერაიონისათვის, როგორც მთლიანად რაჭა-ლეჩხუმის რაიონისთვის, დამახასიათებელია ვიწრო ხეობებისა და ხეობათა მცირე თუ დიდი გაფართოებული ადგილების – ქვაბულების მონაცვლეობა. ამავე დროს, ხეობის კალთების ძლიერი დახრილობის გამო, სასოფლო განსახლება ძირითადად ხეობებთან არის დაკავშირებული, გამოყენებულია სწორედ ქვაბულები და ცოტად თუ მეტად მთავარი მდინარეების გვერდითი შენაკადების ხეობები.

ზემო რაჭაში ამ მხრივ გამორჩეული მაინც მდ. რიონის ხეობაა, რომელიც სათავიდან საგლოლოს ხიდამდე უმეტეს ნაწილში ფართოა, ბრტყელფსკერიანი.

აქ მდებარეობს სოფლები: *ღები* (492 კვ.), *პატარა ღები* (246 კვ.), *ჭიორა* (235 კვ.).

ღები ზემო რაჭის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე სოფელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოფ. *გონას*, სადაც ამჟამად მხოლოდ 2 კაცი ცხოვრობს.

სოფ. *ღები* ლამაზ, ტყიან ხეობაში მდებარეობს და მიუხედავად მცხოვრებთა მასობრივი წასვლისა, ქვერაიონის ერთ-ერთ მსხვილ სოფლად რჩება. მასთან ფაქტობრივად შეერწყმულია სოფ. *პატარა ღები*.

ღებიდან 3 კმ-ით ქვემოთ მდებარეობს საშუალო სიდიდის სოფელი *ჭიორა*. ბუნებრივი პირობებით, ასევე დასახლების ხასიათითა და მოსახლეობის საქმიანობით ღები ჩამოგავს სევანეთის სოფლებს.

სათესი ფართობი (საკარმიდამო) აქ ცოტაა. თესენ კარტოფილს, მისდევენ მესაქონლეობას.

საგლოლოსთან მდ. რიონს მარცხნიდან მდ. ჭანჭახი უერთდება. მისი ქვემო ნაწილი შედარებით ფართოა. აქ გაშენებულია მთის საშუალო სოფელი *გლოლა* და *კურორტი შოვი*.

ჭანჭახის ხეობა და, განსაკუთრებით, შოვის მიდამოები მდიდარია მინერალური სამკურნალო წყაროებით. მთის ჰავა და ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიან-კალციუმიანი მინერალური წყალი, მუქწიწვიანი ტყით შემოსილი მთის კალთები შოვს საქართველოს ერთ-ერთ პოპულარულ კურორტად ხდის.

საგლოლოს ხიდიდან მდ. რიონი შედის „ჭიქროთად“ წოდებულ ვიწრო, ტყიან ხეობაში. ეს ვიწრობი სოფ. უწერასთან მთავრდება. ამ მონაკვეთზე ხეობა დაუსახლებელია. ზემო რაჭის ქვერაიონის სოფლები სოფ. უწერას ქვემოთ ძირითადად მდ. რიონისა და მისი შენაკადების ხეობებშია განლაგებული. ხეობა ბევრად ფართოა მდ. ღარულასა და მდ. ჯეჯორას შესართავებს შორის, სადაც მდ. რიონის ხეობა 4 კმ სიგრძისა და 1,5-2 კმ სიგანის ქვაბულს ქმნის.

ამ ქვაბულშია სოფლები: *შეუბანი* (132 კვ.), *ლაჩთა* (231 კვ.) და *ქ. ონი*. ონის ქვაბულსა და მდ. რიონის ხეობის ამ მონაკვეთზე რამდენიმე პატარა სოფელია განლაგებული. თითოეულ მათგანში მუდმივ მაცხოვრებელთა რაოდენობა 200 კაცს არ აღემატება. უფრო მოზრდილია სოფ. *უწერა* (412 კვ.), რომელიც ცნობილია მინერალური წყლით „უწერა“. უწერა ბალნეოლოგიურ-კლიმატური კურორტია.

მდ. რიონის შენაკადების ხეობები ყურადღებას იქცევს თავისებური განსახლებით. ამ მხრით აღსანიშნავია მდ. საკაურას ხეობა, სადაც მარცხენა მხარეზე გაშენებულია 5 პატარა სოფელი. სოფლები მდინარის ნაპირს საკმაო მანძილითაა დაშორებული და *შოდა-კედელას* ქედის ქვემო კალთაზე *უწყვეტ ხაზობრივად* არის გაშენებული. მდინარის ნაპირიდან სოფლების ასეთ დაშორებას, ჩვენი აზრით, თავისი გამართლება აქვს: ისინი დაცულია მდ. საკაურას კატასტროფიული ხასიათის წყალმოვარდნებისგან, რომელიც აქიშვითი მოვლენა არ არის. სოფლების შიგა განაშენიანება მჭიდროა, ზოგან საცხოვრებელი სახლები ერთმანეთზეა მიდგმული. ბინები ერთსართულიანია, მეტწილად ქვისაგან ნაშენი, ეზო-კარმიდამო ძალზე პატარა. სასოფლო გზები კეთილმოუწყობელია, რაც აძნელებს ცენტრალურ მაგისტრალთან დაკავშირებას.

მაშინ, როდესაც მდ. საკაურას ხეობის სოფლები ხაზობრივადაა განლაგებული და ერთმანეთზეა გადაბმული, მდ. ღარულას ხეობაში პირიქით, სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისგან და *განსახლების დისპერსიულ ტიპს* ქმნის. დასახლებები ტიპური მთის სოფლებია, ხალხმცირე. გარდა სოფ. *ღარისა* (477 კვ.), რომელიც ქართველებითაა დასახლებული, სხვა სოფლებში მუდმივი მოსახლეობა მხოლოდ *შუა კოშშია*. მდ. საკაურას ხეობის სოფლებში საცხოვრებელი სახლები ქვისაა, ერთსართულიანი.

ზემო რაჭის ქვერაიონში ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენს მდ. ჯეჯორას ხეობა, რომლის ზედა ნაწილს კუდაროსაც უწოდებენ. დასაწყისში, სოფ. ირიმდე, მთის პატარა ქართული სოფლები განლაგ-

ბულია ხეობის ორივე მხარეზე, მდინარის ნაპირიდან რამდენადმე მოცილებით. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ეს სოფლები მცირე სოფლების კატეგორიას მიეკუთვნება. ჯერ კიდევ 1989 წლის აღწერით სოფ. ორში 338 კაცი ცხოვრობდა, დღეს კი მხოლოდ 75 კაცი.

მდ. ჯეჯორას ხეობის ქართული სოფლები გაბნეულადაა დასახლებული. ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ამ სოფლებს შორის, მაგისტრალური გზისპირა (თბილისი-ცხინვალი-ონი-ამბროლაური) მდებარეობის გამო, კარგი კავშირია. აქ საცხოვრებელი ბინები ქვით არის ნაშენი, გეხვდება ხის სახლებიც. საკარმიდამო ნაკვეთები პატარაა, გამოყენებულია უმთავრესად საბოსტნედ; თესენ კარტოფილს, ხეობის ქვემო ნაწილში – სიმინდსაც; გაშენებულია ხეხილი.

კუდაროს აღმოსავლეთი ნაწილი კიდევ უფრო მჭიდროდაა დასახლებული მთის პატარა სოფლებით, რომლებიც თავმოყრილია ძირითადად მდ. ჯეჯორას მარცხენა შენაკადის – მდ. ღრამულას შესართავსა და ლებურისწყლის შესართავს შორის, სადაც მდ. ჯეჯორას ხეობა ქვაბულს ქმნის. ქვაბულში, მდინარის ორივე მხარეზე, ერთმანეთს თითქმის ებმის 20-ზე მეტი პატარა სოფელი, რომელთა უმეტესობაშიც მუდმივ მოსახლეთა რიცხვი 2-4 ათეულის ფარგლებში მერყეობს.

ეს სოფლები ერთად თავისებურ დაჯგუფებას ქმნის და განლაგებულია ქვაბულის ფსკერსა და კალთებზე დაბა კეისას ირგვლივ. ქვაბულის გარეთ, ხეობის აღმა, ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული მთის 4 პატარა ოსური სოფელია. ერთ-ერთი მათგანი ამჟამად დაცარიელებულია. ეს სოფლები სუსტად უკავშირდება ერთმანეთს, რადგან თბილის-ამბოლაურის მაგისტრალური გზა მდ. ჯეჯორის ამ მონაკვეთზე აღარ გადის.

ხალხმცირობის მიუხედავად ამ სოფლებში მუდმივი მოსახლეობა შენარჩუნებულია, რაც განსახლებისთვის შედარებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით აიხსნება.

ქვაბულში მდებარეობს კეისას ფერადი ლითონების და ბარიტის საბადოები. მათ გადამუშავებაში ირგვლივ მდებარე სოფლების მოსახლეობა იყო დასაქმებული, რამაც განაპირობა მოსახლეობის მთაში დამაგრება.

კუდაროს სოფლების საცხოვრებელი ბინების დიდი უმრავლესობა ქვისაგანაა აშენებული, ერთი-და იშვიათად ორსართულიანია. სოფლის შიგა დასახლება საშუალოდ კომპაქტურია, ეზოები – პატარა, სათესი ფართობები ძალზე შეზღუდულია.

ამ სოფლების მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მესაქონლეობა.

ქვემო რაჭის ქვერაიონისა და ლეჩხუმის საზღვრის ზაზი ოროგრაფიულ ელემენტებს ემთხვევა: ჩამოყვება მდ. ლაჯანურისა და მდ. ასკისწყლის აუზების გამყოფ ვორმალის ქედს, კვეთს მდ. რიონის ხეობას სოფ. ზედა ღვარდიას მიდამოებში. მერე შემოუვლის მდ. შარეულას აუზს დასავლეთიდან და რაჭის ქედზე, უღელტეხილ ქვაცხუნთასთან აღის.

აღნიშნული ქვერაიონის ფარგლები მოლიანად ემთხვევა ამბროლაურის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებს, რომლის ტერიტორია 1142 კმ²-ს შეადგენს. ამ მონაცემით ის ჩამოუვარდება საკვლევ ტერიტორიაზე განსახლებულ 7 ადმინისტრაციულ რაიონს.

მოსახლეობის რაოდენობა ამბროლაურის რაიონში, 2002 წლის აღწერის შედეგებით, 16079 კაცს შეადგენს, მათ შორის სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი საკვლევ ტერიტორიის მოსახლეობის მხოლოდ 3,2 %-ია.

ქვერაიონის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე არის 14 კაცი 1 კმ²-ზე, რაც საკვლევ არეალის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეზე (18 კაცი) ნაკლებია.

ბოლო ორი აღწერის მასალების შედარების საფუძველზე ამბროლაურის რაიონის მოსახლეობის კლება შეადგინა 1909 კაცი, მათ შორის, ონის რაიონისაგან განსხვავებით, ქალაქის მოსახლეობის კლება 416 კაცს უდრის, ხოლო სოფლის მოსახლეობის კლების ინტენსივობა 3,6-ჯერ მეტია.

ამბროლაურის რაიონის განსახლებისათვის, რომელიც 69 დასახლებული პუნქტითაა წარმოდგენილი, ტიპურია სოფლები 200 კაცამდე მოსახლეობით (59,4 %), ანუ მცირე სოფლები. თუმცა უნდა ითქვას, რომ სხვა დახასიათებულ რაიონებთან შედარებით აქ საკმაოდ მაღალია საშუალო სოფლების (201-500 კც., 501-1000 კც.) - ხვედრითი წილიც და შეადგენს 36 %. აქ კონცენტრირებულია რაიონის მოსახლეობის 52,4 %, რაც საშუალებას გვაძლევს გადაკეთოთ დასკვნა, რომ ამ ტიპის სოფლები გაცილებით უკეთ არის „შეგუებული“ მთის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, ნაკლებად კარგავს მოსახლეობას. თუმცა მათ სტაბილურობას გარკვეული ეტაპობრიობა ახასიათებს: 1955-1970 წწ. - სტაბილურობა; 1970-1989 წწ. - კლება; 1989-2002 - სტაბილურობა.

ჯერ კიდევ 1989 წლამდე ეს სოფლები დიდ სოფლებში გარდამავალ ერთგვარ „საოპტიმუმო მიჯნას“ წარმოადგენდა. სამწუხაროდ, 1989 წლის შემდეგ ეს პროცესი აღარ შეიმჩნევა.

აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანი მხარის განსახლების სურათისაგან ამ რაიონს განასხვავებს 10 კვ-მდე სოფლების სიმცირე (1 სოფელი). ასევე, თითქმის არ გვხვდება ბოლო პერიოდში გაეკაცრიელებული სოფლებიც.

რაიონის მოსახლეობის მობილობის მაჩვენებელი საშუალოა (10-20 კვ-მდე ყოველ 1000 კაცზე), რითაც განსხვავდება მეზობელი ონის რაიონისაგან.

საქალაქო განსახლება, როგორც განსახლების საყრდენი, ქვემო რაჭის ქვე-რაიონში *ქ. ამბროლაური*თა (2541 კვ.) და დაბა *ხარისთვალათი* (4 კვ.) არის წარ-მოდგენილი. მათი ფუნქციური სახე და ურბანიზებულიობის დაბალი დონე არ წარ-მოადგენს რაიონის მოსახლეობის მიზიდვის წყაროს და ვერც სასოფლო დასახ-ლებების ტრანსფორმაციაზე ახდენს გავლენას.

რაჭა-ლეჩხუმის რაიონის შემადგენლობაში ქვემო რაჭის ქვერაიონი ყვე-ლაზე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიაა. აქედან დასახლების სიმჭიდროვე კლებულობს როგორც ზემო რაჭის ქვერაიონის, ისე ლეჩხუმის ქვერაიონის ტე-რიტორიაზე. ქვერაიონის სიმჭიდროვე ძირითადად განპირობებულია მისი ბუ-ნებრივი პირობებით. ის რაჭის ქვაბულის ცენტრალურ, გაფართოებულ ნაწილში მდებარეობს, სადაც განსახლებისათვის და სამეურნეო საქმიანობისათვის საკ-მაოდ დიდი სივრცეა. მდ. რიონის ფსკერი ფართოა, ტერასებიანი და გამოიყენება მიწათმოქმედებისათვის. ამავე დროს, ქვემო რაჭის ფარგლებში რაჭის ქედის ჩრდილოეთი კალთა დაბალია და მცირედ დახრილი, რის გამოც დასახლებისა-თვის ვარგისია. სასოფლო დასახლების სიმჭიდროვეს ხელს უწყობს ისიც, რომ ქვემო რაჭაში მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის გავრცელებისათვის ხელსაყრელი ჰავაა.

ბუნებრივი პირობებისა და, პირველ რიგში, რელიეფის ხასიათის გამო, ქვემო რაჭაში შეინიშნება სასოფლო დასახლების განსხვავებული ტიპი, კერძოდ, მდინარეთა ხეობებში – *საკარმიჯამო ტიპის ხაზობრივ-მუკობრივი (კერობრივი)* და აგრეთვე *კერობრივი საკარმიჯამო სასოფლო განსახლება*.

მდ. რიონის ხეობა აღმა, სოფ. წესიდან მდ. ხეორას შესართავამდე, ფართოა, მაგრამ სოფლები ხეობის მარცხენა მხარეზე, რაჭის ქედის დაბალ და მცირედ დახრილ კალთებზეა განლაგებული. სოფლები პატარა და საშუალო სიდიდისაა და ცალკეული იზოლირებული ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება ხეობის მარჯვენა მხარეს, იქ მთების ციცაბო ფერდობები ებჯინება მდ. რიონს, ამიტომ დასახლებისათვის არახელსაყრელია და მხოლოდ საშუალო სიდიდის ორი სოფელია გაშენებული.

მოუწესრიგებელი გზების გამო ხეობის მარცხენა მხარის სოფლებს შორის კავშირი სუსტია.

საცხოვრებელი სახლები უმეტესად ერთსართულიანია, როგორც წესი, ხის-გან ნაშენი. გვხვდება ორსართულიანი სახლებიც, რომელთა პირველი სართულები ქვისაა, მეორე – ხის. ეზოებში არის დამხმარე ნაგებობები.

მოსახლეობა დასაქმებულია მიწათმოქმედებაში, განვითარებულია მესაქონ-ლეობა (მსხვილფეხა რქოსანი).

სოფ. წესის ქვემოთ მდ. რიონის ხეობა კიდევ უფრო ფართოა, ზოგიერთ მონაკვეთზე შექმნილია ვაკე ტერასები, წარმოქმნილია მოზრდილი ქვაბული, სუსტად დახრილი და მცირედ დანაწევრებული კალთებით, რაც საუკეთესო პირობას ქმნის სასოფლო დასახლებისათვის. აქ გაშენებულია 40-ზე მეტი სოფელი, რომელთა 3/4 საშუალო სიდიდისაა. ქვაბულის ორივე მხარე, სოფლების რაოდენობის მიხედვით, თითქმის თანაბარ პირობებშია: მარჯვენა მხარეზე 19 სოფელია, ხოლო მარცხენაზე – 21. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო სოფლები ჭარბობს ქვაბულის მარჯვენა მხარეზე. ასეთია 17 სოფელი. მარცხენა მხარეზე საშუალო სოფელი მხოლოდ სამია.

საყურადღებოა, რომ ქვაბულის კალთებზე გაშენებული სოფლები მოცილებულია მდ. რიონის ნაპირიდან, ხოლო რიონისპირა დაბალი ვაკე-ტერასები მცირედ დასახლებულია. ეს აიხსნება იმით, რომ ნოციერი ნიადაგებით დაფარული დაბალი ვაკე-ტერასები მიწათმოქმედებისათვის უფრო მიზანშეწონილია. ხოლო განსახლებისათვის, მოსალოდნელი წყალდიდობებისა და წყალმოვარდნებით გათვალისწინებით, სახიფათოც კია. ამ ტერიტორიაზე გაშენებულია ვენახები და სიმინდის ყანები. საცხოვრებლად რიონისპირა, ტყით შემოსილი ამაღლებებია გამოყენებული. მთის სუსტად დახრილი კალთები კი, კლიმატური თვალსაზრისით, უკეთესია განსახლებისათვის.

საცხოვრებელი ბინები მეტწილად ხისგან არის ნაგები. გვხვდება ქვის შენობებიც. ორსართულიანი სახლების ქვედა სართული ქვის ან აგურისაა, ზედა კი ხის. სახლების წინ არის პატარა ეზოები. სოფლების განლაგება *ხაზობრივ-კერძობრივია*, სოფლებს შორის სუსტი კავშირით. შიგა განაშენიანება უსისტემოა.

მოსახლეობის საქმიანობა მრავალდარგოვანია: მისდევენ მიწათმოქმედებას – ძველანახობას, მემინდვრობას. განვითარებულია მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი).

როგორც ცნობილია, ოდესღაც ხალხმრავალ რაჭაში, და მათ შორის ქვემო რაჭის ქვერაიონში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტოვებს მამაპაპულ სოფლებს და ბარის ზონაში, უფრო მეტად კი ქალაქად მიდის საცხოვრებლად. ამის დადასტურებაა ქვერაიონის განხილული მონაკვეთის სოფელთა მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ქვაბულის ამ ნაწილში 40 სოფელია დასახლებული, ყველაში ერთად მხოლოდ 500 მუდმივი მცხოვრებია (2002 წ. აღწერა). სოფლებში ბინების დიდი უმრავლესობა მიტოვებულია და მხოლოდ ზაფხულში ასრულებს აგარაკის ფუნქციას. აქ ასევე შეინიშნება ერთი ტენდენცია: ქვაბულის მარცხენა სოფლებიდან უფრო მეტია გადინება, ვიდრე მარცხენა მხარის სოფლებიდან. ამის მიზეზი, ცხადია, არ არის ბუნებრივი პირობები, რომელიც ქვა-

ბულის ორივე მხარეს დაახლოებით ერთნაირია. ჩვენი დაკვირვებით და ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, მოსახლეობის შედარებით ხალხმრავლობასა და ადგილზე დამაგრებაში უპირველესი როლი ითამაშა სატრანსპორტო კომუნიკაციამ – მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე გადის საავტომობილო გზა (თბილისი-ონი-ამბროლაური-ქუთაისი), რომლითაც მარჯვენა მხარის სოფლები ერთმანეთს და სხვა დასახლებულ პუნქტებს კარგად უკავშირდება. ასეთ პირობებს მარცხენა მხარის სოფლები მოკლებულია.

ქვემო რაჭის ქვერაიონში პატარა და საშუალო სოფლების განსახლების არეალია მდ. რიონის შენაკადების ხეობები. ასეთია მდ. ლუხუნისწყლის ხეობა, რომლის შუა ნაწილი ფართოა და დასახლებისათვის ვარგისი. საცხოვრებელი ბინები ერთსართულიანია. სოფლის შიგა დასახლება მჭიდროა. სოფლების მიტოვების ტენდენცია ნაკლებად შეინიშნება.

სახნავ-სათესი მიწები აქ ძალზე მცირეა. საოჯახო საჭიროებისათვის მოკცავთ კარტოფილი, მისდევენ მესაქონლეობას. მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებული იყო სამთო-მეტალურგიულ წარმოებაში, რომელიც სოფ. ურაველის მიდამოების ცნობილი დარიშხანის საბადოს ბაზაზე მოქმედებდა.

სასოფლო დასახლებისათვის გამოყენებულია მდ. რიონის შენაკადის – მდ. კრიხულას ხეობის ფსკერიც, სადაც 5-ზე მეტი პატარა სოფელია განლაგებული. ყველაში ერთად 400 კაცამდე მუდმივი მცხოვრებია. დასახლებას *ხაზობრივ-ბუდობრივი ხასიათი* აქვს. სოფლები კომპაქტურია, შინა დასახლება – მჭიდრო.

ქვემო რაჭის სასოფლო განსახლების საინტერესო ტიპია ე.წ. *შაორის ჯგუფის დასახლება*, რომელიც აერთიანებს ძირითადად ქვაბულის სოფლებს. ქვაბული რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს და სამი მხრიდან რაჭის ქედის თხემური ზოლით არის განსაზღვრული, ხოლო ჩრდილოეთიდან საზღვარს ნიკორწმინდა-თლულის ამალღება წარმოადგენს. ქვაბულის ფსკერის სიმაღლე 1000-1200 მეტრის ფარგლებში მერყეობს. შაორჰესის აგებამდე ეს ტერიტორია ნოტიო, ალაგ-ალაგ დაჭაობებული ბრტყელი ვაკე იყო, მცირე ნაკადულებით დასერილი და ბალახმცენარეულობით დაფარული, რომელიც შესანიშნავ სათიბებს წარმოადგენდა. ქვაბულის ამალღებული, პერიფერიული და უფრო მშრალი ფართობები გამოყენებული იყო სახნავ-სათეს საეარგულებად. ამ ქვაბულთან არის დაკავშირებული ქვემო რაჭის ქვერაიონის 14-ზე მეტი პატარა და საშუალო სიდიდის მთის სოფელი, მათ შორისაა *ნიკორწმინდაც*, დღეისათვის არა მარტო ქვერაიონის, არამედ მთელი რაჭის ყველაზე დიდი სოფელი (626 კვ.). შაორის ჯგუფის სოფლები მთიანი მხარისათვის დამახასიათებელი *ბუდობრივი (კერობრივი) განსახლების* ტიპური მაგალითია.

ადრე ხალხმრავალი შორის ჯგუფის სოფლების ნაცვლად ახლა სახეზე ეკაქვს სანახევროდ (თუ მეტად არა) დაცარიელებული სოფლები. ყველა სოფელში ერთად სულ 2553 კაცი ცხოვრობს.

შორის ჯგუფის სოფლები განსახლების კომპაქტურ არეალს ქმნის. მათი უმეტესობა ერთიმეორეს ეკვრის. სოფლების შიდა დასახლება მჭიდროა, უსისტემოდ განაშენიანებული ქუჩებით; სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები კუთილმოუწყობელია.

მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის შემოგარენში დასამუშავებელად ვარგისი მიწის ფართობები ძალზე მცირეა. თესენ ძირითადად სიმინდს, კარტოფილს, აშენებენ ხეხილს. ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობის უმეტესობას სავენახე მიწის ნაკვეთები სოფლიდან 10-15 კმ-ის მოშორებით, დაბალ ადგილებში, უმეტესად მდ. რიონის ტერასებზე აქვს.

ლექსუმის ქვერაიონი მოქცეულია საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების – სვანეთის (ჩრდილოეთით), რაჭის, იმერეთის (აღმოსავლეთით და სამხრეთით) და სამეგრელოს (დასავლეთით) შორის. ლექსუმის ქვერაიონი წარსულში თავკერად მოიხსენიებოდა.

ეს ქვერაიონი მდებარეობს ცაგერის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, რომლის ტერიტორია სულ 756 ათასი კმ² შეადგენს და მხოლოდ ქედას, შუახევისა და ხულოს რაიონებს აღემატება.

ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად (მაგ., ქვემო რაჭის ფართობს ის 1,5-ჯერ ჩამოუვარდება), აქ 16,7 ათასი კაცი ცხოვრობს და განხილული რაიონებისაგან განსხვავებით მაღალი სიმჭიდროვე (22 კაცი 1 კმ²-ზე) ახასიათებს.

ბოლო ორი ალწერის მასალის შედარებით ირკვევა, რომ ცაგერის რაიონის მოსახლეობის კლება შედარებით უმნიშვნელოა (925 კვ.), მათ შორის, სოფლის მოსახლეობის კლებამ 4,5-ჯერ გადააჭარბა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის კლებას და 757 კაცი შეადგინა.

ცაგერის რაიონის განსახლება 58 სასოფლო დასახლებითა და 1 ქალაქით არის წარმოდგენილი. ჩვენი ტიპოლოგიის შესაბამისად, აქ ჭარბობს 201-500 კაცამდე და 501-1000 კაცამდე სოფლები, რომელთა ხვედრითი წილი 43,1 %-ს შეადგენს. ამასთან, განსხვავებით განხილული რაიონებისა და ქვერაიონებისაგან, გვხვდება ორი დიდი სოფელი (*ორბელი, ქვედა ცაგერი*) – 1000 კაცზე მეტი მოსახლეობით. ამ რაიონს ასევე განასხვავებს, მაგალითად, აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანი მხარისაგან ის, რომ ყველა სოფელი დასახლებულია და არ გვხვდება არც ერთი სოფელი 10 კაცზე ნაკლები მოსახლეობით.

სოფლების ხალხმრავლობა თავად არის მათი კლების პირობა. მობილობის მაჩვენებელი აქ საშუალოა და 10-20 კაცს შეადგენს ყოველ 1000 კაცზე.

ურბანიზებულობის ხარისხით რაიონი განხილული რაიონების იდენტურია. აქ მხოლოდ ერთი ქალაქია (ცაგერი), რომლის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მათრგანიზებული ფუნქცია ძალზე უმნიშვნელოა რაიონისთვის.

ლენხუმის ქვერაიონი განსხვავდება ზემო რაჭისა და ქვემო რაჭის ქვერაიონებისაგან მაღალმთიანი რელიეფის სუსტად განვითარებით; აქ არ არის ალპური სარტყელი. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაბალი და საშუალომთიანია, ხოლო სასოფლო დასახლებანი დაბალმთიანეთს არ სცილდება. ასევე განსხვავდება ლენხუმში ქვემო და ზემო რაჭის ქვერაიონებისაგან მეწყრული და კარსტული მოვლენებით, სასოფლო-სამეურნეო (კულტურული) ლანდშაფტის დიდი გავრცელებით, საკარმიდამო ტიპის ხაზობრივ-ბუდობრივი (კერობრივი) განსახლებით, საკმაოდ მეჩხერი დასახლებით.

როგორც ქვემო და ზემო რაჭის ქვერაიონში, ლენხუმის ქვერაიონშიც სოფლების უმეტესობა განლაგებულია მდინარეთა ხეობებსა და ქვაბულებში. ამავე დროს, ლენხუმში ბევრი სოფელი მდებარეობს დაბალ წყალგამყოფებზე, რაც სხვაგან არ შეინიშნება. მდ. რიონის ხეობა, რომელიც ქვერაიონს აღმოსავლეთ ნაწილში, კვეთს, სოფ. აჟარას ქვემოთ, 15 კმ მანძილზე ვიწროა და ერთ ადგილას ე.წ. ტვიშის კლდეკარს ქმნის. ამიტომ სასოფლო დასახლებისათვის ხეობა საერთოდ ნაკლებად გამოსადევია. მაგრამ ზოგან ხეობის ფსკერი ფართოვდება და გამოყენებულია დასახლებისათვის. ამ ვიწრო ხეობაში გაშენებულია ქვერაიონის 5 საშუალო სოფელი.

ტვიში-ორხევის სოფლის მიდამოებში გაშენებულია ხეხილის ბაღები და ვენახები. აქ მზადდება ცნობილი ღვინო „ტვიში“.

ლენხუმის ქვერაიონის დასავლეთ ნაწილში, მურის კლდეკარიდან სოფ. ოყურეშამდე, 28 კმ-ის მანძილზე მიედინება მდ. ცხენისწყალი. ხეობის ამ მონაკვეთის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ცაგერის ქვაბულს, რომელიც ჩრდილოეთით მურის, ხოლო სამხრეთით სარეწკელას კლდეკარით იკეტება. ქვაბულის სიგრძე 11 კმ-ია, ხოლო მისი ფსკერის განი 2 კმ აღწევს. ქვაბულს მცირედ დახრილი და პატარა ნაკადულებით დასერილი კალთები აქვს.

ქვაბული საუკეთესო ტერიტორიაა სასოფლო დასახლებისათვის და მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებისათვის, ამიტომ ის მთლიანად ათვისებულია სამეურნეოდ და სასოფლო განსახლებისათვის. აქ სულ 16 სოფელია გაშენებული, რომელთაგან 2 – სოფ. ქვედა ცაგერი (1362 კც.) და სოფ. ჩხუტელი (880 კც.) – ხალხმრავალია; 8 სოფელი საშუალო სიდიდისაა, 200-დან 370-მდე კაცით

თითოეულში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლები გაშენებულია არა ქვაბულის ფსკერზე, მდ. ცხენისწყლის დაბალ ტერასებზე, არამედ ამაღლებულ კალთებზე. ეს ორი მიზეზით არის გამოწვეული: 1. ცხენისწყლის დაბალი ტერასები ნოყიერი ნიადაგებით უხვმოსავლიანია და სახნავ-სათესად არის ათვისებული და 2. მოსახლეობა გაერიდა მდ. ცხენისწყლის უეცარი მოვარდნის საშიშროებას და მისგან მოსალოდნელ შედეგებს.

სარეწკელას კლდეკარის ქვემოთ მდ. ცხენისწყლის ხეობა ისევ ფართოვდება. აქ, ასხის კირქვიან-კარსტული მასივის ქარაფების ქვეშ, გამომუშავებულია ზუბის ქვაბული, ფართო ვაკე ფსკერით, სადაც დასახლებულია ქვერაიონის საშუალო სიდიდის რამდენიმე სოფელი. ქვაბულის მიღმა გაშენებულია ქვერაიონის უკიდურესი სამხრეთი სოფელი ოფიტარა, რომლის მოსახლეობა თითქმის 3,5-ჯერ შემცირდა ბოლო 10 წლის განმავლობაში.

ლეჩხუმის ქვერაიონის სასოფლო დასახლებისათვის გამოყენებულია მდ. ლაჯანურის ხეობაც, რომლის ფსკერი ფართოა, ბრტყელი, ალუვიური ნაფენებით დაფარული. ხეობა განსაკუთრებით ფართოა სოფ. ორბელსა და სოფ. ლაილაშის მიდამოებში, სადაც ქმნის ორბელის ქვაბულს. ქვაბულის ნაწილი ამჟამად ლაჯანურის წყალსაცავს უჭირავს. ამ ტერიტორიებზე გაშენებულია 10-ზე მეტი სოფელი. მათი უმეტესობა საშუალო სიდიდისაა.

ორბელ-ლაილაშის სოფლების ჯგუფი საკმაოდ მჭიდროდ არის გაშენებული და მათ შორის კავშირიც დამაკმაყოფილებელია. სოფლების დაგეგმარება უსისტემოა, არაკომპაქტური, საშუალო და პატარა ეზოებით. საცხოვრებელი ბინები ერთ-და ორსართულიანია, მეტი წილი ქვით ნაგებია. ზოგან ქვედა სართული ქვის ან აგურისაა, ზოლო ზედა – ხის. მდ. ლაჯანურის ხეობა მეტწილად ტყით არის შემოსილი და მოსახლეობისათვის ხის მასალა ხელმისაწვდომია. ყოველი საცხოვრებელი სახლის გვერდით არის დამხმარე ნაგებობები.

მოსახლეობა დასაქმებულია მიწათმოქმედებაში – თესენ სიმინდს, იშვიათად ხორბალსაც, აშენებენ ხეხილსა და ვაზს. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მე-საქონლეობას.

ცალკე უნდა გამოიყოს ლეჩხუმის ქვერაიონის სოფლების ჯგუფი, რომელიც მდებარეობს, ერთი მხრივ, ლაჯანურ-რიონისა და, მეორე მხრივ, ცხენისწყლის წყალშუეთში. აქ 10-ზე მეტი მთის პატარა და საშუალო სოფელია გაშენებული, რომლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ვრცელი ტერიტორია უკავია, მუდმივ მაცხოვრებელთა საერთო რაოდენობა 1400 კაცს არ აღემატება. სოფლები დასახლებულია მეჩხერად და ერთმანეთისგან დიდ მანძილზეა დაშორებული. სოფ-

ლების აბს. სიმაღლე 800-900 მეტრს უდრის. უგზობის გამო სოფლებს შორის კომუნიკაცია ძალზე სუსტია. სოფლების შიდა სიმჭიდროვე დაბალია. საცხოვრებელი ბინები უმეტესად ერთსართულიანია და ხისგან ნაგები. საცხოვრებელ ბინებთან ერთად ეზოებში არის დამხმარე ნაგებობები.

მოსახლეობა დასაქმებულია მიწათმოქმედებაში – თესენ სიმინდს, კარტოფილს, აშენებენ ხეხილს. განვითარებულია მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი), რისთვისაც კარგი პირობებია შექმნილი სათიბ-საძოვრების წყალობით.

ლენჩუმის ქვერაიონში სოფლების შიდა სიმჭიდროვე საშუალოდ კომპაქტურია. რაც შეეხება სოფლების დაგეგმარებას, ის აქაც, ისევე როგორც ზემო და ქვემო რაჭის ქვერაიონში, უსისტემაოა.

როგორც უკვე აღენიშნეთ, მთის სოფლების მიტოვება და ბარში მოსახლეობის მასობრივად გადასახლება კარგა ხანია დაიწყო და ახლაც ინტენსიურად მიმდინარეობს. მთის სოფლების გარკვეული ნაწილი მხოლოდ საზაფხულო-სააგარაკო ადგილებად გადაიქცა, თუმცა არის სოფლები, სადაც შედარებით ხალხმრავლობაა – მოსახლეობა მამა-პაპის კარმიდამოს ნაკლებად ტოვებს.

სოფლების მიტოვების ტიპური მაგალითია მდიდარი ბუნებით შემკული რაჭა-ლენჩუმის რაიონი. იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ მთის ბუნებრივი სიმდიდრე, ჩავაყენოთ ის ქვეყნის საერთო სამსახურში, უპირველესად საჭიროა მთის სოფლების მოსახლეობის ადგილზე დამაგრება, რაც, თავის მხრივ, მიღწეული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მთის სოფლებს შესაფერისი სატრანსპორტო კომუნიკაციებით უზრუნველვყოფთ; ამასთანავე, რაიონში არსებული წიაღისეულის (განისა და ლუხუნის ლითონური დარიშხანი, სოფ. ირის ბარიტის საბადო, სამშენებლო მასალა, ხე-ტყე, უწერისა და ურავის მინერალური წყლები) ათვისება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა დიდად შეუწყობს ხელს მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას.

საჭიროა განვითარდეს საკურორტო და ტურისტული მეურნეობა, რისთვისაც რაჭა-ლენჩუმის რაიონი საკმაოდ პერსპექტიულია. რეგიონის თვალწარმატაცი წიწვიანი ტყეების ლანდშაფტი, მინერალური წყაროები, რბილი და ჯანსაღი ჰავა კლიმატური და ბალნეოლოგიური კეთილმოწყობილი კურორტების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

ამჟამად კურორტები, რომელთა ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა ძალზე დაბალია, ძირითადად შიდა დამსვენებლებს ემსახურება (მოვი) და ადგილობრივი დანიშნულებისაა. შესანიშნავი პოტენცია აქვს რეგიონს უწერის, ბუგეულას ხიდიკარის, ლაშიჭალას, ბარის, სხეფურის,

ურავის, ცესიგორას, ძგურის, ლაგვერას სახით. ქართველი მეცნიერები ლაგვერას ბალნეოლოგიური პროფილის, ხოლო სხვა დანარჩენს კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტებს აკუთვნებენ.

დიდი პოტენციალია რაიონში სათავეადასავლო, ეკოლოგიური, ეთნოგრაფიული და სპელეოლოგიური ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის.

რაიონში ბუნებრივი ჩანჩქერების სიუხვე (დღნორისა, კინჩხა, თხმორი) ქართველ მეცნიერთა აზრით ტურიზმის ახალი სახეობის – კანიონიგის განვითარების კარგი შესაძლებლობაა.

სავარაუდოდ აქ შეიძლება განვითარდეს ე.წ. ღვინის ტურიზმიც, ვინაიდან აქაური ვაზის ჯიშებით მზადდება პოპულარული „ხვანჭკარა“, „ბარაკონი“ და სხვა სამარკო ღვინოები.

ჩვენი აზრით, საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან რესურსს მოსახლეობის სტუმართმოყვარეობა წარმოადგენს, რაც ამ რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ძალიან მნიშვნელოვანია ამ დარგის განვითარებისა და მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების შემუშავებისას ტრადიციულად სტუმართმოყვარე მოსახლეობის დარგისადმი პოზიტიური განწყობის გამომუშავება. ეს კი, თავის მხრივ, ინოვაციური პროექტების რეალიზების კარგი შესაძლებლობა იქნება.

რაიონში საჭიროა: გაუმჯობესდეს სოფლების ინფრასტრუქტურა; ყურადღება მიექცეს მთის სოფლების ტურისტულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

ამ ღონისძიებათა გატარებით რაჭა-ლეჩხუმის რაიონი კვლავ სისხლსავსე მთის სოფლების სამაგალითო რეგიონი შეიძლება გახდეს.

აქ გვინდა ერთ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება. უკანასკნელ ხანებში, როდესაც საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ცნობილი გარემოებების გამო, საკმაოდ გაუარესდა, მთის, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმის რაიონებიდან ქალაქებში ჩასახლებული მოსახლეობის ნაწილი სოფლებს მიუბრუნდა.

ქეისი „თუშეთი“

თუშეთი მაღალმთიანი ქვაბულია კავკასიონის ჩრდილო კალთაზე და მოიცავს ორი მდინარის – თუშეთის ალაზნისა და პირიქითა ალაზნის აუზებს. ჩრდილოეთიდან ის შემოფარგლულია კავკასიონის თოვლიან-ყინულოვანი განტოტებით – პირიქითას, ანუ თუშეთის ქედით, სამხრეთით – კავკასიონის თხემით, დასავლეთით – ასევე მაღალმთიანი აწუნთის ქედით, ხოლო აღმოსავლეთით – ბაცი-ბუცის განტოტებით. კავკასიონის პარალელურად გაწოლილი მაკრატე-ლას ქედი ქვაბულს ორ ნაწილად – პირიქითასა და გომეწრის ხეობად ჰყოფს.

ძველი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, თუშეთი ოთხი ისტორიული ოემისაგან შედგება. ესენია – წოვა, გომეწარი, ჩაღმა და პირიქითა. არც თუ შორეულ წარსულში თუშეთში 35-36 სასოფლო დასახლება იყო, დაახლოებით 4 ათასი მუდმივი მცხოვრებით. მაგრამ მკაცრი ბუნებრივი პირობებისა და, რაც უფრო ხაზგასასმელია, საქართველოს დანარჩენი რეგიონებისაგან მოწყვეტილობის გამო, თანდათან დაცარიელდა. ეს პროცესი (სოფლების მიტოვება) XIX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო. ამჟამად სოფლების დიდი უმრავლესობა დაცარიელებულია. თუშეთის სოფლები მთის ხეობათა პატარა დასახლებების ტიპს მიეკუთვნება. ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ თუშეთში ცხოვრობდა 543 კაცი. ახლა აქ, ომალოს თემის საკრებულოს მუდმივი მოსახლეობა 93 კაცს შეადგენს.

აქ არსებული 10 სოფლიდან მოსახლეობა (2002 წლის აღწერის მასალები, ტ. II.) მხოლოდ *ომალოში* (58), *დიკლოში* (16 კც.), *შენაქოში* (7 კც.), *დოჭუში* (1 კც.), *დართლოში* (9 კც.) და *ხახაბოში* (2 კც.).

სოფლები *დანო*, *ქუმელაურთა*, *შტროლთა* და *ხისო* კი, სამწუხაროდ, გაუკაცრიელებულია.

თუშეთის პატარ-პატარა, ხალხმცირე სოფლები (ახლა უკვე ნასოფლარები) განლაგებულია მდ. თუშეთის ალაზნისა და მისი შენაკადების ხეობაში, მათაა ქვემო კალთებზე. მაგრამ უფრო მეტი და ხალხმრავალიც – პირიქითა ალაზნის აუზში, მდინარის გასწვრივ მდებარეობს, სადაც ხეობის ფსკერი გაფართოებულია და კალთებიც ნაკლებ ციცაბო.

დასახლებისათვის განსაკუთრებით კარგი პირობებია სოფ. ომალოს მიდამოებში, სადაც რელიეფი ტალღობრივი ვაკეა. *სოფ. ომალო* (58 კც., 2002 წ. აღწერისი) თუშეთისათვის თავისებურ ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. ეს განაპირობა ვაკეზე მისმა მოხდენილმა მდებარეობამ.

ომალო იყო და არის ადგილობრივი დანიშნულების საჰაერო ტრანსპორტის ხელსაყრელი ასაფრენ-დასაფრენი ადგილი.

როდესაც თუშეთზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ტბათანა. ქართულ წყაროებში მოხსენიებული ეს გეოგრაფიული სახელი – მაღალმთიანი საძოვრებია მდ. ალაზნისა და მდ. ილტოს სათავეებში. აქ, მთა ტბათანას (მდ. ქვაჩადლასა და მდ. ბაწარას წყალგამყოფი, აბსოლუტური სიმაღლე 2300 მ) ზემო და შუა კალთები ნოყიერ საზაფხულო საძოვრებს წარმოადგენს, ქვემო ფერდობები – წიფლის ტყეებით არის დაფარული. ტბათანაზე გადის წოვა-თუშების უძველესი სამესაქონლეო ტრასა – „ცხვრის გზა“ შირაქის საზამთრო საძოვრებიდან თუშეთის იალაღებისკენ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 9, გვ. 679). მაგრამ ამით არ ამოიწურება ტბათანას მნიშვნელობა. მის დამრეც ფერდობებზე წოვა-თუშებს საზაფხულო აგარაკები აქვთ. ეს წოვა-თუშების თავისებური „მეორე საცხოვრისია“.

საქართველოს მაღალმთიანი კუთხე, თუშეთი, ბუნებრივი პირობებითა და სამეურნეო განვითარებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოს საუკეთესო ხარისხის საზაფხულო საძოვრების სიუხვე; ტყე თუშეთში ძალზე ცოტაა და მთელი ტერიტორია სუბალპურ და ალპურ მდელოებს უჭირავს, რომელსაც ზაფხულის განმავლობაში შეუძლია გამოკვებოს არა მარტო თუშეთის (ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის) ცხვარი, არამედ კახეთის უმეტესი რაიონების საქონელიც. ცხადია, აუცილებელია საძოვრების მორიგეობის და ვადების დაცვა, მათი ზედმეტად გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით.

თუშეთი ეთნოგრაფიული და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ობიექტად შეიძლება იქცეს სწორი მენეჯმენტის პირობებში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ ქვერეგიონის სტრატეგიული განვითარება.

ამ ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალი თავისებურად უნიკალურია და დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. უპირველესად, ეს არის სუფთა, ულტრაიისფერი სხივებით მდიდარი ჰავა და მინერალური წყლები, რაც სამთო-კლიმატური კურორტების პოტენციური რესურსია; ულამაზესი ბუნება; დიკლოსა და დართლოს ციხესიმაგრეები; ჯერ კიდევ შემორჩენილი ფიქლით ნაგები კოშკები; ამ კუთხისათვის დამახასიათებელი მტკიცედ დაცული ეთნოგრაფიული ტრადიციები.

ეს ქვერეგიონი ალპინიზმის მოყვარულთათვის კარგ რესურსებს ფლობს მწვერვალების – დიკლოსმთის, დაქუეხის და სხვათა სახით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაცნობიერებთ, რომ ტურიზმის განვითარება მოქმედებს ეკონომიკაზე, რეგიონულ პოლიტიკაზე და ეკოლოგიაზე არა მხოლოდ პოზი-

ტიურად. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ერთგვარად, „ჩაკეტილი“ ქვე-რაიონის მოსახლეობის გაუცხოებაც ამ დარგის გასაერთიებლად. თუმცა, სწორი სტრატეგია, თანხების აკუმულირება უშუალოდ ადგილზე ადგილობრივი წარმოების ხელშესაწყობად, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ინოვაციური მენეჯმენტი საკითხს დადებითად გადაწყვეტდა.

გადაუღებელი ამოცანაა თუშეთის მოსახლეობის ადგილზე დამაგრება და ამ მხარის ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენება.

როგორც ცნობილია, თუშეთი დალესტინის მოსაზღვრე კუთხეა და დალესტინელებს არ უნდა მიეცეს საშუალება თუშეთის ტერიტორია თვითნებურად გამოიყენონ თავიანთი მიზნებისთვის, ძირითადად, როგორც საზაფხულო საძოვრები; ამის პრევენდენტები კი არის. ამისათვის საჭიროა რიგი ღონისძიების გატარება:

- ა) თუშეთში საჭიროა შეიქმნას მესაქონლეობის სააქციო მეურნეობები, უმეტესად მეცხვარეობის;
- ბ) ომალო-შენაქო-დიკლოს მშენიერ მიდამოებში შეიძლება მოეწიოს მაღალმთიანი კურორტი დასვენების საზამთრო და საზაფხულო სეზონებით (ამის საუკეთესო მაგალითია საფრანგეთის ალპებში მრავალი ასეთი კურორტის არსებობა);
- გ) შეეშავედეს ტურიზმისა (ეთნოგრაფიული, ეკოლოგიური, სათავგადასავლო) და ალპინიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია;
- დ) განვითარდეს შინამრეწველური საქმიანობა. ცნობილია, რომ თუშები (ქალები) შესანიშნავი მოხელსაქმენი არიან – ქსოვენ მამაკაცის ქუდეებს, ე.წ. ჩითებს, ნოხ-ფარდაგსა და სხვა საოჯახო ნივთებს. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა სრულად იქნება დასაქმებული.

გარდა მეურნეობის ძირითადი მიმართულებისა (მესაქონლეობა), ყურადღება უნდა მიექცეს დამხმარე მეურნეობის აღდგენას: თუშეთში ბუნებრივი პირობები კარტოფილის, საადრეო ხორბლის, ქერის და შვრიის მოყვანის საშუალებას იძლევა.

თუშეთის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს საქართველოს ბარის ზონიდან (კახეთიდან) სოფ. ომალომდე საავტომობილო გზის იმგვარად გაყვანა (მოწესრიგება), რომ წლის უმეტეს დროს ფუნქციონირებდეს. ასევე, პირველხარისხოვანი ღონისძიებაა ამ კუთხის სრული უზრუნველყოფა საჰაერო ტრანსპორტით.

ქეისი „ხევსურეთი“

ხევსურეთი აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში, არაგვი-პირიქითა ალაზნის რაიონში, ეთნიკურ-ისტორიული კუთხეა, რომელიც მოიცავს ძირითადად მდ. ხევსურეთის არაგვის (მდ. ფშავის არაგვის მარჯვენა შენაკადის) ხეობას, დღევანდელი დუშეთის რაიონის ხევსურეთის თემის საკრებულოს სოფლების ტერიტორიას. ეს პირაქეთა ხევსურეთია.

ხევსურეთის მცირე ნაწილი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. ასას, მდ. არღუნისა და მდ. ანდაქის ხეობებში. ეს პირიქითა ხევსურეთია, რომელშიც ერთიანდება დუშეთის ადმინისტრაციული რაიონის შატილის თემის საკრებულოს სოფლების ტერიტორია.

პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთი ერთმანეთს არხოტისა (2935 მ) და დათვისჯერის (2677 მ) უღელტეხილებით უკავშირდება.

ხევსურეთის ტერიტორია მეტად დანაწევრებული რელიეფით გამოირჩევა, ამიტომაც, გადმოცემით, სახელწოდება მან მიიღო მთიანი ხევ-ხეობებიანი ადგილმდებარეობის გამო. ადრინდელ წყაროებში იგი მოიხსენიება *ფზოვის* სახელით. ისევე, როგორც სხვა მთიანი რეგიონი, ხევსურეთიც ხასიათდება მოსახლეობის მცირე რაოდენობით და ჭარბობს პატარა სოფლები.

ბოლო აღწერის მასალებზე დაყრდნობით, ხევსურეთის სოფლებში სულ 866 კვ. ცხოვრობს.

შატილის თემის საკრებულოს 8 სოფელში ცხოვრობს 251 კვ., სოფელი *კისტანა* კი ამჟამად დაცლილია. ამ საკრებულოს შედარებით დიდ სოფლებად ითვლება *შატილი* (68 კვ.), *არღოტი* (39 კვ.), *მუტო* (49 კვ.), *ზონისჭალა* (31 კვ.), *გიორგიწმინდა* (27 კვ.), ყველაზე მცირერიცხოვანია *არჭილო* (7 კვ.).

ხევსურეთის თემის საკრებულოს განსახლებას 38 სოფელი (615 კვ.) ქმნის, რომელთაგან *მადრაანი*, *ოზერხევი*, *უბანი*, *უკანხადუ*, *ქმოსტი*, *ჩხუბა*, *ძეძურთა* – დღეს ნასოფლარებს წარმოადგენს.

ყველაზე „სისხლსავსე“ სოფლებად *ბარისახო* (215 კვ.), *კორშა* (92 კვ.), *როშკა* (53.), *გუდანი* (48.), *აძლა* (31 კვ.) ითვლება. დანარჩენში კი მოსახლეობის რაოდენობა 1-დან 19 კვ-მდე მერყეობს.

სავალალოა, რომ ამ კატეგორიის სოფლები საკრებულოს სოფლების 84 % შეადგენს.

განსაკუთრებით გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ აქ 1 მცხოვრებით 5, ხოლო 2 მცხოვრებით 4 სოფელია.

სოფლების უმეტესობა მდ. ხევსურეთის არაგვის ხეობაში და ნაწილობრივ მისი შენაკადების ხეობებში მდებარეობს. სოფლების ასეთ განლაგებას ხელს

უწყობს ის გარემოება, რომ მიუხედავად ხეობის მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობისა, შესართავიდან დაწყებული, ხეობის ფსკერი განიერია და მიმდებარე მთის ქვემო კალთებიც შედარებით დამრეცია. აღნიშნული პირობები დასახლებებისათვის, დაახლოებით სოფ. ქმოსტამდე, ხელსაყრელია.

სოფლების ტერიტორიული ორგანიზაცია კომპაქტურია, მიჯრით დასახლებული.

ხევსურების სახლები გამოირჩევა მთის დანარჩენი კუთხის სახლებისაგან. ისინი ხეობის კალთებზე ამფითეატრისებურად არიან განლაგებულნი, სახურავი ბრტყელი, მიწით ან, უკეთეს შემთხვევაში, თიხა-ფიქლებითაა დახურული. სახურავი, როგორც მიწის პატარა ფართობი, ზოგჯერ გამოიყენებოდა მწვანილის მოსაყვანად, მატყლის გასაშრობად, ზამთრისთვის მოგროვილი მხლისა და ხილკენკრის გასახმობად და ა.შ.

რაც შეეხება ფიქლოვან გადახურვას, ეს უკვე მოგვიანებითი პროცესია. საამისოდ გამოყენებულია ადგილობრივი ნედლეული – ფურცლოვანი ფიქლები. ეს უკანასკნელი არა მარტო სახურავისათვის, არამედ საკედლე მასალადაც გამოიყენება, თანაც თუშების მსგავსად, ხევსურებიც სახლებს დუღაბის გარეშე აშენებენ. სახლების ნაწილი მხოლოდ შიგნიდან არის გალესილი.

ხევსურეთის კლიმატური პირობები არ იძლევა სოფლის მეურნეობის ნაირგვარი კულტურების მოყვანის საშუალებას. აქ როგორც სოფლები, ისე შემოგარენიც 1400–2200 მ-ის სიმაღლის ფარგლებშია განლაგებული, ამიტომაც ხევსურეთში მეურნეობის წამყვანი დარგი ოდითგანვე სარძეო-სახორცე მიმართულების მეცხოველეობა იყო.

აქაური, საკმაოდ კარგი სათიბ-სამოვრები უზრუნველყოფდა დიდი რაოდენობით საქონლის (როგორც წვრილფეხა, ისე მსხვილფეხა) შენახვას. საქვეყნოდ ცნობილია ხევსურული ჯიშის ძროხა, რომელიც კარგად არის შეგუებული მთის მკაცრ პირობებს.

სათესი ფართობების სიმცირის და მწირნიდაგიანობის მიუხედავად ხევსურები მისდევენ სოფლის-მეურნეობასაც, თავიანთი საჭიროებისთვის მოჰყავთ ცოტაოდენი კარტოფილი, ქერი.

კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარე ხევსურეთის მცირე ნაწილი (პირიქითა ხევსურეთი) ლიტერატურაში ზშირად მოიხსენიება *შატილის*, ანუ *არდოტის ხევსურეთად*. პირიქითა ხევსურეთის „ცენტრი“ სოფ. *შატილია*. ის ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთ ბრწყინვალე და უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს.

კლდეზე შეფენილი სოფელი ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც. შენობათა ძირითადი ტიპია ბრტყელსახურავიანი სახლი და კოშკური

საცხოვრებელი. ხევსურული კოშკები შუა საუკუნეებში გავრცელებული კოშკის ტიპისაა – საბრძოლო-საცხოვრებლის დანიშნულების.

XX საუკუნის 50-იან წლებში ხევსურეთის მოსახლეობის ნაწილი ჩავიდა ბარად, მაგრამ ეს პროცესი შემდგომაც და დღესაც გრძელდება. 60-იან წლებში ხევსურეთში მოსახლეობა 2,5 ათას კაცს შეადგენდა, დღეისათვის კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 666 კაცია. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვაკეთებთ პროგნოზს, რომ უახლოეს პერიოდში მოსახლეობის მიგრაციის ტემპი შემცირდება, ხოლო 1-19 კვ-მდე სოფლები არ გაუკაცრიელდება.

როგორი გულსატკეცილი არ უნდა იყოს, ეს პროგნოზი, სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის რადიკალურ გაუმჯობესებამდე, სამწუხარო რეალობად შეიძლება იქცეს.

მრავალი წელია არაერთი ქართველი გეოგრაფი და დემოგრაფი ცდილობდა და ცდილობს ყურადღება მიაქციეინოს სახელმწიფოს მიტოვებული მთისთვის, მაგრამ მეცნიერულმა დასაბუთებებმა და პროგნოზებმა შედეგები ვერ გამოიღო.

სახელმწიფოს ახალმა სტრატეგიამ, ეფექტური პრომოუშენისა და მენეჯ-მენტის მეშვეობით, ეს ქვერეაიონი ინვესტირების ობიექტად შეიძლება აქციოს. ველური ბუნება, ურყევი ეთნოთავისებურება, ტრადიციათა პატივისცემა, ისტორიული ძეგლები (*ხახმატის, ახიელის, ლებაისკარის* ციხეთა ნაშთები; *მუცოს, შატილის* ციხე-სოფელი; *გუდანის ჯვარი, ანატორის ჯვარი* და სხვა) მიმზიდველია თავგადასავლებისა და ეთნოგრაფიული ტურიზმის მოყვარულთათვის.

ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებას შედეგად ადგილობრივი წარმოების აღორძინება უნდა მოჰყვეს.

ხევსურეთის სამეურნეო განვითარებისათვის საჭიროა მესაქონლეობის მეურნეობის აღორძინება. ამისათვის კი ხევსურეთში საკმაოდ კარგი პირობები – სათიბ-საძოვრების მნიშვნელოვანი ფართობები.

ხევსურეთის მთა და „ბარი“ მდიდარია ყვავილოვან-თაფლოვანი მცენარეებით, რაც განაპირობებს მეფუტკრეობის განვითარებას. დღემდე სოფლის მოსახლეობა მას შესაფერის ყურადღებას არ აქცევდა.

ხევსურეთის სუფთა, ჟანგბადით მდიდარი ჰავა გარანტიანაა სამთო-კლიმატური დასასვენებელი ადგილების შესაქმნელად.

ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებას ხევსურეთის სამეურნეო განვითარებისთვის წარმოადგენს გზა, ტრანსპორტი. უგზობის გამო ის თითქმის მოწყვეტილია საქართველოს სხვა რეგიონებს. მართალია, შატილამდე გზა გაიყვანეს, მაგრამ ის მწყობრიდან არის გამოსული და აღდგენას საჭიროებს.

ქეისი „ფშავ-მთიულეთი“

ფშავ-მთიულეთი

ფშავი და მთიულეთი კავკასიონის სამხრეთი კალთის იმ მონაკვეთზეა გაშლილი, რომელსაც ფშავ-მთიულეთის კავკასიონს ვუწოდებთ. ფშავთან და მთიულეთთან ერთად ის მოიცავს აგრეთვე პირაქეთა ხევსურეთს. რაც შეეხება ფშავისა და მთიულეთის ერთად განხილვას, ეს გამართლებულია ამ კუთხეების სასოფლო განსახლების მსგავსი პირობების გამო, თუმცა, ისინი სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებს წარმოადგენენ.

მთიულეთი, რომელიც თეთრი არაგვის ხეობას მოიცავს, აღმოსავლეთით გუდამაყრით (გუდამაყრის ხეობით) ისაზღვრება, დასავლეთით ლომისის ქედამდე ვრცელდება, ჩრდილოეთით მისი საზღვარია ხევი.

ფშავი აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში, ახლანდელი დუშეთის რაიონის მალაროსკარისა და უკანაფშავის თემების საკრებულოების სოფლების ტერიტორიას მოიცავს და განლაგებულია ფშავის არაგვის ხეობაში.

ამრიგად, ფშავ-მთიულეთის საზღვრებია: ჩრდილოეთით – კავკასიონის თხემი მწვ. ხორისარასა და მწვ. ბორბალოს შორის, დასავლეთით – ლომის-ალევის ქედის თხემი მწვ. ალევის კლდემდე, აღმოსავლეთით – კახეთის ქედის თხემი. რაც შეეხება სამხრეთ საზღვარს, ის პირობითია და კავკასიონის სამხრეთი კალთის დაბალმთიან ნაწილზე გადის.

ფშავ-მთიულეთის ქვერაიონში გამოყოფთ ორ მიკრორაიონს: ა) მლეთა-უკანაფშავის მიკრორაიონს; ბ) ანანურ-თიანეთის მიკრორაიონს.

მლეთა-უკანაფშავის მიკრორაიონი ჩრდილოეთ მთიან ზოლს იკავებს. ხოლო ანანურ-თიანეთის მიკრორაიონი სამხრეთის მთიან, შედარებით დაბალ ადგილს.

ჩრდილოეთ (მლეთა-უკანაფშავი) და სამხრეთ მონაკვეთებს (ანანურ-თიანეთი) შორის განსხვავება შეინიშნება არა მარტო ბუნებრივი პირობების მხრივ, რაც გამოიხატება მლეთა-უკანაფშავის მაღალმთიან რელიეფში, ალპური და სუბალპური ზონების ფართო განვითარებაში, ჭიუხებიანი ლანდშაფტის არსებობაში, არამედ სასოფლო განსახლების ხასიათშიც: მლეთა-უკანაფშავის პატარა სოფლები ხალხმცირეა, უმეტეს შემთხვევაში ციცაბო კალთებზე მიკრული.

ამ მიკრორაიონში 2002 წლის აღწერის მონაცემებით 1002 კაცი ცხოვრობს, რაც დუშეთის ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის 4,4 % შეადგენს.

მიკრორაიონის განსახლება 30 სოფლით არის წარმოდგენილი, რომელთაც პატარა სოფელთა კატეგორიას ვაკუთვნებთ. სოფლები 1-დან 20 კაცამდე მოსახ-

ლეობით აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს. გამონაკლისია მღაროსკარი (280 კვ.), გომეწარი (135 კვ.), ჩარგალი (100 კვ.), თბილანი (43 კვ.), შუაფხო (38 კვ.).

1989 წლას აღწერის შემდეგ, 2002 წლისთვის, ამ მიკრორაიონში 2 ნასოფლარით (არბაჩხანი, ბეტისჩრდილი) მეტია.

მლეთა-უკანაფშავის მიკრორაიონი, სამწუხაროდ, დეპოპულაციის საფრთხის წინაშეა. პროცესის შეჩერების პერსპექტივა კი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თუშეთისა და ხევსურეთის ქვერაიონებში.

ბუნებრივ-რესურსული პოტენციალიდან აღსანიშნავია შესანიშნავი ლანდშაფტი, მინერალური წყალი („ვაჟას წყალი“), მთის კლიმატი, რაც საკურორტო მეურნეობის და ეკოტურიზმის განვითარების გარკვეულ შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიმცირის გამო ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარებას ნაკლები პერსპექტივა აქვს.

სამხრეთ ნაწილში, *ანანურ-თიანეთის მიკრორაიონში*, უფრო ზუსტად კი ჟინვალის ქვემოთ, დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა და სიდიდე მეტია, დომინირებს *ჯგუფური განსახლების ტიპი*.

რამდენიმე კომპაქტური დასახლების ჯგუფია მდ. ქსნისა და მდ. არაგვის, აგრეთვე, არაგვისა და ივრის დაბალმთიან წყალგამყოფზე.

მთიულეთის სოფლების დიდი ნაწილი განლაგებულია მდ. არაგვის ხეობაში, მთის კალთებზე და შენაკადების ხეობებში.

სოფ. მლეთადან ჯვრის უღელტეხილისაკენ აღმავალი გზის უმეტესი ნაწილი სერპანტინის წარმოადგენს და დიდ ლაქურ ღვარზეა გაყვანილი. აღმართის შემდეგ გადაიშლება ტალღობრივი დახრილი სივრცე – კაიშაურის ვაკე, რომელზეც მდებარეობს მთიულეთის პატარა სოფლები – *კაიშაური, ქვეშეთი* და სხვა.

სოფ. ქვეშეთის ქვემოთ, ფასანაურამდე, თეთრი არაგვის ხეობას მეტწილად ზომიერად დაქანებული ფერდობები აქვს, რომელთა ქვემო ნაწილებზე როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ განლაგებულია მთიულთა პატარა სოფლები.

ფასანაურიდან ანანურამდე არაგვის ხეობა ვიწროა და მცირედ დასახლებულია. აქ, დაახლოებით 20 კმ-ის მანძილზე, მთის პატარა, სულ 6-7 სოფელია.

ანანურს ქვემოთ არაგვის ხეობა რამდენადაც ფართოვდება. მისი ვრცელი ალუვიური ტერასები უწყვეტად ვრცელდება მდინარის ქვემო დინებისაკენ.

მთიულეთის (თეთრი) არაგვის მარცხენა შენაკადის – შავი არაგვის ხეობაშიც (გუდამაყრის ხეობა) მთის პატარა სოფლებია გაშენებული.

სოფ. მაქართის ქვემოთ იწყება გუდამაყრის ვიწრობი, რომელიც ფასანაურამდე გრძელდება. ეს მონაკვეთი დასახლებისთვის ნაკლებ ვარგისიანია, ამიტო-

მაც სოფლების ქსელი ძალზე მეჩხერია. გუდამაყრის ხეობის ეს მონაკვეთი, რომელიც 8 კმ-ის სიგრძისაა, სულ სამიოდე პატარა სოფლით არის წარმოდგენილი.

მთიულეთის ქედის (წარმოდგენს ეთნოგრაფიულ მიჯნას მთიულეთსა და ფშავ-ხევსურეთს შორის) აღმოსავლეთით ფშავის არაგვია – ვიწრო, ტყიანი ხეობით. მას, ორწყალიდან დაწყებული ჟინვალამდე, სამხრეთ-სამხ.-დასავლური მიმართულება აქვს. ორწყალთან, ხევსურეთის არაგვისა და ფშავის არაგვის შეერთების ადგილთან, ფშავის არაგვის ფსკერის სიმაღლე 1120 მ-ია, ქვემოთ, მაღაროსკართან – 920 მ, შარახევის შესართავთან – 790 მ.

მოსახლეობის ერთი ნაწილი განსახლებულია ფშავის არაგვის ნაპირზე, მეორე ნაწილი – პატარა შენაკადების ხეობებში, სადაც მცირე სოფლები გაბნეულია მთის ციცაბო ფერდობებზე. სიმაღლის მატებასთან ერთად ხეობაში მოსახლეობის რაოდენობა კლებულობს და ზოგ სოფელში ახლა მხოლოდ 1-6 კაცი ცხოვრობს.

ფშავ-მთიულეთის ქვერეაიონის სამხრეთი ნაწილი განსხვავდება ჩრდილოეთ ნაწილისაგან როგორც სასოფლო განსახლებისათვის უკეთესი ბუნებრივი პირობებით (რელიეფის ნაკლები დანაწევრება, საშუალო და დაბალმთიანი ტერიტორიები, შედარებით რბილი ჰავა), ისე თვით დასახლების ხასიათით. თუ არაგვის ხეობაში, ჟინვალის ზემოთ, გაბატონებულია მთის ხეობის ტიპის პატარა და საშუალო სოფლები (პირველის სიჭარბით) მეცხოველეობის (სამომთაბარეო) მიმართულებით, სამხრეთ ნაწილში, ჟინვალის ქვემოთ, არის როგორც მთის, ისე ბარის დასახლება. ეს გარდამავალი ზონა მთასა და ბარს შორის და ამიტომ მემინდვრეობა აქ წამყვან ადგილს ინარჩუნებს, მაგრამ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მესაქონლეობასაც. უმეტეს შემთხვევაში კი ეს ორი დარგი თანაბრად ვითარდება.

ფშავ-მთიულეთის ქვერეაიონში ერთიანდება ივრის ხეობის ის ნაწილიც, რომელიც თიანეთის ქვაბულს უკავია. ეს ივრის ხეობის გაფართოებული მონაკვეთია დაბა თიანეთის მიდამოებში. იგი შემოფარგლულია კახეთისა და ქართლის ქედებით და მათი განშტოებებით; ბრტყელი აკუმულაციური ვაკეა, რომელიც ივრის გასწვრივ 17 კმ-ზეა გავრცელებული, სიგანე 3-5 კმ-ია. თიანეთის ქვაბული აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთის ზემოთ განხილული ტერიტორიიდან განსხვავდება დიდი და საშუალო სოფლებით. სოფლები კომპაქტურად არის დასახლებული, ზოგი სოფელი მეზობელთან არის შერწყმული. ისინი ისე ებმიან ერთმანეთს, რომ მათ შორის საზღვრის დადგენა შეუძლებელია. ეს სასოფლო აგლომერაციის ერთ-ერთი მაგალითია, რაც მთიანი რაიონებისათვის ტიპური არ არის. ამ მხრივ ის მოგვაგონებს შიგნით კახეთის სოფლებს, რომლებიც ალაზნის ვაკისა და გომბორის კალთების მიჯნაზეა გავრცელებული.

თიანეთის ქვაბულის დიდი და საშუალო სოფლები განლაგებულია უშუალოდ ვაკეზე, შედარებით პატარა სოფლები კი მიმდებარე მთისწინეთებზე ან ვაკისა და მთისწინეთის მიჯნაზე.

მჭიდროდ არის დასახლებული დუშეთის პლატო და ქვაბულიც. სოფლების უმეტესობა პატარა, მთის ტიპისაა. საშუალო და დიდი სოფლები (ბაზალეთი, გარსიძანი) ცოტაა. დასახლება კომპაქტურია. საცხოვრებელი ბინები აქ, ისე როგორც თიანეთის ქვაბულში, ძირითადად ნათალი ქვით, ბლოკებითა და აგურითაა ნაშენი, კრამიტის ან თუნუქის გადახურვით. სახლების უმეტესობა ერთსართულიანია, თუმცა ბევრია ორსართულიანი, შედარებით კეთილმოწყობილი საცხოვრებლებიც.

თავისებური და მჭიდროდ დასახლებულია *ერწოს მთათაშორისი ქვაბული*, რომელიც 15 კმ სიგრძისა და 7 კმ სიგანის მეოთხეული რიყნართა და თიხნართა ამოვსებული ბრტყელი ვაკეა. მისი კალთები დაბალი და საშუალო სიმაღლის ეროზიული რელიეფით ხასიათდება. ქვაბულის რელიეფური და ნიადაგ-კლიმატური პირობები (ვაკე და სუსტად დახრილი მთისწინები, ზომიერი ჰავა, ნოყიერი შავმიწისებრი მდელოს ყავისფერი და ყომრალი ნიადაგები) უადრესად ხელსაყრელია სასოფლო განსახლებისთვის და მიწათმოქმედებისთვის. ამიტომაც, ოდესღაც ტყით დაფარული ტერიტორია ახლა სახნავ-სათეს ფართობებად არის გადაქცეული და მჭიდროდ დასახლებული.

ქვაბულში 20-ზე მეტი პატარა და საშუალო სოფელია გაშენებული (ჭარბობს პატარა სოფლები). საშუალო ხალხმრავალი სულ 8 სოფელია.

ქვაბულში დაახლოებით 4 ათასი კაცი ცხოვრობს. სოფლები განლაგებულია ქვაბულის ირგვლივ მთისწინეთისა და ვაკის მიჯნაზე, თვით ვაკის ფსკერზე კი სოფლები ძალზე ცოტაა.

ქვაბულში თავისებური *წრიული სასოფლო განსახლების ტიპი* ჩამოყალიბდა. საცხოვრებელი ბინები ქვით ან აგურით არის ნაშენი და კრამიტით ან თუნუქით დახურული. სახლები ერთ- ან ორსართულიანია. უმეტესობას ფართო აივნები აქვს. სოფლის შიდა ნაგებობები საშუალო სიმჭიდროვისაა. სოფლები ერთმანეთისგან მცირე მანძილით არის დაშორებული. შიდა დასახლება უსისტემოა: მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, პატარა ეზოებით. სახლთან ახლოს მოსახლეობას კარგად მოვლილი საკარმოდამო ნაკვეთები აქვს.

მოსახლეობა დასაქმებულია მიწათმოქმედებით. მოჰყავთ საგაზაფხულო ხორბალი, სიმინდი, ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურები, მოშენებულია ხეხილი. დაბალ ადგილებში ხარობს ვაზიც.

მნიშვნელოვანია მეცხოველეობა (როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ისე ცხვრისა და ღორის მოშენება).

XX საუკუნის 30-იან წლებში გამოცემული მსხვილმასშტაბიანი რუკიდან აშკარად ჩანს, თუ როგორ შემცირდა მთის სოფლების რაოდენობა, სოფლებისა, რომლებიც ახლა მხოლოდ ნანგრევებით, მიტოვებული საცხოვრებლებით და ტოპონიმებით შეიძლება აღვადგინოთ. მთა თანდათან დაიცალა. ეს საყოველთაო მოვლენაა, მაგრამ მოსახლეობის კლების ტემპი და რაოდენობა სხვადასხვანაირად ვლინდება ცალკეულ რეგიონში. მაგალითად, მთიულეთში, თუშ-ფშავეხეცსურეთთან შედარებით, მოსახლეობა უფრო შემორჩა, თუმცა ბუნებრივ-სოციალური პირობებით და რესურსებით ბევრად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მთიულეთის სოფლები საქართველოს სამხედრო გზით უკეთესად არიან დაკავშირებული როგორც ერთმანეთთან, ისე ბარის სოფლებთან, რაც მოსახლეობის ადგილზე დამაგრების ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს.

მთიულეთში ბოლო მონაცემებით 6000 კაცზე მეტი ცხოვრობს და 74 სოფლით წარმოდგენილ განსახლებას ქმნიან. ამ ტერიტორიის შედარებით მოხერხებული სატრანსპორტო მდებარეობა, შემორჩენილი მდიდარი არქიტექტურული მემკვიდრეობა (ეკლესიები, ციხესიმაგრეები, საკულტო ნაგებობები, კოშკები), რალა თქმა უნდა, მიმზიდველი ლანდშაფტი, მინერალურ-თერმული წყლები და კლიმატი საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით სერიოზულ რესურსს წარმოადგენს.

ზემოთ განხილული ქვერაიონებისა და მიკრორაიონებისგან განსხვავებით აქ დარგი შრომითი რესურსითაც უზრუნველყოფილი იქნება და დასაქმების კარგ შესაძლებლობას შექმნის.

ქეისი „ხევი“

სასოფლო განსახლების მნიშვნელოვანი რეგიონია *ხევი*. აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთის სასოფლო განსახლების თავისებურებით მას ბევრი არსებითი ნიშან-თვისება განასხვავებს თუშ-ფშავ-ხევსურეთისგან და ცალკე დახასიათებას იმსახურებს.

ხევი თანამედროვე ყაზბეგის რაიონის ტერიტორიას ემთხვევა და კავკასიონის ჩრდილოეთ კალთაზეა გაშლილი. ის უძველესი ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია. დ. მუსხელიშვილის მიხედვით, ხევი დამოწმებულია ე.წ. IV-V საუკუნეების სომხურ წყაროში „აშხარაცუეჰში“ („გეოგრაფია“). ქართულ წყაროებში, იმავე ავტორის მიხედვით, პირველად VI საუკუნეში მოიხსენიება „ეესტათი მცხეთელის მარტვილობა“-ში.

ხევი თერგის ზემო დინებაში მდებარეობს. საქართველოს დანარჩენი რეგიონებისაგან გამოყოფილია კავკასიონის მთავარი ქედით *მწვ. ზილგახოზიდან უღელტეხილ ბურსაჭირამდე*. დასავლეთის საზღვარი არღონ-თერგის წყალგამყოფს მიუყვება და ხევს ჩრდილო ოსეთისაგან (დვალეთის ქვაბულისაგან) ყოფს. ჩრდილოეთი საზღვარი, რომელიც ხევს ჩრდილო ოსეთის სხვა ნაწილებისაგან და ჩეჩნეთის (იჩქერიის) რესპუბლიკისაგან გამოჰყოფს, გვერდითი ქედის შემადგენელი ხოხისა და სხვა მასივების თხემებს ემთხვევა, დარიალს კვეთს სოფ. ლარსსა და სოფ. გველეთს შორის. აღმოსავლეთ საზღვარი გველისმთიდან თერგისა და ხევსურეთის არაგვის წყალგამყოფს მისდევს ბურსაჭირის უღელტეხილამდე. ამ საზღვრებში ის ყოველი მხრიდან მაღალი მთებით შემოფარგლული, თავისებური მაღალმთის ქვაბულია.

ტერიტორიის ძირითადი სივრცე სუბალპურ და ალპურ მდელოებს უჭირავს. ტყე აქ, ისე როგორც ხევსურეთში, ფაქტობრივად არ არის, შემორჩენილია მხოლოდ ხე-მცენარეულობის მეორადი დერევატები ხდისწყლისა და ყაზბეგის ხეობათა ქვემო ნაწილებში, უმთავრესად ფოთლოვანი ბუჩქნარების სახით და ზოგ ადგილებში მეორეული ტყე.

როცა ხევზე, მის ბუნებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ცხოველთა სამყაროც. აქ, კლდოვან მთებში, მინადრობს ჯიხვი და არჩვი.

რელიეფის თავისებურების გამო სასოფლო განსახლება ხევის ცალკეულ ადგილებში განსხვავებულია. ამიტომ, უმჯობესია, ის ხეობების მიხედვით აღვწეროთ. სოფლები განლაგებულია თერგისა და სნოსწყლის ხეობებში. თერგის

ხეობაში რამდენიმე განსხვავებული მონაკვეთია სოფელთა განლაგების დამახასიათებელი იერით. ეს მონაკვეთია თრუსოს ხეობა. აქ, ყველაზე ზემოთ მდებარე მონაკვეთზე, მდ. სივერტაუს შესართავამდე დასახლება არ არის. დასახლებისთვის რამდენადმე ხელსაყრელია და სოფლებიც განლაგებულია მდ. სივერტაუს ქვემოთ, სადაც ხეობა შედარებით ფართოა, ბრტყელი, ალუვიონით მოფენილი ფსკერით.

ბოლო დრომდე სოფლები განლაგებული იყო ხეობის კალთებზე, პატარა-პატარა დასახლებების სახით, ამჟამად კი თითქმის მთლიანად დაცლილია და მხოლოდ სეზონურ დასახლებებს წარმოადგენს.

თრუსოს ხეობის ქვედა მონაკვეთი 3-4 კმ სიგრძის ვიწრობა. ესაა კასრისხევის ვიწრო კლდეკარი, სადაც ტერიტორია უვარგისია დასახლებისთვის. მაგრამ „კასარას“ კლდეკარის შემდეგ, ე.ი. სოფ. კობის ქვემოთ, ხეობა ისევ ფართოვდება და განსახლებისთვის უფრო ხელსაყრელია.

ხევის რაიონში მიზანშეწონილად მივიჩნევთ *სამი ქვერაიონის* გამოყოფას:

ხევი. ადგილობრივი მცხოვრებნი და ლიტერატურული წყაროებიც ხევიში ზოგჯერ გულისხმობენ არა მთლიანად ხევს (ყაზბეგის რაიონს), არამედ მის ნაწილს, თერგის ხეობის მონაკვეთს სოფ. კობს (2000 მ ზ.დ.) ქვემოთ. ჩვენ ამ შემთხვევაში ხევს, როგორც გეოგრაფიულ ტოპონიმს, ვხმარობთ მისი ვიწრო მნიშვნელობით, თერგის ხეობაში ამ მონაკვეთის – ხევის გამოყოფა გამართლებულია როგორც განსახლების სასიათით, ისე სამეურნეო განვითარებისა და პერსპექტივების თვალსაზრისით.

კობი-ყაზბეგის მონაკვეთზე თერგის ტალევეგი დაბლდება და რაიონულ ცენტრთან ახლოს 1730 მ სიმაღლისაა. მთის პატარა სოფლები აქ უმეტესად განლაგებულია თერგის ხეობის ამალღებული მარცხენა ნაპირის ძველი გამოზიდვის კონუსებზე, რომლებიც მოვაკებულია. ამ მხრივ ტიპურია სოფ. *ყანობი*, აგრეთვე სოფ. *ხურთისი*.

სოფ. *ყანობი*ში, ოდნავ დახრილ ვაკეზე, მიჯრით ნაშენი ერთსართულიანი სახლები ჭარბობს. ამჟამად იქ რამდენიმე თანამედროვე საცხოვრებელი აშენებული, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით, ჩანს, იქ ძველი საცხოვრებლები ყოფილა გაბატონებული, რომლებშიც ადამიანებთან ერთად საქონელიც ცხოვრობდა.

სახლები ვულკანური მასალით ან აგურით არის ნაგები და გარედან მეტწილად ცემენტით არის შელესილი. შემორჩენილია შავი ფიქლებით ნაგები სახლებიც, რომლებიც ცემენტისა და შემაკავშირებელი მასალის გარეშეა აშენებული, რაც ამ ქვერაიონის განსახლების ერთ-ერთ გამორჩეულ თავისებურებას წარმოადგენს.

თერგის მარჯვენა მხარეზე სოფლები, მარცხენა მხარის სოფლებთან შედარებით, დაბალზე მდებარეობს. *განსახლების ტიპი* ძირითადად *ხაზობრივია*: სოფ. ვარდისუბნიდან დაწყებული, სოფ. არხოტამდე დასახლებები ერთმანეთთან იმდენად ახლოს არის, რომ მათ შორის საზღვრის გარკვევა ძნელია, იქმნება სასოფლო აგლომერაცია.

შედარებით დიდი და კომპაქტური დასახლებაა სოფ. სიონი (384 კვ., 2002 წ. აღწერით). ყაზბეგის რაიონული ცენტრის შემდეგ ის ერთ-ერთი გამორჩეული სოფელია. სახლები ახლო-ახლო დგას, ნაშენებია მხოლოდ ნათალი ქვის მასალით და აგურით ან ბლოკით. ცხადია, ეს არ წარმოადგენს მთის ადრეულ სახლებს; მშენებლობის ეს კულტურა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დამკვიდრდა. საცხოვრებელი სახლები აქაც უმეტესად ერთსართულიანია, იშვიათად „ბელეტაჟით“.

საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ არის გაშენებული აგრეთვე სოფ. გარბანი და სოფ. არშა. სამოციან წლებში სოფ. არშაში ანდუზიტის მოპოვება სოფლის მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

სნოსწყლის ხეობა, ანუ სნო, ზოგიერთ წყაროში და რუკებზე შავი არაგვის სახელით მოიხსენიება. სნოსწყალი მდ. თერგის მარჯვენა შენაკადია.

განსახლების თავისებურება განაპირობა ხეობის ბუნებრივმა პირობებმა. აქ ორი მონაკვეთი გამოირჩევა: ადგილ ნადარბაზევიდან ქვემოთ სნოს ხეობა შესართავამდე ფართოა, ფსკერი ალუვიონით არის დაფარული. ფაქტობრივად მდინარეული აკუმულაციის შედეგად შექმნილი ვაკეა. ისე, როგორც თრუსოს ხეობა, სნოსწყლის ხეობაც ქვაბულს მოგვაგონებს. განსაკუთრებით ფართოა დელტური ვაკე, რომლის აბსოლუტური სიმაღლე 1750 მ-ის ფარგლებშია.

სნოს ხეობაში ტყეები არ არის. ტირიფის, არყისა და ცირცელის ბუჩქნარები აქა-იქაა შემორჩენილი ჩრდილო ექსპოზიციის ფერდობებზე.

ხეობაში სულ 7 სოფელია, ერთმანეთისგან დიდ მანძილზე დაშორებული. ახასიათებთ *კომპაქტური დასახლება* და განლაგებულია არა უშუალოდ ალუვიურ ვაკეზე, არამედ მთის ქვემო კალთაზე. სნოსწყლის მარჯვენა ნაპირას (ნადარბაზევის ზემოთ ჯუთისწყლად მოიხსენიება) მდებარეობს ხევსურებით დასახლებული მთის პატარა სოფელი *ჯუთა* (62 კვ., 2002 წ.), რომელიც ვიწრო ხეობაშია „ჩაჭვდილი“.

სრულიად განცალკევებულია *ართხმო* – ართხმოსწყლის (სნოსწყლის შენაკადი) ვიწრო, ზემო ხეობაში მდებარე მთის ტიპური სოფელი.

სნოს ხეობის საცხოვრებელი სახლები ქვის ნათალი მასალითა და ცემენტის ან კირის ხსნარით არის ნაგები. გეხვდება შავი თიხა-ფიქლებით ნაშენი სახლები ფიქლისვე სახურავით, ასევე ბანიანი საცხოვრებლებიც.

საკუთრივ ხევის ფარგლებში, ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს რაიონული ცენტრი ყაზბეგი (სტეფანწმინდა), რომელთანაც შერწყმულია ხევის ერთ-ერთი უძველესი სოფელი გერგეთი. ის საბაწმინდის მთის კალთაზე ამფითეატრისებურად პაღლდება და კომპაქტურადაა დასახლებული. გამორჩეულია თანამედროვე სტილით ნაშენი სახლებით. გერგეტს, ისე როგორც სტეფანწმინდას, თავზე დასცქერის თეთრად მოქათათე ბუზბერაზი, „ხევის პატარძლად“ წოდებული მცინვარწვერი.

დარიალის მიკრორაიონი, ანუ დარიალის ხეობა, ყაზბეგის რაიონის ფარგლებში განსაკუთრებულია თავისი ბუნებით, ისტორიით და განსახლების ხასიათით. მსოფლიოში ცნობილი დარიალის კლდეკარი ბოხოქარი, დაუღვარი მდ. ჩხერის შესართავთან იწყება და 11 კმ სიგრძისაა. მკაცრი და კლდოვანი ადგილია დარიალის ის მონაკვეთი, რომელიც მდ. ყაბაზისა (დედგორაკისწყლის) და ხდისწყლის შესართავს შორის გრანიტებში არის ჩაჭრილი, სადაც თამარის ციხეა აგებული.

დარიალის ხეობაში, როგორც ცნობილია, უხსოვარი დროიდან გადიოდა გზა, რომლითაც ამიერკავკასია (და ცხადია, საქართველო) უკავშირდებოდა ჩრდილო კავკასიას და მის გადაღმა მხარეებს.

დარიალს განსახლებისათვის უეარგის ტერიტორიად ვაფასებთ, რადგან თვალუწვდენელ შიშველ კლდეებში ჩაჭედილ თერგის ხეობას აქ საამისო ადგილები არ გააჩნია. დარიალის ხეობაში, მარცხენა მხარეს, გზის გაყოლებით ორი პატარა სოფელია: ცდო (28 კვ.) და გველეთი (1 კვ.), რომლებიც ერთმანეთისაგან 1,5-2 კმ არის დაშორებული.

მთლიანად ხევის რაიონში 45 დასახლებული პუნქტია. ამ რაიონის ფართობი 1081,7 კმ² შეადგენს, რომლის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 4,9 კვ-ია 1 კმ²-ზე. მოსახლეობის საერთო რაოდენობა კი 2002 წლის მონაცემებით 5261 კაცია. 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, მოსახლეობის რაოდენობა აქ 1108 კაცით შემცირდა. 2002 წლის აღწერის მონაცემებით დაფიქსირებული 162 უკაცრიელი სოფლიდან მცხეთა-მთიანეთის მხარეზე მოდის 63 სოფელი და ამ მხარეში ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით სწორედ ყაზბეგის ადმინისტრაციული რაიონი გამოირჩევა (20 გაუკაცრიელებული სოფელი). ამ სოფელთაგან 15 კობის თემის საკრებულოს სოფლებია, რომლის ძირითად მოსახლეობას ოსი ეროვნების ადამიანები წარმოადგენენ (!).

ჩვენი ტიპოლოგიით რაიონის სოფლების აბსოლუტური უმრავლესობა (25 კაცამდე, 26-50 კაცამდე, 51-100 კაცამდე, 101-200 კაცამდე) პატარა სოფლების

კატეგორიას მიეკუთვნება. გამონაკლისებია – გორისციხე (283 კვ.), სიონი (384 კვ.), არშა (585 კვ.), გარბანი (342 კვ.), სნო (418 კვ.) და აჩხოტი (251 კვ.), რომელთაც საშუალო სოფლებს ვაკუთვნებთ.

ჩვენ მიერ გაანგარიშებული მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის ხარისხი (მობილურობის მაჩვენებელი), რომლის თანახმად ყაზბეგის რაიონი მივაკუთვნეთ რაიონს მობილურობის საშუალო მაჩვენებლით – 10-20 კაცამდე (ყოველ 1000 კაცზე).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, განსახლების სისტემის ჩამომაყალიბებელ ფაქტორთა ერთობლიობით რაიონის განსახლების ტიპს – *კომპაქტური*, მაღალი შიდა სიმჭიდროვით გამორჩეული სოფლები ქმნიან (ცხადია, არ ვგულისხმობთ 1-6-კაციან სოფლებს).

სოფლებს, როგორც უკვე აღინიშნა, სახნავ-სათესად მცირე ფართობები აქვს. ასეთი მიწებია სნოსწყლის ხეობაში, საკუთრივ ხევში, მეტად მცირე რაოდენობით თრუსოს ხეობაში და ყოველი მათგანი გამოზიდვის ძველ კონუსებზე და მდინარეთა მაღალ ტერასებზეა.

მცირე ფართობზეა გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი და ქერი. კარგად ხარობს და უხვმოსავლიანია კარტოფილიც. ზოგჯერ სოფლების მახლობლად (გერგეტი, ფანშეთი, თოთი და სხვ.) შექმნილია ხელოვნური ტერასები დამხმარე მეურნეობისათვის. ძირითადად კი, ამ რეგიონისათვის ოდითგანვე დამახასიათებელია მესაქონლეობა, რომელსაც სარძეო-სახორცე მიმართულება აქვს. მოშენებული ჰყავთ აგრეთვე ცხვარი.

რეგიონის სამეურნეო განვითარება მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობით უნდა მოხდეს. ეკონომიკას დიდად გააძლიერებს არსებული წიაღისეულის (მინერალური წყლები, ანდეზიტი, სამშენებლო მასალები და სხვ.) ათვისება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს *რეკრეაციული მეურნეობის განვითარებას*. აქაური ისტორიულ-კულტურული ძეგლები, შესანიშნავი ლანდშაფტი, სუფთა ჰაერი, მინერალური წყლები საკურორტო და ტურისტული მეურნეობის განვითარების სერიოზული რესურსებია.

ხევში ასევე მნიშვნელოვანი ობიექტებია ეთნოგრაფიული, სათავგადასავლო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ „ხევის პატარძალი“ (მყნეარწვერი) და გულაური. ეს უკანასკნელი კავკასიონის გადმოდმა მდებარე სოფელია შესანიშნავი სათხილამურო ტრასებით, რაც ზამთრის ტურიზმის მოყვარულთა მიზიდვის ძალადგილი ბაზაა.

მიუხედავად იმისა, რომ გუდაური უკვე ძალზე პოპულარული ადგილია როგორც ზამთრის სპორტის მოყვარულთათვის, ისე დამსვენებლებისათვის, შიდა ტურისტთა და დამსვენებელთა ხეღრითი წილი ჭარბობს უცხოელებს, პოტენცია კი ბევრად მეტი აქვს.

დარგის განვითარების არაჩვეულებრივი პოტენციური რესურსებია ხევის გამორჩეული ციხესიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები, გერგეტის ჩანჩქერი, ბეთლემის გამოქვაბული და სხვა.

ხევის სოფლების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გზებს. ხევი, როგორც ცნობილია, ბარის ზონას საქართველოს სამხედრო გზით უკავშირდება, მაგრამ ზამთრის პერიოდში გზები ხშირად ჩაკეტილია ღიბთოვლობის გამო. ხევის მოსახლეობა ამავე გზით უკავშირდება ჩრდილო ოსეთს.

სხვადასხვა დროს კავკასიონის საუღელტეხილო მონაკვეთზე გაკეთდა თოვლ- და ზვავსაწინააღმდეგო გვირაბები და ღერეფნები, მაგრამ ისინი ამჟამად არ ფუნქციონირებენ და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ.

დარიალის გზაც ხშირად არის დაზიანებული მთებიდან გამოტანილი უხვი ღორღითა და ლოდებით.

ქეისი „ჯაგა“

ჯაგა მოიცავს დიდი ლიხავის ხეობის შუა აუზს სოფ. დამეტას (ახლა ნანსოფლარია) ქვემოთ. ხეობა დიდ მანძილზე ვიწროა, ტყიანი, დასახლებებისთვის მეტწილად უევარგისი. დაახლოებით 15 კმ მანძილზე ხეობაში 13 სოფელია დასახლებული. მათგან შედარებით მოზრდილია სოფ. ვანელი (37 კვ.), დანარჩენში მხოლოდ 5-6 კაცი ცხოვრობს.

სოფელ როკათას ქვემოთ, ჯავის მიმართულებით უფრო ხშირია დასახლებები. მცირე სოფლების გვერდით საშუალო სოფლებიც გვხვდება. განსაკუთრებით ხშირია დასახლება ჯავის ქვაბულში, სადაც ამჟამად საშუალო სოფლები ჭარბობს. ისინი ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული. საცხოვრებელი სახლები სხვადასხვა სახის მასალით – ხით, აგურით, ბლოკით, თლილი ქვით არის ნაშენი. სახლები ერთ- და ზოგან ორსართულიანია.

მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია მეცხოველეობაში. იქ, სადაც შესაძლებელია, მისდევენ მიწათმოქმედებასაც. მოჰყავთ ქერი, კარტოფილი, სიმინდი; ნაწილობრივ განვითარებულია მეხილეობა.

დამოუკიდებლად შეიძლება იქნეს განხილული ერწოს მაღალმთიანი, ვაკე-ფსკერიანი ქვაბული, რომელიც მდ. ყვირილას ზემოწელში მდებარეობს, გარშემორტყმულია მთებით, დასავლეთით და აღმოსავლეთით წაგრძელებულია. დასავლეთ ნაწილს წონის ქვაბულს ეძახიან, აღმოსავლეთისას – ერწოს. სოფლები განლაგებულია ქვაბულის კიდეებზე და იქმნება თავისებური ჩაკეტილი წრე მცირე და საშუალო დასახლებებით.

სახნაჲ-სათესი ფართობების საკმაო რაოდენობის გამო, აქ ნაწილობრივ განვითარებულია მემინდვრეობა. მეურნეობის ძირითადი დარგია მეცხოველეობა.

ქვაბულში სულ 9 მცირე და საშუალო ოსური სოფელია, რომლებიც უგზობობის გამო სუსტად არის დაკავშირებული გარე სამყაროსთან. კლიმატური პირობების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ბინები უმეტესად ქვისაგან არის ნაგები, ძირითადად ერთსართულიანი, ზოგან საქონლის სადგომის მიშენებით (ჯავის ადმინისტრაციული რაიონი 2002 წლის აღწერის მასალებში არ გვხვდება. ამდენად, მონაცემები ეყრდნობა 1989 წ. მასალებს.)

ქეისი „წალკა-დმანისი“

წალკა-დმანისის ტერიტორიის სოფლები განლაგებულია ძირითადად წალკის ქვაბულის, გომარეთისა და დმანისის პლატოებზე, საშუალოდ 800 და 1400-1600 მ (ზ.დ.) ფარგლებში. ამ ქვერაიონის ტერიტორია ძირითადად ემთხვევა წალკისა და დმანისის ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებს და მთლიანად 2249,4 კმ²-ზე ვრცელდება (აქედან, დმანისის რაიონი – 1198,8 კმ², წალკის რაიონი – 1050,6 კმ²).

ქვერაიონის განსახლების ქსელი 102 სოფლით არის წარმოდგენილი. აღნიშნულ სივრცეში სულ 48922 კაცი ცხოვრობს.

მოსახლეობის სიმჭიდროვე ქვერაიონში 21,7 კაცს შეადგენს და საკვლევი ტერიტორიის საშუალო სიმჭიდროვეზე (18,3 კვ. 1კმ²-ზე) მაღალია.

განსახლების ქსელს ამ ქვერაიონში, ჩვენი ტიპოლოგიის თანახმად, ძირითადად საშუალო (200-500 კვ.-მდე; 501-100კვ.-მდე) სოფლები ქმნის, რომელთა ხვედრითი წილი 82,4 %-ს შეადგენს; მცირეა 100 კაცამდე მცხოვრებით დასახლებათა ხვედრითი წილი (17,6 %); უმცირესი (10 კაცზე ნაკლები) სოფლების რიცხვი სულ 2-ია, თუმცა გვხვდება გაუკაცრიელებული დასახლებებიც (*კაკლიანი, ფიჭვებისხევი, ჯოჯიანი* – დმანისის რაიონში, გომარეთის თემის საკრებულოში; *აქენდა, მინზასქენდი* – წალკის რაიონში).

მოსახლეობის ბოლო ორი აღწერის მასალის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოსახლეობის კლების ყველაზე მაღალი ტენდენცია სწორედ აქ შეინიშნება. კერძოდ, დმანისის რაიონში – 23,8 ათასი კაცი; წალკის რაიონში – 23,5 ათასი კაცი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ საკვლევი ტერიტორიაზე მოსახლეობა ამავე პერიოდისათვის 99,9 ათასი კაცით შემცირდა, ამ ქვერაიონის მოსახლეობის კლების მაჩვენებელმა 47,3 % შეადგინა, რაც ძალზე მაღალი მაჩვენებელია.

თ. გუგუშვილის მონაცემებით ემიგრაციული პროცესები დმანისის რაიონში განსაკუთრებით აქტიური იყო 1989-1991 წლებში. ამ დროს ემიგრაციის მსურველი აზერბაიჯანელებისგან მასობრივად მიმდინარეობდა სახლების შესყიდვა ეკოლოგიური მიგრანტებისთვის სვანეთიდან და აჭარადან. შესყიდულ იქნა 300-ზე მეტი სახლი სოფ. *ირვინჩაიში, სოფ. ოროზმანში, სოფ. დაღარში, სოფ. საღამალეიქში* (მ.შ., საღამალეიქი მთლიანად). მეცნიერის გამოკვლევით ამ სახლებში სტიქიისგან დაზარალებულნი არ ჩანსახლებულან და სახლების უმრავლესობა აზერბაიჯანელებმა დაიკავეს; ბევრი სახლი გაიძარცვა და განადგურდა.

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ თ. გუგუშვილის დასკვნას იმის თაობაზე, რომ ანარქიამ მიგრაციული პროცესების პოლიტიკაში „1992 წლის შემდგომ ბიძგი მისცა აზერბაიჯანელთა უკუმიგრაციას.“

აღსანიშნავია ისიც, რომ განსაკუთრებით თვალსაყვამია ქალაქის მოსახლეობის შემცირების ინტენსივობა და ტენდენცია, რაც საკვლევი ტერიტორიის ქალაქის მოსახლეობის კლების მაჩვენებლის 33,5 %-ს შეადგენს. 1989–2002 წლებში ქ. დმანისის მოსახლეობა 5,1 ათასი კაცით შემცირდა, ხოლო წალკის – 8,0 ათასი კაცით.

ქვერაიონის ურბანიზაციის დონე ყოველთვის დაბალი იყო, თუმცა მოსახლეობის შემცირების ნაცვლად აქ სტაბილურად ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც ქვერაიონის ეთნიკურ–რელიგიური თავისებურებით აიხსნებოდა.

2002 წლის აღწერის მონაცემებით დმანისის რაიონში ეთნიკურ უმრავლესობას შეადგენდნენ აზერბაიჯანლები (74,4 %); წალკაში სომხები (60,7 %), ბერძენები (17,2 %), აზერბაიჯანლები (10,5 %). თუ აღნიშნული თავისებურება მოსახლეობის მაღალი შობადობის ერთ–ერთი ძირითადი მიზეზი იყო, დღეს იგივე თავისებურება შეიძლება მოსახლეობის ამგვარი მკვეთრი შემცირების ძირითად მიზეზად ჩაითვალოს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საყოველთაო (და განსაკუთრებით კი მთიან რაიონებში) სოციალურ–ეკონომიკურ ფონს, შრომის გამოყენების სფეროს შეზღუდულობას, რაც იდენტურია თითქმის მთელი საკვლევი ტერიტორიისათვის, ამ რაიონების მოსახლეობის კლების საფუძველი არაქართველი მოსახლეობის მასობრივი მიგრაციაა. მიგრაცია კი, რომელშიც ძირითადად ფერტილური ასაკის ადამიანები არიან ჩართულნი, თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს რაიონის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებზე.

ქვერაიონში სოფლები *დისპერსიული განლაგებისაა*, მაგრამ მაინც შეინიშნება *ჯგუფური კერების* არსებობაც. ასეთია გომარეთის (ზურტაკეტის) პლატოს სოფლების ჯგუფი. პლატო 11 კმ სიგრძისა და 5 კმ სიგანის ბრტყელი ვაკეა, რომელიც საშუალოდ 1200–1300 მ (ზ.დ.) სიმაღლეზეა გაშლილი. ის მთის ნოყიერი შავმიწებით არის დაფარული და მაქსიმალურად ათვისებული.

დამახასიათებელია, რომ პლატოს შიგა ტერიტორიაზე არც ერთი სოფელი არ არის გაშენებული. ისინი მის კიდეებზეა განლაგებული და, ამგვარად, თავისებური *წრიული* განსახლება იქმნება, რაც 10 სოფლისაგან შედგება, მცხოვრებთა საერთო რაოდენობით 3570 კაცი.

აქ არის უძველესი ქართული სოფელი *დიდი გომარეთი* (802 კვ.), რომელიც ყველაზე ხალხმრავალია ამ ჯგუფში, თუმცა 1989 წლის აღწერით აქ 2203 კაცი ცხოვრობდა.

სოფელში და მის მახლობლად შემორჩენილია ფეოდალური ხანის ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი – დარბაზული ეკლესიები, ქვა-სვეტები და სხვა.

ქართული სოფლებია აგრეთვე *პატარა გომარეთი* (174 კვ.), *მამულა* (80 კვ.), *ახა* (93 კვ.). სოფლების ამ ჯგუფში გვხვდება სამი ბერძნული სოფელი – *სოფ. სარკინეთი* (მოსახლეობის რაოდენობა 797 კაციდან შემცირდა 63-მდე), *სოფ. განახლება* (549 კაციდან 33 კაცამდე), *სოფ. ველისპირი* (421 კაციდან 64 კაცამდე); აქვეა აზერბაიჯანლებით დასახლებული ხალხმრავალი სოფლები – *სოფ. ქვემო ყარაბულაღი* (939 კაციდან 333 კაცამდე), *სოფ. ყოზილაჯლო* (632 კაციდან 341 კაცამდე) და სხვა.

ბევრი სოფელია გაშენებული დმანისის პლატოზე, ოდნავ დაბორცვილ ვაკეზე, რომელიც საშუალოდ 1000–1200 მ (ზ.დ.) სიმაღლეზეა გაშლილი. ეს ტერიტორიაც ვარგისია დასახლებისათვის და სამეურნეო ათვისებისათვის. აქ წალკა-დმანისის ქვერაიონის 17-ზე მეტი სოფელია შორი-შორ მანძილზე მიმოხეული. აქვეა რაიონული ცენტრი *ქ. დმანისი*, 3427 მცხოვრებით.

ხალხმრავლობის მიხედვით დმანისის პლატოზე საშუალო და დიდი სოფლებია. ამ ჯგუფში ქართველებით დასახლებული მხოლოდ 4 სოფელია (*დიდი დმანისი* – 871 კვ., *პატარა დმანისი* – 169 კვ., *ჯავახი* – 628 კვ., *განთიადი* – 816 კვ.). დანარჩენი კი აზერბაიჯანული სოფლებით არის წარმოდგენილი, თითოეულში 200–დან 1260 კაცამდე მცხოვრებით. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ამ ადგილებში ჩაასახლეს სვანები, ე.წ. ეკოლოგიური მიგრანტები.

დმანისის ჯგუფის სოფლებიდან 12–13 კმ დაშორებით მდებარეობს ქვერაიონის ყველაზე ხალხმრავალი სოფელი *ირგანჩაი* (2678 კვ.). მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა აზერბაიჯანელია. სოფელი გაშენებულია 1660 მ (ზ.დ.) სიმაღლეზე, ლოქის ქედის გადაღმა, სამხრეთით, ძალზე ნოყიერ და იდეალურ ვაკეზე, პირძველ ქართულ მიწა-წყალზე – ლორეს ვაკეზე, რომლის მეტი ნაწილი ისტორიული ბედუქუმართობის გამო სომხეთის ფარგლებშია მოქცეული.

წალკა-დმანისის ქვერაიონის ჩრდილოეთ ნაწილში სოფლები გაშენებულია *ბარეთის ვაკეზე* (ბარეთის ტბის ახლოს), *წალკის ქვაბულსა* და *წალკის წყალსაცავის* ირგვლივ, ვაკე სანაპიროზე და *მდ. ქციის ვაკეზე* (*ნარიანის ქვაბული*). აღნიშნული ტერიტორიები ნოყიერი შავმიწებით და მდელოს ნიადაგებით არის დაფარული და დასახლებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ხელსაყრელია, თუმცა მაღალი მდებარეობისა (საშუალოდ 1400–1600მ ზ.დ.) და მკაცრი ჰავის გამო ყველა სასოფლო სამეურნეო კულტურა აქ არ ხარობს.

წალკა-დმანისის ქვერაიონის ამ ნაწილში 35-ზე მეტი სოფელია გაშენებული, რომელთა უმრავლესობა ხალხმრავალია. ამ საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ქართველებით დასახლებულია მხოლოდ ერთადერთი სოფელი – რეხა. ის მდ. ქციის შენაკად მდ. ტუსრების ხეობაშია 1600 მ (ზ.დ.) გაშენებული და 525 მუდმივ მცხოვრებს ითვლის. უნდა შევნიშნოთ, რომ სოფ. რეხას, მიუხედავად იქ არსებული მკაცრი ბუნებრივი (კლიმატური) პირობებისა, მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი სალდო არ ახასიათებს. მოსახლეობა მამაპაპეულ კარმიდამოს არ ტოვებს და ყოველმხრივ ცდილობს მის აღორძინებას.

საკვირო და აუცილებელია ყურადღება მიექცეს წალკა-დმანისის ქვერაიონის ამ „ობოლ“ სოფელს – რეხას.

წალკის ქვაბულშივე (1520 მ ზ. დ.), წყალსაცავის აღმოსავლეთი ნაპირის ახლოს გაშენებულია ქ. წალკა, რომლის მოსახლეობა 2411 კაცს უდრის და სადაც ბერძნები მოსახლეობის 9/10-ზე მეტს შეადგენენ. ბოლო 15 წლის განმავლობაში ამ ქალაქის მოსახლეობა 8 ათასი კაცით შემცირდა.

ქვერაიონის ტერიტორიაზე, მდ. ხრამის ვიწრო ხეობაში მდებარეობს დაბა თრიალეთი (88 კვ.) და დაბა ხრამქვისი (აღრე – ბელიანი, 118 კვ.), რომელთა სამეურნეო ფუნქციას შეადგენდა მრეწველობა (სოფლის მეურნეობით). ამ დაბების ფუნქციურმა „კვდომამ“ მოსახლეობის მკვეთრი კლება გამოიწვია. ჯერ კიდევ 12 წლის წინ თრიალეთში 3838 კაცი ცხოვრობდა, ბელიანში კი 511.

წალკა-დმანისის ქვერაიონის სოფლებში ქვისაგან ნაგები სახლებია, ერთ-და-ორსართულიანი. სოფლებში სახლები უსისტემოდ არის განლაგებული, ქუჩები ვიწროა. სოფლებს შორის კავშირი საკმაოდ ინტენსიურია.

წალკა-დმანისის ქვერაიონის სოფლებს სახნავ-სათესი ფართობები საკმაოდ აქვს (მთის ნოყიერი შავმიწები). მოსახლეობა მისდევს მიწათმოქმედებას – თესენ კარტოფილს, რომელიც კარგ და უხვ მოსავალს იძლევა. მოჰყავთ საგაზაფხულო ხორბალი და დაბალ ადგილებში სიმინდი. ზოგიერთ სოფელში ხეხილიც ხარობს. ამასთან, ქვერაიონი მდიდარია სათიბ-საძოვრებით, რაც ხელს უწყობს მესაქონლეობის განვითარებას. ამ მხრივ ქვერაიონი საქართველოში ერთ-ერთი მძლავრი მესაქონლეობის რაიონია. ამრავლებენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რომელსაც სარძეო-სახორცე მიმართულება აქვს.

ქვერაიონის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია მეფუტკრეობა.

წალკა-დმანისის ქვერაიონის სასოფლო განსახლების განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას დიდად შეუწყობს ხელს მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის განახლება, რომელიც დღეისათვის არ ფუნქციონირებს.

ქეისი „ნინოწმინდა-ახალქალაქი“

ნინოწმინდა-ახალქალაქის ტერიტორია ვრცელდება და მოიცავს სამსარ-ჯავახეთის ქედების დასავლეთით ზემო მტკვრის ხეობას მესხეთამდე. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ კი თრიალეთის ქედიდან თურქეთთან სახელმწიფო საზღვრამდე ვრცელდება. ეს არის მაღალზე აზიდული ზეგანი, სადაც რელიეფში მონაცვლეობს ვულკანური გენეზისის მთები, ქვაბულები, ვრცელი, ბრტყელი და ზოგან დაბორცვილი ვაკეები, რომლებიც დასერილია მდინარეთა ხეობებით.

ეს ქვერაიონი, ისე როგორც წალკა-დმანისისა, მთის ნოყიერი შავმიწებით არის დაფარული და თითქმის სრულიად უტყვეოა. მთიანი პლატოების მაღალი ზვედრითი წილი რელიეფში ხელსაყრელ პირობებს ქმნის განსახლებისათვის, მაგრამ წინა ქვერაიონთან შედარებით, აქ ჰავა უფრო მკაცრია. ჯავახეთის ამ ნაწილს ზოგჯერ „საქართველოს ციმბირსაც“ უწოდებენ.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით აღნიშნული ქვერაიონის ტერიტორია ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების ტერიტორიის ჩარჩოშია მოქცეული, რაც 2585 კმ²-ს შეადგენს. ტერიტორიაზე 95,3 ათასი კაცი ცხოვრობს, რაც მთელი საქველვე არეალის მოსახლეობის 22,4 % შეადგენს და ყველაზე ხალხმრავალია. ტერიტორიის დასახლებულობის საშუალო სიმჭიდროვე დაბალია და 4,1 კაცს შეადგენს 1 კმ²-ზე.

განსახლების ქსელს ქვერაიონში 97 დასახლებული პუნქტი ქმნის, მათ შორის, 2 საქალაქო დასახლებაა. ქვერაიონის განსახლების თავისებურებებს დასახლებათა აბსოლუტური უმრავლესობის საშუალო და დიდი ხალხმრავლობა წარმოადგენს. აქ, განსხვავებით სხვა ზემოაღნიშნული რაიონებისაგან, არ გვხვდება გაუთვარიელებული დასახლება და უმცირესი კატეგორიის (10 კვ.-მდე) სოფლები.

სიდიდით გამოირჩევა შემდეგი სოფლები: ახალქალაქის რაიონში – სოფ. დილისკა (2890 კვ.), სოფ. ხანდო (2539 კვ.), სოფ. კუშურდო (2475 კვ.), სოფ. კარტიკაში (2017 კვ.); ნინოწმინდის რაიონში – სოფ. განძანი (3660 კვ.), სოფ. ეშტია (3082 კვ.), სოფ. სათხე (2222 კვ.), სოფ. ფოკა (2007 კვ.).

დადასტურებულია, რომ, რაც უფრო დიდია დასახლებული პუნქტი, მით უფრო ნაკლებად კარგავს ის თავის მოსახლეობას. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის შემცირებას ტენდენციას ამ ქვერაიონშიც აქვს ადგილი, კერძოდ, ბოლო ორი აღწერის მასალის შედარებითი ანალიზით ჩანს, რომ ქვერაიონის მოსახლეობა 17,7 ათასი კაცით შემცირდა, რაც ამავე ქვერაიონის მოსახლეობის 18,6 %-ს შეადგენს. ყურადღებას იქცევს არა მარტო სოფლის, არამედ ქალაქის მოსახლეობის კლების ტემპიც. მაგალითად, ქ. ახალქალაქის მოსახლეობა აღნიშნული

პერიოდისათვის თითქმის განახევრდა, თუმცა ქ. ნინოწმინდაში ეს პროცესი ნაკლებ ინტენსიურია (სულ 657 კც.).

ჩვენი გაანგარიშებით ამ ქვერაიონის მოსახლეობის მობილობის მაჩვენებელი 20 კაცია ყოველ 1000 მოსახლეზე. მოსახლეობის მობილობის ზრდა აქ მხოლოდ ბოლო 10-12 წლის განმავლობაში შეიმჩნევა, რაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით აიხსნება.

განსხვავებით ჩრდილო მთიანი ზონისაგან, რომლის მოსახლეობა ძირითადად ბარის ზონისაკენ მიილტვის, ქვერაიონის მოსახლეობა, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას (95,5 %) სომხები შეადგენენ, ტოვებენ რესპუბლიკის ფარგლებს და ყოფითი პირობების გაუმჯობესებისათვის მეზობელ სომხეთში გადადიან საცხოვრებლად.

ქვერაიონის ურბანიზებულიობის დონე დაბალია. აქ არსებული ორი ქალაქი ფაქტობრივად მხოლოდ ადმინისტრაციულ ფუნქციას ასრულებს და, არა თუ ვერ იზიდავს სოფლებიდან მაცხოვრებლებს, თავად კარგავს მოსახლეობას.

ნინოწმინდა-ახალქალაქის ქვერაიონის სოფლების დასახლებისათვის გამოყენებულია ძირითადად ახალქალაქის ვაკე და იქ არსებული ტბების – ტაბაწყურის, ფარაენის, მადას, ხანჯალის, საღამოს და სხვათა ნაპირების მოვაკებანი.

ქვერაიონში სულ 13 ტბისპირა სოფელია გაშენებული, მათგან 5 სოფელი – ფარაენის ტბის პირას, 2 სოფელი საღამოს ტბის ნაპირზე, 3 სოფელი – ტბა მადას პირას, 1 სოფელი – ტბა ხანჯალის პირას, 2 სოფელი – ტბა ტაბაწყურთან.

ეროვნული შემადგენლობის მიხედვით 11 სოფელი სომხებითაა დასახლებული და ორი რუსებით. სოფლების უმეტესობა, ჩვენი ტიპოლოგიით, საშუალო და დიდი. ყველაზე დიდი სოფელია საღამოს ტბის პირას გაშენებული სოფ. განძანი.

ტბისპირა სოფლები ერთმანეთისაგან დაშორებითაა განლაგებული. საცხოვრებელი ბინები მხოლოდ ქვისაგან არის აგებული და ერთსართულიანია. შიგა განაშენიანება საშუალო სიმჭიდროვისაა.

სოფლების მთავარი ფუნქცია მესაქონლეობაა (მზეილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება), რომელიც სარძეო-სახორცე მიმართულებისაა. მიწათმოქმედებაში ძირითადია საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები. ჰაეის მკაცრი პირობების გამო ხეხილი და საერთოდ მრავალწლიანი კულტურები არ არის განვითარებული. ტბისპირა სოფლების მოსახლეობა, განსაკუთრებით რუსები, მისდევენ წყლისმოყვარე ფრინველების ფართოდ მოშენებას და მელორეობას. სოფლებს შორის კავშირი დამაკმაყოფილებელია.

სასოფლო დასახლებათა მოზრდილი ჯგუფია ნინოწმინდის რაიონში. მისი აბსოლუტური სიმაღლე 1800 მ-დან 2200 მ-მდე მერყეობს. ვაკე დაფარულია მდელოს და მთის შავმიწებით, რელიეფი დასახლებისათვის ხელსაყრელია, მაგრამ

მაღალი მდებარეობის გამო ჰავა მკაცრია, რაც ზღუდავს რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურის გავრცელებას.

აქ ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე დაშორებული 14 სოფელია გაბნეული. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1279 კაცს აღწევს. რუსული მოსახლეობით (დუხობორებით) დასახლებულია 4 სოფელი, დანარჩენი 10 სოფელი სომეხი ეროვნების ადამიანებით არის დასახლებული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯავახეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში კომპაქტურად სახლდებოდნენ თურქეთიდან დევნილი სომხები და რუსეთის იმპერიის შიგა რაიონებიდან გასახლებული სექტანტები (დუხობორები). 1988-1991 წლებში ნინოწმინდის რაიონის გორელოვის მაშინდელი სასოფლო საბჭოდან ემიგრაციის მსურველი დუხობორებისგან შესყიდულ იქნა 113 სახლი, ვინაიდან ისინი თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობას ითხოვდნენ. ემიგრაციის აქტიური მონაწილეები ახალგაზრდები იყვნენ.

ამ პროცესების შედეგად აღნიშნულ რაიონში საგრძნობლად გაიზარდა ქართველთა (განსაკუთრებით აჭარის ეკომიგრანტთა) ხვედრილი წილი.

ამავე ვაკეზე, 1940 მ (ზ.დ.) სიმაღლეზე მდებარეობს ქ. ნინოწმინდა, რომელთანაც ფაქტობრივად შერწყმულია სოფ. ზოჯაბეგი. ქ. ნინოწმინდაში 6287 კაცი ცხოვრობს, მათ შორის ქართველია 1,6 %, სომეხი – 92 %, დანარჩენი რუსი.

ვაკის სოფლებში საცხოვრებელი ბინები მხოლოდ ქვისგანაა აგებული და ერთსართულიანია. გადახურულია თანამედროვე მასალით. აქა-იქ შეინიშნება აგრეთვე მიწით დაფარული სახურავიც. სოფლების შიგა დასახლება მჭიდროა. აქვე პატარა ეზოები, რომლებიც ქვის ყორეებით არის შემოფარგლული. სოფლების დაგეგმარება უსისტემოა, ვიწრო, მიხეუელ-მოხეუელი ქუჩებით. მხოლოდ რუსული სოფლები გამოირჩევა სწორხაზოვანი-კვარტალური განაშენიანებით, ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსი მოსახლეების ბინების უმრავლესობა გარედან თეთრი ბათქაშით არის შელესილი.

ნინოწმინდა-ახალქალაქის ქვერაიონის სოფლების უდიდესი უმრავლესობა ჯავახეთის ზეგნის შუა ნაწილშია, ახალქალაქის ამაღლებულ ვაკეზე, რომლის პიფსომეტრიული ნიშნულები ცვალებადობს 1600-1800 მ (ზ.დ.) ფარგლებში. ვაკე დაფარულია მთის ნოყიერი შავმიწებით. ჰავა მკაცრია. ზამთარი აქ უფრო ცივია, ვიდრე ამავე აბსოლუტურ სიმაღლეზე მდებარე ადგილებში კავკასიონის კალთებზე. თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 4-5 თვეა. ახალქალაქის ვაკე ტყის საფარს მოკლებულია. უსწორმასწორო და ქვიანი ადგილები, აუთვისებელი ფართობები, მთის ნაირბალახოვან-მარცვლოვან სტეპს უჭირავს.

ახალქალაქის ვაკე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰავის სიმკაცრეს, საქართველოს სამხრეთ მთიანეთში ერთ-ერთი საუკეთესო ტერიტორიაა სასოფლო განსახლებისათვის. ამიტომაც ვაკეზე მრავალი ათეული დიდი სოფელია გაშენებული. პლატოს ფარგლებში, შორი-შორ მანძილზე გაბნეულია 54 სოფელზე მეტი, რომლებიც ახალქალაქის, ნინოწმინდის და ასპინძის ადმინისტრაციული რაიონების შემადგენლობაში შედის. მათ შორის სომხებით დასახლებულია 47 სოფელი, ქართველებით დასახლებული კი მხოლოდ 9 სოფელი. არსებობს შერეულმოსახლეობიანი სოფლებიც.

ახალქალაქის ვაკეზე ყველა სოფელში ერთად 49 ათასი კაცი ცხოვრობს. ხალხმრავლობის მიხედვით სოფლები უმეტესად დიდი და საშუალოა. სოფლების შიგა განაშენიანება საშუალო სიმჭიდროვისაა და ახასიათებს უსისტემო დაგეგმარება, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, რითაც პირველყოვლისა სომხური დასახლებები გამოირჩევა. თითოეულ სახლს აქვს პატარა ნაკვეთი, ქვის ყორეებით შემოზღუდული. საკარმიდამო ნაკვეთებში ძირითადად კარტოფილი და ყინვაგამძლე ბოსტნეული მოჰყავთ.

ქვერაიონში ჯერ კიდევ საცხოვრებელთა ძველი ფონდია გაბატონებული, მაგრამ ბოლო დროს, ადრე აშენებული ქვის ერთსართულიანი, ბრტყელი, მიწის-სახურავიანი დაბალი სახლების ნაცვლად აშენებენ უფრო მაღალ, ზოგჯერ ორსართულიან ქვის სახლებს.

ნინოწმინდა-ახალქალაქის ქვერაიონში კარგადაა განვითარებული სარძეო-სახორცე მესაქონლეობა, რომელშიც თვითდასაქმებული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა ჩაბმული. ბევრი სოფელი მეცხოველეობა-მემინდვრობის პროფილისაა.

რაიონის უაღრესად დაბალი ეკონომიკური პოტენციალითა და რთული პოლიტიკურ-დემოგრაფიული პრობლემების პირობებში, ვფიქრობთ, რადიკალურად უნდა შეიცვალოს სახელმწიფო სტრატეგია ადგილობრივი მოსახლეობის საერთო სახელმწიფო მიზნებში ინტეგრირების თვალსაზრისით. ამ რეგიონის განვითარების პერსპექტივას მის გეოგრაფიულ მდებარეობაშიც ვხედავთ. თუ დამოუკიდებლობამდე ჯავახეთი ერთგვარ იზოლაციაში ვითარდებოდა მისი მდებარეობის გამო (აგრეთვე, მთლიანად სამცხე-ჯავახეთის სასაზღვრო მდებარეობის გამო), დღეისთვის მისი სატრანზიტო-გეოგრაფიული მდებარეობა შედარებით ხელსაყრელი გახდა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ერზრუმის გაზსადენის მშენებლობის გამო.

აუცილებელია აღდგეს ნორმალური სარკინიგზო მიმოსვლა ჯავახეთსა და დედაქალაქს შორის; სოფლები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ელექტროენერგიითა და სათბობით (როგორც ცნობილია, დღემდე ჯავახეთში, განსაკუთრებით ნინოწმინდა-ახალქალაქისა და წალკა-დმანისის ქვერაიონებში, გათბობისათვის იყენებენ წივას); უნდა გაძლიერდეს რაიონში არსებული რესურსების (სამშენებლო მასალების) ათვისება და სოფლის მოსახლეობის დასაქმება ადგილობრივ დარგებში; მოეწყოს მესაქონლეობის მსხვილი ფერმები და მეტი ყურადღება მიექცეს მეფუტკრეობის განვითარებას.

ჯავახეთი ტბების მზარეა, რომელთა მიმზიდველი ლანდშაფტი აქ ტურისტული მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას იძლევა, თუმცა, ზოგადად, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

ასპინძის ქვერაიონის დასახლებული ტერიტორია ფართობით დიდად ჩამოუვარდება დანარჩენი ქვერაიონების ტერიტორიას და 825 კმ²-ს შეადგენს და მხოლოდ ადიგენისა და მთიანი აჭარის ადმინისტრაციული რაიონების ფართობებს აღემატება. აქ არ არის ვაკეები და არც მნიშვნელოვანი ქვაბულები. ქვერაიონის სოფლები ძირითადად მდებარეობს 1000-1300 მ სიმაღლეზე. ნიშანდობლივია აგრეთვე მტკვრისპირა მრავალსაფეხურიანი ტერასები, რომლებზეც ძირითადად ხეხილის ბაღებია გაშენებული. ასევე გამორჩეულია მინერალური წყლების სიუხვით.

დაბა ასპინძის ახლოს არის მცირე მინერალიზაციის გოგირდწყალბადოვანი, ქლორიან-ნატრიუმიან-კალციუმიანი თერმული (42°) წყალი, რომლის დებიტი 0,5 მლნ ლიტრის ტოლია დღე-ღამეში. მინერალური წყლის ბაზაზე მოწყობილია ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტი.

სოფლები ძირითადად მდ. მტკვრის კანიონისებრი ხეობის ფსკერსა და გვერდებზეა კონცენტრირებული. ქვერაიონში რბილი, ზომიერი ჰავაა. ჭარბობს ქართული მოსახლეობა. სოფლებში საცხოვრებელი ბინებიც განსხვავებულია. ასევე, რამდენადმე განსხვავდება სოფლების ფუნქციური თავისებურებანიც.

ქვერაიონში სულ 21 სოფელია გაშენებული, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 9767 კაცს უდრის. მათ შორის ქართველები 78,3 % შეადგენენ. სოფლები ერთმანეთისაგან დიდი მანძილით არის მოცილებული. დასახლება იწყება სამხრეთით, 400-500 მეტრზე ჩატარებული მტკვრის კანიონის გაფართოებულ ადგილზე, *ნაქალაქევის ქვაბულში*, პატარა ტბის – *წუნდის მიდამოებში*, სადაც ვაკე და ნოყიერი ნიადაგებით დაფარულ ადგილზე გაშენებულია ორი ქართული

სოფელი, ძველისძველი ნაქალაქევი – 476 მცხოვრებით და თმოგვი – 359 მცხოვრებით.

სოფლებთან ახლოს არის თბილი რადიოაქტიური წყაროები.

მდ. მტკვრის კანიონში, ნაქალაქევის ზემოთ, მდებარეობს სახელგანთქმული სამონასტრო ქალაქი – ვარძია. აქედან მოყოლებული. ქვემოთ, 9 კმ მანძილზე, მდ. მტკვრის ხეობაში, მდ. ფარავანის – ახალქალაქისწყლის, ანუ ჯავახეთის მტკვრის მდ. მტკვართან შეერთებამდე დასახლება არ გვხვდება. მხოლოდ ამ ორი მდინარის შესართავთან მდებარეობს სოფელი *ხერთვისი*, რომელშიც 203 მოსახლეა. სოფელთან, კანიონის მაღალ კლდოვან კალთაზე აღმართულია შუა საუკუნეების შესანიშნავი *ციხესიმაგრე ხერთვისი*. უფრო ქვემოთ, 13 კმ მანძილზე, ვიდრე ასპინძამდე, მტკვრის ხეობის ფსკერი ოდნავ ფართოვდება, მაგრამ დასახლებული არ არის. მხოლოდ კანიონის თავზე, პატარა მდინარეების ხეობებში, გაშენებულია სოფ. *აწყეიტა* (577 კვ.) და სოფ. *ტოლოშა* (526 კვ.).

თვით კანიონის ფსკერი კი სამიწათმოქმედოდ არის გამოყენებული. თესენ სიმინდს, ხორბალს, კარტოფილს, აშენებენ ხეხილის ბაღებს.

უფრო გაფართოებულია ხეობა *ასპინძის* მიდამოებში (დაბაში 3243 მუდმივი მცხოვრებია). ასპინძასთან და ცოტა უფრო ქვემოთ მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადების *ოშორასა* და *ოთას ხეობებში* (თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე) დასახლებულია ქართული სოფლები *ოშორა*, *იდუშალა* და *ოშა*. სამივე საშუალო სიდიდის სოფელია, 350–დან 650 კაცამდე მცხოვრებით. კიდევ უფრო ქვემოთ, 14 კმ-ზე, მდ. მტკვრის ხეობის გაფართოებულ მონაკვეთზე, რომელიც ქვაბულს მოგვაგონებს, 1040 მ (ზ.დ.) სიმაღლეზე გაშენებულია ცნობილი ქართული ისტორიული სოფელი *რუსთავი* (438 კვ.).

თავისებური, განსხვავებული გეოგრაფიული განსახლება აქვს ოთხ ქართულ სოფელს – *საყუდაბელს*, *ძველს*, *ორგორას*, *ჭობარეთს*. ისინი ერუშეთის მთიანეთის კალთებზე, მაღალ, წაგრძელებულ ქვაბულში, 1200–1500 მ (ზ.დ.) სიმაღლეზე ხაზობრივად განლაგებულ, ერთმანეთისაგან 2–2,5 კმ-ით დაშორებულ, სოფლების ცალკე ჯგუფს ქმნის.

ქვერაიონის სოფლები უმეტესად საშუალო სიდიდისაა. აქ 100 კაცამდე მცხოვრებით მხოლოდ 1 სოფელია – *გულსუნდა* (81 კვ.); მხოლოდ 3 სოფელია 100 კაცზე მეტი მცხოვრებით (*ფია*, *ფოკა*, *ვარგაევი*); დანარჩენ სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობა 300–დან 900 კაცამდე მერყეობს; ქვერაიონის ყველაზე დიდი სოფელია *დამალა* (1984 კვ.), რომელიც სომეხი ეროვნების ხალხითაა დასახლებული. სიდიდით გამოირჩევა სოფლები *ხიზაბაყრა* (850 კვ.) და *ოშორა* (637 კვ.).

1989-2002 აღწერის წლებს შორის პერიოდში ქვერაიონის მოსახლეობის კლება ყველაზე უმნიშვნელოა ჩვენ მიერ განხილულ რაიონებსა და ქვერაიონებს შორის და სულ 962 კაცი შეადგინა. ამასთან, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კლებას შორის მკვეთრი სხვაობა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ქვერაიონის ეკონომიკური პოტენციალი, ურბანიზებულიობის დონე და სოციალური პირობები თითქმის არ განსხვავდება განხილული ქვერაიონებისაგან. მოსახლეობის შემცირების საფუძველი თავად სოფლის სიდიდეში უნდა ვეძებოთ. ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, რაც უფრო დიდია დასახლებული პუნქტი, მით უფრო ნაკლებად კარგავს მოსახლეობას.

ჩვენი გაანგარიშებით, მობილობის მაჩვენებელი აქ საშუალოა და 10-დან 20-კაცამდე ყოველ 1000 კაცზე.

ასპინძის ქვერაიონის სოფლებში საცხოვრებელი სახლები ქვისაგანაა აშენებული. აქ არის ერთ- და ორსართულიანი სახლები, აივნებით. ახალქალაქის პლატოს სოფლებისაგან განსხვავებით, ქვერაიონში თანამედროვე სტილის სახლები ჭარბობს. სოფლების დაგეგმარება უსისტემოა, მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩებით.

სოფლების ფუნქცია გამოიხატება მოსახლეობის დასაქმებულობით მრავალდარგოვან მეურნეობაში. თესენ საგაზაფხულო ხორბალს, სიმინდს, კარტოფილს; მისდევენ მეხილეობას და მებოსტნეობას. დიდი მნიშვნელობა აქვს მესაქონლეობას (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, ზოგ სოფელში ამრავლებენ ცხვარსაც). ქვერაიონი ცნობილია მეფუტკრეობითაც; უმეტესი მაცხოვრებლის ეზოში კარგად მოვლილი რამდენიმე ძირი ფუტკრის ოჯახია.

ჩამოთვლილი დარგების აღორძინება და ქვერაიონის მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობის ეფექტურად გამოყენება (ასპინძაზე ახალციხე-ახალქალაქისა და ვარძიისაკენ მიმავალი გზები გადის), მისი მომავალი განვითარების კარგ პერსპექტივებს ქმნის. აქ გარკვეული პერსპექტივა აქვს მევენახეობასაც.

ქვერაიონის ბუნებრივი ლანდშაფტის შეხამება მის ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან (ხერთვისი, თმოგვი, ვარძია) ტურიზმის განვითარების რესურსს წარმოადგენს.

ადიგენ-ახალციხის ქვერაიონი ვრცელდება ქვაბულის სამხრეთ ნაწილში, ადიგენსა და ახალციხეს შორის.

ეს ქვერაიონი 1809,5 კმ²-ზე ვრცელდება და ერთ-ერთი ხალხმრავალი ქვერაიონია (66,9 ათასი კაცი); მისი მოსახლეობა საკვლევი ტერიტორიის მოსახ-

ლეობის 15,7 %-ს შეადგენს. ადიგენ-ახალციხის ქვერაიონი, ოძრახეს ქვერაიონთან ერთად, ადიგენისა და ახალციხის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში მდებარეობს, სადაც განსახლების ქსელს 106 დასახლებული პუნქტი ქმნის, რომელთა შორის 2 ქალაქი და 2 დაბაა.

ბოლო ორი აღწერის მონაცემების შედარებით ირკვევა, რომ ქვერაიონში მოსახლეობის კლება 9,2 ათას კაცს შეადგენს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მოსახლეობის კლების 90 % ქალაქის მოსახლეობაზე მოდის, რომელიც ახალციხის რაიონში 7000 -ით, ადიგენის რაიონში კი 1338-ით შემცირდა.

ურბანიზაციის დაბალი დონე ამ ფაქტის განმსაზღვრელი მიზეზია. ქალაქები და დაბები, რომლებიც ამ ქვერაიონში (ოძრახესთან ერთად) გვხვდება, პრაქტიკულად მხოლოდ ადმინისტრაციულ ფუნქციას ასრულებენ (მხოლოდ დ. აბასთუმანს აქვს საკურორტო ფუნქცია), არ არის საწარმოები; საწარმოო ფუნქცია დაკარგა ქ. ვალეშ; მათი კულტურულ-საგანმანათლებლო როლიც ძალზე უმნიშვნელოა, ყოველივე ეს კი მოსახლეობის მიგრაციის მოტივაციას უწყობს ხელს.

მოსახლეობის მობილობით ახალციხე საშუალო მობილობის (10-20 კვ. ყოველ 1000 კაცზე), ადიგენი კი დაბალი მობილობის (10 კაცამდე ყოველ 1000 კაცზე) კატეგორიაშია.

სოფლები ძირითადად გაშენებულია ქვაბლიანის მარჯვენა მხარეზე, ერუშეთის მთიანეთის ჩრდილოეთ კალთების დამრეც, დაბალ ადგილებში, 1000-1350 მ (ზ.დ.) ფარგლებში. აღნიშნული ტერიტორიის რელიეფი ხასიათდება მცირე დახრილობით, ზოგან მოაკეცებით და პატარა ქვაბულებით, დაფარულია ნოყიერი ნიადაგებით და ხელსაყრელია სასოფლო განსახლებისათვის. აქ გაბნეულია ქვერაიონის 28 სოფელი, რომელშიც ცხოვრობენ ქართველები და სომხები. ხალხმრავლობის მიხედვით სოფლები ძალზე ჭრელია - პატარა სოფლებიდან (ქართველებით დასახლებული სოფ. უდე, 50 კვ.) ძალზე ხალხმრავალ სოფლებამდე (ქართველებით დასახლებული სოფ. არაღი, 1850 კვ.).

განსახლებას ამ ზონაში ძირითადად აქვს *ჯგუფური ფორმა*, სოფლების შიგა უსისტემო დაგეგმარებით.

სასოფლო დასახლებები არის აგრეთვე მდ. მტკვრის მარცხენა შენაკად მდ. ურაველის ხეობაში, სადაც 1000-1300 მ აბსოლუტურ სიმაღლეზე გაშენებულია 4 ქართული სოფელი, რომლის მოსახლეობა სულ 2096 კაცს შეადგენს და სოფლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სოფ. ურაველი - 768 კვ., სოფ. წყორძა - 136 კვ., სოფ. ხეოთი - 312 კვ., სოფ. მუსხი - 880 კვ. ეს სოფლები განსახლებულია მესხეთის ქვაბულში, მხოლოდ ხეოთია გაშენებული განცალკევებით.

ქვაბული ნოციერი ნიადაგებით და ვაკე რელიეფით მაქსიმალურად არის ათვისებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. წამყვანი როლი ეკუთვნის მებაღეობას.

მესხეთის რაიონის ფარგლებში მდ. მტკვრის ხეობა, დაწყებული სოფ. მიწაძედან, ფართოა, ტერასებიანი, რომელიც ნოციერი ალუვიური ნიადაგებით და ვაკე, ბრტყელ, დაბალზე მდებარე ფართობებით ხელსაყრელია სასოფლო განსახლებებისათვის და ის ოდითგანვე იყო დასახლებული. აქ, მდინარიდან მოშორებით, ორივე მხარეს, ტერასებზე გაშენებულია 9 სოფელი, სულ 5000-მდე მუდმივი მცხოვრებით. ყველაზე დიდია სოფ. აწყური (1984 კვ.) და სოფ. წნისი (642 კვ.). დანარჩენში 150-400 კაცამდე ცხოვრობს თითოეულში.

როგორც ცნობილია, არც თუ ისე შორეულ წარსულში ქვერაიონის მოსახლეობას ნახევრად მიწური და ბანიანი საცხოვრებლები ჰქონდა, მიწით გადასურული. მაგრამ სოფლებმა ტრანსფორმაცია განიცადა და დაიწყო საცხოვრებელი ბინების განახლება-შენებლობა. ახლა უმეტეს სოფლებში ორსართულიანი, ქვისაგან ნაგები თანამედროვე ბინებია და ეს მშენებლობა ბოლო დრომდე თითქმის ყველგან მიმდინარეობდა.

განსაკუთრებულად გამოიყოფება ამ ზონის და საერთოდ მესხეთის ყველაზე დიდი, ქართველი კათოლიკებით დასახლებული სოფელი უდე. აქ საცხოვრებელი ბინების უმრავლესობას აქვს ხეხილით გაშენებული საშუალო სიდიდის ეზოები.

ქვერაიონში განვითარებულია მებაღეობა, ამიტომ უმეტესი სოფლების ფუნქციური ტიპი მეხილეობა-მემინდვერობის მიმართულებაა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მესაქონლეობას. ისე, როგორც საერთოდ მესხეთში, აქ გაერცვლებულია მეფუტკრეობაც. ნათესი კულტურებიდან აღსანიშნავია კარტოფილი, თავთავიანი კულტურები, სიმინდი. სოფლების უმეტესი ნაწილის ირგვლივ გაშენებულია ვაშლის ბაღები.

ოძრახეს (ანუ ჩრდილოეთი) ქვერაიონი ვრცელდება მესხეთის ქედის სამხრული კალთების ქვემო ნაწილში, რომელიც ახალციხის ქვაბულის შემადგენლობაში შედის. ეს ზონა ვრცელდება ადიგენიდან (დასავლეთით), ვიდრე სოფ. აწყურამდე (აღმოსავლეთით). რელიეფი საშუალოდ დანაწევრებულია.

ოძრახეს ქვერაიონის სოფლები საშუალო და პატარა სიდიდისაა. ისინი მიმოხვეულია დაახლოებით 1000-1500 მ სიმაღლეზე. სოფლებს შორის დაშორება 2-3 კმ-ია. ქვერაიონის დასავლეთით, ქვაბლიანის ხეობაში, შედარებით მაღალ ჰიფსომეტრიულ დონეზე, გაშენებულია მესხეთის საკმაოდ ბევრი, უმთავრესად პატარა სოფელი, რომელსაც ჩრდილოეთის, ანუ ოძრახეს რაიონთან ერთად გან-

ვიზილავთ. ამ უკანასკნელის ჩათვლით აქ გაშენებულია სულ 56 სოფელი, რომელთაგან 53 ქართველებით არის დასახლებული, 3 სოფელი კი სომხურია. ქვერაიონში და ქვაბლიანის ხეობაში სულ 162225 კაცი ცხოვრობს, მათ შორის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია.

დიდი სოფლებიდან უნდა დავასახელოთ სოფ. კლდე (939 კვ.), სოფ. წნისი (672 კვ.), სოფ. წყრუთი (1194 კვ.), სოფ. ბოლაჯური (888 კვ.). სოფლების დაგეგმარება აქაც უსისტემოა. შიგა სიმჭიდროვე საშუალოზე მეტია. ოძრახეს ქვერაიონში საცხოვრებელი სახლები ერთ-და-ორსართულიანია, აშენებულია როგორც ქვის, ისე ხისაგან. ყოველ მოსახლეს აქვს ეზო, ძალზე მცირე ფართობის.

ოძრახეს ქვერაიონი ადიგენ-ახალციხის ქვერაიონისაგან განსხვავდება იმიტომაც, რომ მეხილეობა აქ ნაკლებად არის გავრცელებული და უმეტესი სოფლის ფუნქცია არის მემინდვრეობა (მოჰყავთ კარტოფილი, თავთავიანი კულტურები) და მესაქონლეობა.

რაც შეეხება ქვაბლიანის ხეობას, რომელიც ტყის ზონაში მდებარეობს, იქ მესაქონლეობა-მემინდვრეობის პროფილის სოფლებია.

ახალციხის ქვაბულში გაშენებულია ქალაქები: ახალციხე – 22,1 ათასი მცხოვრებით, რომელთაგან 37 % ქართველია, დანარჩენი სომეხი და რუსი; უფრო ქართული დასახლებაა ქ. ადიგენი (1032 კაცი) და დ. ვალე (5,5 ათასი კვ.), რომლებშიც 66-85 % ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს.

ოძრახეს ქვერაიონში, ლამაზ, ტყიან ხეობაში მდებარეობს დ. აბასთუმანი, სადაც მოსახლეობის 58,3% ქართველია. აქ, ოცხეს ტყიან ხეობაში, გაშენებულია ცნობილი კურორტი აბასთუმანი და იქვე ახლოს, ყანობილის მთაზე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორია.

მესხეთის განსახლებაში დიდი ცვლილებები მოხდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, რაც პირველ ყოვლისა აისახა სოფლების კეთილმოწყობაში, მათი მორფოლოგიის გადახალისებაში. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა რესპუბლიკაში განხორციელებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა და საქართველოს ამ უძველეს მხარეში საქართველოს სხვა კუთხეებიდან ქართველი მოსახლეობის მასობრივმა ჩასახლებამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი ტიპის კაპიტალური საცხოვრებელი სახლების საყოველთაო გავრცელება, ნაცვლად ადრე არსებული ნახევრად მიწური ბინებისა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ცვლილებებმა დადი დაასვა ამ

ქვერაიონს და ამჟამად აქ დასახლებათა კეთილმოწყობასა და განვითარებაზე საუბარი ზედმეტია.

მესხეთისა და მისი სოფლების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება ვალეს მურა ნახშირის საბადოს დამუშავებას.

ახალციხის ქვაბული მდიდარია სხვა რესურსებითაც, კერძოდ, უხვადაა მიწერალური წყლები. ასეთია ურაველის ნახშირმევა-ჰიდროკარბონატული და ჰიდროკარბონატულ-კალციუმ-მაგნიუმიანი წყლები, წყალთბილას გოგირდოვანი თბილი წყალი. ასპინძის, ნაქალაქევისა და ბოლოს აბასთუმნის მაღალი სამკურნალო თვისებების წყალი, რომელიც მდ. ოცხეს ხეობაში 3 წყაროდ გადმოდის.

აბასთუმნის სამკურნალო წყლების შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღნიშნავდა ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი.

ძვირფას წიაღისეულს წარმოადგენს ქისათიბის დაიტომიტი და მდ. ფოცხოვის ორთავე მხარეზე არსებული აქატის საბადო.

ყველა ამ წიაღისეულის ათვისება და ამ პროცესში სოფლის მოსახლეობის ჩაბმა, უთუოდ ხელს შეუწყობს სოფლების გაძლიერება-განვითარებას.

სხვა ღონისძიებებიდან უნდა დავასახელოთ საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტული მეურნეობის განვითარება. მესხეთი მდიდარია საკურორტო-რეკრეაციული ადგილებით და ტურისტული ობიექტებით. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ცნობილი ვარძია, ხერთვისის ციხე-კოშკი, ზარზმის მონასტერი, საფარა, განამარხებული მესამეული ფლორა მდ. ძინძეს ხეობაში (გოდერძის განამარხებული ტყე) და სხვა. ეს სიმდიდრე მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული.

საკითხები განხილვისთვის

1. ყურადღებით შეისწავლეთ ქეისი და შეაფასეთ რაიონის სუსტი და ძლიერი მხარეები.
2. შეაფასეთ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარება.
3. შეისწავლეთ განსახლების თავისებურებანი, მიგრაციის ხასიათი და შეაფასეთ მათი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე.
4. შეაფასეთ ტერიტორიის ძირითადი ატრაქციები.
5. ხედავთ თუ არა საფუძველს ქეისში აღწერილი ტერიტორიების ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებად ჩამოყალიბებისთვის?
6. შეავსეთ ქეისში მოცემული ინფორმაცია დამატებითი მონაცემებით (ტურისტული ობიექტები, სასტუმროები, კემპინგები, ტურისტთა რაოდენობა, ინფრასტრუქტურა, კურორტები, ღონისძიებები).
7. ანალიზის საფუძველზე, როგორია თქვენი მოსაზრებები რაიონის ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე?
8. რა გადაწყვეტილებებს მიიღებდით მოცემულ რაიონში ტურიზმის აღორძინებისთვის?
თუ ქეისის საფუძველზე ამ რაიონში ვერ ხედავთ ტურისტულ პოტენციალს, გთხოვთ განიხილოთ/დაასაბუთოთ ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას.
9. შეაფასეთ მოცემულ ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ტრანსფორმაცია; ტურიზმის დატვირთვის შემოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა

- თუთბერიძე მ., ბავლიაშვილი ნ. რეკრეაციული მუურობის განვითარების პრობლემები საქართველოში. კრ. „საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები“, თბ., 2001
- კობახიძე ე. საქართველოს სსრ საკურორტო მუურობა და ტურიზმი. თბ., 1971
- ბავლიაშვილი ნ. საქართველოს რეკრეაციული რესურსების თავისებობის რეგიონული სხვაობები. წიგნში „რეგიონული გეოგრაფია“, თბ., 1991
- სეფერთელაძე ზ. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დიფერენციაციისა და ბუნებათსარგებლობის პრობლემები. დისერტაცია, თბ., 1993
- უკლება მ. საქართველოს მთიანი მხარის განსახლების რეგიონული თავისებურებანი და ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი. თბ., 2006
- Биржаков М. Б., Козинев С. Е., Никифоров В. И. О проблемах создания туристско-рекреационной (экономической) зоны Санкт-Петербурга. Концепция и предложения. В справ. Туристской Фирмы, вып. 15. СПб, ОЛБИС, 1998
- География Туризма, под редакцией А. Ю. Александрова, М., 2009
- Зорин И. В., Кварталынов В. А. Энциклопедия туризма, М., 2003
- Качмарек Я., Стасяк А., Влодарчик Туристский продукт. М. 2008 (перевод с польского)
- Мухина Л. И. Подходы к оценке условия рекреационной деятельности. Изв. АН, серия геогр. № 3. 1974
- Реймерс Н. Ф. Природопользование, М., 1990
- Руководство по формированию курортно-рекреационных систем. М., 1984
- Уклеба Д. Антропогенные ландшафты Грузии, Тб., 1983
- Charles R. Goeldner, J. R. Brent Ritchie. Tourism (Principles, Practices, Philosophies. 2003
- Jansen-Verbeke, Myrian and Adri Pietvorst. Leisure recreation Tourism: A Geographic View on Integration. Annals of Tourism Research, vol. 14, No 3, pp. 361-375, 1987
- Pearce D. Tourism Today: A Geographical Analysis. Essex, UK, 1999
- Tourizm and Enviromental Protection WTO Publications. Madrid, Spain, 1996
- Tourizm Business Frioters, Consumers, Products and Industry. Edited by D. Buhalis and C. Costa. 2006
- <http://www.sustainabletravel.org>
- <http://www.earthwatch.org>
- <http://www.unesco.org/whc>
- <http://www.uky.edu/subject/environment.htm>
- Annals of Tourism Research
<http://www.elsevier.com>
- Tourism Education Web Sit
<http://www.tourismeducation.org>
- World Travel and Tourism Council
<http://www.wtcc.org>
- WTO
<http://www.world-tourism.org>